პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ოქტომბერი პარასკევი 2009

№256 (12 935) ფასი 60 თეთრი

# ექვსქულიანი თამაში

>> გვერდი 2

ტურის წინათქმა



## მთავარი მატჩი: ვიტ ჯორჯია დინამო

დღეს, 15:00 გორში...



## გიორგი მერებაშვილი:

# ტრავმა მივიღე და ალბათ, სამი კვირა დავისვენებ

ინტერვიუ >> გვერდი 3




# 10 ქულა 11 წუთში

## შერმადინის საევროლიგო რეკორდი



**გიორგი შერმადინის** "პანათინაიკოსმა" ევროლიგაზე მეორე მატჩი გამართა და რუსული "ხიმკი" შინ შერცხვენილი გაუშვა – 101:66.

ქართველი ცენტრი მატჩში პირველივე პერიოდში ჩაერთო, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ეფექტური თამაში რომ შეუძლია მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში გვიჩვენა - ოთხწუთიან მონაკვეთში 6 ქულა ჩააგდო. საბოლოოდ გიორგის ანგარიშზე 11 წუთში 10 ქულა და 2 მოხსნაა. 10 ქულა შერმადინის საევროლიგო რეკორდია.

მატჩის შემდგომ კომენტარებს და ამ შეხვედრასთან დაკავშირებულ სხვა ამბებს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ვაჟა სიმონიშვილი

## ზაზამ ახალი სეზონი ოთხი ქულითა და მოგებით დაიწყო



>> გვერდი 12

# ქალებმა ვერცხლი გაინაღდეს

## დღეს ბოლო ტურია...



ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი >> გვერდი 11

ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XIII ტურის წინათქმა

# ექვსქულიანი მატჩი

| ვიტ ჯორჯია–დინამო | ზესტაფონი–სიონი | ბაია–სამტრედია | ლოკომოტივი–სპარტაკი | ოლიმპი–გაგრა |
|---|---|---|---|---|
| 30.10.09. გორი. თ. ბურჯანაძე | 30.10.09. ზესტაფონი. ცენტრალური | 30.10.09. ზუგდიდი. ცენტრალური | 30.10.09. თბილისი. მ. მესხი | 31.10.09. ბოლნისი. თ. სტეფანია |
| 15:00 | 15:00 | 15:00 | 15:00 | 15:00 (ჩანაწერი 18:00 პირველ არხზე) |
| დისკვალიფიკაცია: არავინ | დისკვალიფიკაცია: ქურასბედიანი (ს) | დისკვალიფიკაცია: არავინ | დისკვალიფიკაცია: არავინ | დისკვალიფიკაცია: ფეიქრიძე (ო) |
| პირველ წრეში: 0:0 | პირველ წრეში: 0:0 | პირველ წრეში: 0:1 | პირველ წრეში: 0:2 | პირველ წრეში: 1:0 |

...მართლაც, უმადური პროფესიაა ჟურნალისტობა; რა თქმა უნდა, ყველასათვის საამებელი სიტყვების დაწერა მუდამ არ გვიწევს, მაგრამ არც ისეა საქმე, ვინმეს ეგონოს, თითქოს, მხოლოდ უარყოფითის აღნიშვნა გვიხაროდეს. ისე, მართლაც საოცარია: რატომღაც, ამ ბოლო დროს ხელს ყველა ჟურნალისტებისკენ იშვერს; ჰო, ასეა: ხან არის და, დამსახურებული და ვეტერანი მწვრთნელი ქართული ფეხბურთის დალუპვაში (!) გვადანაშაულებს, - ყველაფერი თქვენი ბრალიაო! ეგ კიდევ არაფერი: თურმე, ქართულ სპორტულ პრესაში ძალიან ბევრი ავანტიურისტი ჟურნალისტიც ყოფილა! და ვინ ამბობს ამას? ვინ და, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ერთი თვეც რომ არ გასულა ამ პოსტზე მისი დანიშვნიდან...

ძალიან, ძალიან სამწუხაროა, ბატონი ზვიად სიჭინავა ასე რომ იწყებს მუშაობას; შესაძლოა, რომელიმე ჟურნალისტმა მის ნათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია, მართლაც მისცა, ამ შემთხვევაში პატივცემულმა პრეზიდენტმა კეთილი ინებოს და დააკონკრეტოს. საერთოდაც: კეთილი სურვილით ვურჩევთ ბატონ სიჭინავას, რომ ჟურნალისტების „სასურველ" თუ „არასასურველ" კატეგორიებად დაყოფით ბეჭდური მედიის კეთილგანწყობილების მოპოვება გაუჭირდება. თუმცა, ქართული ფეხბურთის ახალ მესაჭეს, შესაძლოა, ყოველივე ეს არც აინტერესებდეს...

ახლა კი, ალბათ, დროა, „ავანტიურისტმა" ჟურნალისტებმა ეროვნული ჩემპიონატის მოახლოებულ ტურზეც ვილაპარაკოთ; მით უფრო, რომ ტურში ერთი გამორჩეული შეხვედრა გველოდება!

## ტურის მშვენება: ვიტ ჯორჯია VS დინამო

თერთმეტი წელიწადია ამ ორი გუნდის დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს; ფაქტობრივად, ისე ხდება, რომ ძალიან ხშირად სწორედ ამ ორი გუნდის პაექრობებს მივიჩნევთ სეზონში ერთ-ერთ გამორჩეულად.; ალბათ, არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ მეტოქეთა ურთიერდაპირისპირებაში ერთ გუნდს მხოლოდ მინიმალური უპირატესობა აქვს: „დინამომ" 11 მატჩი მოიგო, 10 წააგო, დანარჩენი 15 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. მოკლედ, ორი ღირსეული გუნდის საინტერესო ბრძოლის მოლოდინში ვართ; თან, როგორც ყოველთვის, „ვიტ ჯორჯიაც" და „დინამოც" ჩემპიონატში მხოლოდ მაქსიმალური მიზნებისთვის იბრძვიან და გამონაკლისი არც ეს სეზონია. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ბევრისთვის მოულოდნელი „დინამოს" მეოთხე ადგილზე ყოფნა კი არა, ლიდერებთან სოლიდური ჩამორჩენა იყოს - დღევანდელ მეტოქეზე ექვსით, ხოლო ერთპიროვნულ ლიდერ „ზესტაფონზე" ცხრა ქულით ნაკლები აქვს.

საერთოდ, როცა სატურნირო ცხრილის მეზობლები (ამავდროულად - ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტები) ხვდებიან ერთმანეთს, ხშირად ვამბობთ - ექვსქულიანი თამაშია-თქო. ანუ, ვთქვათ, დღევანდელი მატჩი „დინამომ „მოიგო, მაშინ სხვაობას შეამცირებს კონკურენტთან და საჩემპიონო რბოლაში ისევ ჩაერთვება; დამარცხების შემთხვევაში კი უნდა ვალიაროთ, რომ **კახა კაჭარავას** გუნდს სამომავლოდ მოუწევს სერიოზულ მიზნებზე ფიქრი. მესამე ვარიანტი არ გვიხსენებია, არადა, სტატისტიკაც ამას მოწმობს, რომ „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" დაპირისპირებები ყველაზე ხშირად სწორედ საყაიმო ანგარიშით სრულდება. ეგ კი არა, უკანასკნელი ხუთი დაპირისპირებაა, ვერც ერთი გუნდი გამარჯვებას რომ ვერ ახერხებს! აი, თუნდაც პირველ წრეში რომ იყო, როცა დღევანდელმა მეტოქეებმა ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე „მშვიდობიანი" და ფრთხილი მატჩი ჩაატარეს; ჰო, იმავე წინა ოთხი საყაიმო შეხვედრისგან განსხვავებით, 22 აგვისტოს არც საკამათო პენალტები გვიხილავს, არც ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევა და არც წითელ-ყვითელი ბარათების სარეკორდო რაოდენობა. კი, ერთი საკამათო ეპიზოდი მაინც იყო: მატჩის ბოლო წამებზე **ლევან ხმალაძე** მეტოქის საჯარიმოში წაიქცა (თუ - წააქციეს) და „დინამოს" მწვრთნელ-ხელმძღვანელთა აზრით, არბიტრს პენალტი უნდა დაენიშნა. საერთოდ კი ჩვენი აზრით, ფრე აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი იყო: პირველ ტაიმში -"ვიტ ჯორჯია" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მეორეში კი „დინამომ" გამოასწორა თამაშის ხარისხი. სხვათა შორის, ის შეხვედრა „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სადებიუტო იყო **მერაბ კოჭლაშვილისათვის**; ახალმა მწვრთნელმა პირველსავე მატჩში „ვიტ ჯორჯიას" სათამაშო სქემა შეცვალა - მანამდე ხომ „ვეტერინარებს" 4-2-3-1 ტაქტიკური განლაგებით არასოდეს უასპარეზიათ. კოჭლაშვილის მოსვლის მერე „ვიტ ჯორჯია" ისეთ თამაშს უჩვენებს, მოქმედ ჩემპიონს რომ ეკადრება და აბსოლუტურად დამსახურებულადაც იმყოფება ლიდერთა სამეულში; აი, „დინამოსთვის" კი გადამწყვეტი ეტაპი იწყება: „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ კახა კაჭარავას გუნდი ხომ კიდევ ორ „მონსტრს" უნდა შეხვდეს - „ზესტაფონსა" და „ოლიმპს". ჰოდა, სწორედ ამ სამი უპრინციპულესი შეხვედრის მერე გაირკვევა კიდეც, თუ რამდენად რეალური იქნება დინამოელთა საჩემპიონო ამბიცია...



2009 წლის 22 აგვისტო. დინამო-ვიტ ჯორჯია 0:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## სხვა დანარჩენი

ტურის ცენტრალური მატჩი დღეს ჩატარდება, ისე, როგორც კიდევ სამი შეხვედრა. ერთპიროვნული ლიდერი „ზესტაფონი" კვლავაც შეეცდება ჩემპიონატში წაუგებლად ასპარეზობას და ვეჭვობთ, რომ სატურნირო ცხრილის სათავეში ყოფნა კიდევ დიდხანს „მოსწყინდეს"; ერთი შეხედვით, **გია გეგუჩაძის** საჩემპიონოდ „მომართულ" გუნდს დღევანდელი მეტოქის ძლევა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „სიონს" ამ სეზონში „ტრადიციად" ექცა ძლიერ მეტოქეებთან თავის გამოჩენა; ძლიერ მეტოქეებსა და ფავორიტებში, რაღა თქმა უნდა, ყველა გუნდი არ იგულისხმება (ახლა, დაკონკრეტება არავინ მოგვთხოვოს, თორემ მართლაც იტყვიან: ქართულ სპორტულ პრესაში ბევრი ავანტიურისტი ჟურნალისტიაო), მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ფინანსურად შეჭირვებულ „სიონს" ისეთი შემადგენლობა ჰყავს, ნებისმიერის გამწარება რომ შეუძლია. აი, თუნდაც პირველი წრის მატჩი გავიხსენოთ: „ზესტაფონი" ფავორიტის სტატუსით ჩავიდა ბოლნისში და დაგეგმილი სამის ნაცვლად, მხოლოდ ერთი ქულა წამოიღო. სხვა მხრივ, არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ მატჩის მონაწილე ბევრ ფეხბურთელს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს თამაში: **მიხეილ მახვილაძე, გოგა ფიფია** და **ბექა ნოზაძე** წლების განმავლობაში „ზესტაფონში" თამაშობდნენ, ხოლო **ზურაბ მამალაძე, ლევან კორღალიძე** და **ჯაბა დვალი** - ბოლნისის „სიონში". ამ შეხვედრის თავისებური „ხიბლია" ერთნაირი გვარ-სახელის მქონე ფეხბურთელთა დაპირისპირებაც: თანაც, „ზესტაფონის" ცენტრალური მცველი **გიორგი ხიდეშელიც** და „სიონის" შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ხიდეშელიც** თავიანთ გუნდებში გამორჩეულ მოთამაშეებად მიიჩნევიან.

მეტად საინტერესო მატჩი გველოდება ზუგდიდში, სადაც „ბაიამ" „სამტრედიას" უნდა უმასპინძლოს. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ბოლო ორ თამაშში ოთხი ქულა მოაგროვა და ალბათ, შორს არ არის ის დღე, სახიფათო ზონას რომ გასცდება. თანაც, დღევანდელის ჩათვლით ზედიზედ სამი ისეთი მატჩი ელოდება, უშუალო კონკურენტებს რომ უნდა შეხვდეს და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ერთი თვის შემდეგ „ბაია" ცხრილის შუაში თუ არა, მეტ-ნაკლებად „მისაღებ" ადგილზე ვიხილოთ.

აი, „ლოკომოტივი" კი კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია; სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდული გუნდის თამაშში ის რესურსი არ ჩანს, წარმატება რომ უნდა მოიტანოს. თანაც, **გელა სანაიას** გუნდს დღეს სოლიდური მეტოქე ეყოლება - „სპარტაკი" ამ სეზონში ხომ აბსოლუტურად განსხვავებული გუნდია. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო დროს **ვლადიმერ ხაჩიძეს** გუნდსაც მცირე კრიზისი დაეტყო - „სპარტაკმა" უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ სამი ქულა აღო.

ტური კი ხვალინდელი მატჩით დასრულდება: რუსთავის „ოლიმპი" საშინაო შეხვედრას კვლავაც ბოლნისში ჩაატარებს და ალბათ, მორიგ სამ ქულას მიუმატებს საკუთარ აქტივსაც. რა თქმა უნდა, „გაგრა" ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე, მაგრამ მოდი, გულახდილად ვაღიაროთ: „ოლიმპს" მოწინააღმდეგეზე ბევრად მეტი გამოცდილი და რაც მთავარია, უფრო მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყავს. ჩვეული ფორმა აღიდგინა ანდერსონ **აკინომ** - ბოლო მატჩებში მოედანს უგოლოდ რომ არ ტოვებს. თანაც, **თემურ მახარაძის** გუნდს, უბრალოდ, უფლებაც არა აქვს, ხვალ და მომდევნო ტურში ქულები დაკარგოს - მერე ხომ ზედიზედ სამი მატჩი ელოდება უშუალო კონკურენტებთან.

**გია ტუხაშვილი**

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ზესტაფონი | 12 | 8 | 4 | 0 | 21-6 | 28 | 4 | 2 | 0 | 15-3 | 14 | 4 | 2 | 0 | 6-1 | 14 |
| 2. ოლიმპი | 12 | 8 | 3 | 1 | 25-10 | 27 | 4 | 2 | 0 | 14-2 | 14 | 4 | 1 | 1 | 11-8 | 13 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 20-12 | 25 | 5 | 1 | 0 | 14-5 | 16 | 2 | 3 | 1 | 6-7 | 9 |
| 4. დინამო | 12 | 5 | 4 | 3 | 21-10 | 19 | 4 | 1 | 1 | 12-2 | 13 | 1 | 3 | 2 | 9-8 | 6 |
| 5. სპარტაკი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 | 1 | 1 | 4 | 7-17 | 4 |
| 6. სიონი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-12 | 14 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 7. სამტრედია | 12 | 4 | 1 | 7 | 16-28 | 13 | 3 | 1 | 2 | 10-12 | 10 | 1 | 0 | 5 | 6-16 | 3 |
| 8. გაგრა | 12 | 2 | 3 | 7 | 14-20 | 9 | 2 | 2 | 2 | 7-3 | 8 | 0 | 1 | 5 | 7-17 | 1 |
| 8. ბაია | 12 | 2 | 2 | 8 | 10-20 | 8 | 2 | 1 | 3 | 9-13 | 7 | 0 | 1 | 5 | 1-7 | 1 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 0 | 3 | 9 | 4-19 | 3 | 0 | 2 | 4 | 2-9 | 2 | 0 | 1 | 5 | 2-10 | 1 |



| ბომბარდირები | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 11 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 10 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 10 |

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მერაბ კოჭლაშვილი
# მთავარ სათქმელს მოედანზე ვიტყვით!

**ეროვნული ჩემპიონატის XIII ტურის ცენტრალური დაპირისპირება გორში გაიმართება, სადაც უპრინციპულეს დედაქალაქურ დერბიში „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ უმასპინძლებს. უდავოა, რომ ეს მატჩი ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. ორივე გუნდის წევრები მოახლებული ბრძოლისთვის საგანგებოდ ემზადებიან. გუშინ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის, კახა კაჭარავას ინტერვიუ შემოგთავაზეთ, დღეს კი ჩვენი სტუმარი „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი მერაბ კოჭლაშვილია.**

- „დინამოსთან“ მატჩს ნებისმიერი გუნდი განსაკუთრებული მოტივაციით უდგება და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ნათელია, რომ დღესდღეობით „დინამოს“ ცუდი პერიოდი უდგას, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. პირიქით, ამ შეხვედრისთვის გაორმაგებული ენერგიით ვემზადებით, რადგან ვიცით, რომ ჩვენი მეტოქე დაჭრილი დათვივითაა – უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს და ძალ-ღონეს არ დაიშურებს გამარჯვებისთვის. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „დინამოს“ მხოლოდ გამარჯვება სჭირდება და ჩვენც ანალოგიური მიზანი გვამოძრავებს. მოგების შემთხვევაში, „დინამოს“ კიდევ უფრო დიდი სხვაობით ჩამოვიტოვებთ. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, გორში ძალიან დაძაბული მატჩის მომსწრენი გავხდებით.

**- რომელ ასპექტებში შეიძლება ჰქონდეს „ვიტ ჯორჯიას“ „დინამოსთან“ უპირატესობა?**

- წინასწარ ამის თქმა ძნელია, ერთი იმის თქმა შემიძლია, რომ დღესდღეობით „ვიტ ჯორჯია“ უფრო ორგანიზებული გუნდია, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა.

**- ალბათ, უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, როგორი ტაქტიკით დაუპირისპირდებით მეტოქეს.**

- ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის წინ მწვრთნელის მხრიდან ტაქტიკაზე საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მივმართავთ ისეთ სტრატეგიას, რომელიც ჩვენი აზრით, სამი ქულის მოპოვებაში ყველაზე მეტად შეგვიწყობს ხელს.

**- საკადრო პრობლემები ხომ არ გაწუხებთ?**

- არა, საბედნიეროდ, ჩვენი ყველა მოთამაშე მწყობრშია და „დინამოსთან“ ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ.

**- თქვენი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში გუნდი არაერთხელ გაგიყვანიათ „დინამოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ. ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი კი ალბათ, 2003-04 სეზონის მინურულს ჩაატარეთ...**

- ნამდვილად ასეა. მაშინ „დინამოს“ სტუმრად ყველა კომპონენტში ვაჯობეთ, პირველი ტაიმი 3:0 მოვიგეთ, საბოლოოდ კი 3:1 გავიმარჯვეთ. ეს ჩემპიონატის მინურულს მოხდა. ამით სატურნირო ცხრილში „დინამოს“ გადავასწარით, შემდეგ „ოქროს მატჩში“ მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ, სადაც ბოლნისის „სიონიც“ დავამარცხეთ და საქართველოს ჩემპიონობაც ვიზეიმეთ. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონო გზა ყოველთვის „დინამოზე“ გადის და ახლაც ასეა, იმის მიუხედავად, რომ ეს გუნდი ლიდერებს უკვე საკმაოდ ჩამორჩა.

**- დაახლოებით ერთი თვის წინ თქვით, რომ „ვიტ ჯორჯია“ თამაშის ხარისხს ეტაპობრივად გააუმჯობესებდა. რამდენად მართლდება თქვენი ვარაუდი?**

- მოხარული ვარ, რომ თითქმის სრულად მართლდება. გარკვეული კომპონენტები კიდევ გასაუმჯობესებელი გვაქვს, მაგრამ მთლიანობაში, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. გუნდი სტაბილურად აგროვებს ქულებს და ჩემპიონობისა და თასისთვის იბრძვის, რაც მთავარია, ამას ხარისხიანი ფეხბურთით ახერხებს.

**- წინა ტურში ბოლნისში ჩატარებული მატჩით კმაყოფილი დარჩით?**

- სწრაფი გოლი გავიტანეთ და შემდეგაც არაერთხელ გვმართებდა მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ არ გვიმართლებდა. ამის მიუხედავად, „სიონს“ თამაშის გადარჩენის მცირე შანსიც არ მივეცით. მართალია, მინიმალურად, მაგრამ მშვიდად და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ.

**- ბოლო პერიოდში თუ დაესწარით „დინამოს“ რომელიმე მატჩს?**

- ვნახე „დინამოს“ თამაშები სამტრედიასა და ბოლნისში. სხვა გუნდის ნაკლოვანებებზე საჯაროდ საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ზოგადად კი იმის თქმა შემიძლია, რომ გარკვეული დასკვნები გამოვიტანე და შევეცდები, ეს ჩემი გუნდის სასარგებლოდ გამოვიყენო.

**- „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ პირველი წრის მატჩს სადავო ეპიზოდები არ აკლდა.**

- დავიწყებ იმით, რომ ნულოვანი ფრეს მიუხედავად, ძალიან საინტერესო და შინაარსიანი თამაში იყო, სადაც გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო. სადავო მომენტები კი მართლაც იყო. დინამოელებმა ჩვენს კარში არდანიშნული პენალტი გააპროტესტეს, თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ მსაჯს „დინამოს“ კარშიც შეეძლო თერთმეტმეტრიანის დანიშვნა? ორივე შემთხვევაში მან მცველების სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, ანუ მსაჯს, საერთო ჯამში, რომელიმე გუნდის სასარგებლოდ არ უმსაჯია. ასე რომ, გაუმართლებლად მიმაჩნია ამ თემაზე აპელირება, მით უმეტეს, რომ მსაჯობაზე საუბარი არ მიყვარს. ფაქტია, რომ ის მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

**- და როგორია თქვენი პროგნოზი ამ მატჩის წინ?**

- „დინამოს“ მწვრთნელ კახა კაჭარავასგან განსხვავებით, რომელიც თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებულია, მე შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი, „ვიტ ჯორჯია“ კი მთავარ სათქმელს არა გაზეთის ფურცლებზე, არამედ მოედანზე იტყვის. სწორედ იქ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

## გიორგი მერებაშვილი
# ეტყობა, დინამოს ხელმძღვანელობა ჩემით უკმაყოფილო იყო...

**ბოლო ტურებში თბილისის „დინამო“ არადამაჯერებლად თამაშობს. ალბათ, ეს ლოგიკურიცაა, რადგან გუნდის ლიდერი გიორგი მერებაშვილი ფორმაში არაა. მასზე ბევრადაა დამოკიდებული გუნდი კარგად გამოიყურება თუ არა. ფეხბურთში ინდივიდუალური ოსტატობა ბევრს წყვეტს, გიორგის კი თამაშის შეცვლა შეუძლია. ის გუნდს სამი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება, რადგან 28 ოქტომბერს ვარჯიშზე დაშავდა. მერებაშვილის გარეშე კი „დინამოს“ დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ბოლო დროს გავრცელდა კიდეც ხმები, თითქოს გიორგი კლუბის ხელმძღვანელობამ დასაჯა და დუბლშემადგენლობაში გადაიყვანა. ამის თაობაზე თავად მერებაშვილისგან უფრო დეტალურად შეიტყობთ...**



**- გიორგი, დუბლებში მართლა გადაგიყვანეს?**

- არა, ძველებურად ძირითადში ვვარჯიშობ.

**- აბა, ეს ხმები რატომ გავრცელდა? ამაზე სერიოზული ხალხი ლაპარაკობს...**

- შესაძლოა, იმიტომ ითქვა, რომ „გაგრასთან“ შეცვლაზე ვითამაშე. კონკრეტულად ჩემს დასჯაზეც არ ყოფილა ლაპარაკი. უბრალოდ, ბოლო დროს „დინამო“ კარგად ვერ თამაშობს, რამდენიმე მატჩი ვერ მოვიგეთ... ამის გამო, ხელმძღვანელობამ ცვლილებები განახორციელა, გაუშვეს დილმელაშვილი, დუბლებში გადაიყვანეს ნერგაძე. ზოგადადაც ითქვა - ვინც გუნდის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ან მოედანზე შესაძლებლობის მაქსიმუმს ვერ ავლენს, მეორე გუნდში გადასვლა მოუწევსო. ეს იმ ხალხსაც ეხებოდა, ვისაც კონტრაქტი უმთავრდება და წასვლას აპირებს.

**- შენ კონტრაქტი გიმთავრდება?**

- დიახ, ზაფხულში მიმთავრდება.

**- ...და დუბლებში გადასვლა გემუქრება?**

- ჯერჯერობით მთავარ გუნდში ვარ, მაგრამ უახლოეს პერიოდში ვერც ძირითადში ვივარჯიშებ და ვერც დუბლებში - ტრავმა მივიღე. ალბათ, სამი კვირა დავისვენებ.

**- ტრავმა სერიოზულია?**

- არაფერი განსაკუთრებული. 28 ოქტომბერს კარში დარტყმაზე ვვარჯიშობდი, როცა საზარდული გამეჭიმა. პირველად, ეს ტრავმა ორი წლის წინ მქონდა, ვიმკურნალე და მეგონა, საბოლოოდ მოვირჩინე-მეთქი, ტკივილი აღარ მაწუხებდა, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება მაინც დამრჩა. წინა სეზონი ასე ჩავატარე და მცირე ტკივილს შევეგუე კიდეც. ახალი სეზონი რომ დაიწყო და ევროპის ლიგისთვის მზადებას შევუდექით, ოდნავადაც არ მტკიოდა და მეგონა, ამოვისუნთქე... მაგრამ 28 ოქტომბერს ისევ შემახსენა თავი. უფრო ცუდადაც შეიძლებოდა, ყოფილიყო საქმე, კუნთის გაწყვეტის საფრთხე არსებობდა და საოპერაციო გავხდებოდი, მაგრამ ბეწვზე გადავრჩი. ახლა ფიზიოთერაპია და კიდევ ბევრი რამ დამინიშნეს. იმედი მაქვს, მინდორს სამ კვირაში მაინც დავუბრუნდები.

**- ისევ „დინამოსა“ და შენს ურთიერთობას დავუბრუნდეთ. კლუბის ხელმძღვანელობა შენით უკმაყოფილო იყო?**

- დიახ, ეტყობა ამ ეტაპზე უკმაყოფილო იყო, რადგან „გაგრასთან“ ძირითადში არ მათამაშეს.

**- რა ხდება „დინამოში“, რატომ ვერ თამაშობს გუნდი ისე, როგორც მისგან ელიან?**

- გადახალისება და თაობათა ცვლა ყველა გუნდში ხდება. „დინამოშიც“ ეს პროცესი დაიწყო და მტკივნეულად მიმდინარეობს. დუბლებიდან რამდენიმე ფეხბურთელი გადმოიყვანეს, ბევრი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა. მოკლედ ისეთი ცვლილებებია, ასეთ დროს ჩავარდნა არც არის გასაკვირი. თუმცა მჯერა, კრიზისს მალე დავძლევთ, ახალგაზრდები გუნდს შეეწყობიან და „დინამოს“ რომ შეეფერება, ისე ავთამაშდებით. გუნდის სახელი და ტრადიცია სხვა უფლებას არც გვიტოვებს.

**- „დინამო“ ლიდერ „ზესტაფონს“ უკვე 9 ქულით ჩამორჩება. შენი აზრით, წელს ჩემპიონობა ხელიდან ხომ არ გაუშვით?**

- 9 ქულა დიდი ჩამორჩენაა, მაგრამ წინ მთელი ორწრენახევარია და მართლა არაფერია დაკარგული. „დინამო“ ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და დარწმუნებული იყავით, გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონი გახდება. რაც არ უნდა ჩავარდნა გვქონდეს, ჩემპიონობასა და თასს იოლად არავის დავუთმობთ.

**- ნაკრებზეც უნდა გკითხო. გუნდი დეგრადირებულია, შესარჩევი ციკლი - ჩაგდებული, გულშემატკივარი კი - აღშფოთებული. რა სჭირს ნაკრებს? ნუთუ მეტი არ შეგიძლიათ?**

- როგორ არ შეგვიძლია, მაგრამ მრავალი პრობლემაა, რომელზეც ჩემზე კომპეტენტური ადამიანები ილაპარაკებენ. ვერ გადმოგცემთ, ბულგარეთის მატჩის შემდეგ როგორი დათრგუნული ვიყავი. მე და ნაკრების კიდევ რამდენიმე წევრმა ვილაპარაკეთ, ფეხბურთელები არ ვყოფილვართ, თამაში დავამთავროთ-თქო. ასე მძიმედ მხოლოდ ვენის „რაპიდთან“ ნაგება განვიცადე. ძნელია იმის გააზრება, რომ მეტოქეს ასე ჩამოვრჩებით. მართალია, მოედანზე მაშინ შევედი, როცა ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. გულშემატკივარი ასეთ დამარცხებას არავის გვაპატიებს და მართალიც არის. ასეთ სამარცხვინო ნაგებას საკუთარ თავს თავად ვერ ვპატიობთ.

**- ლევან კობიაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ნაკრების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ...**

- ლევანის ნათქვამის მესმის, მაგრამ ნაკრებში ვის მიიწვევენ, ეს ფეხბურთელების გადასაწყვეტი არ არის, მიწვევაზე უარის თქმა კი გაუმართლებელია. თორემ, შესაძლოა, ბევრჯერ გულში მეც ვფიქრობ, რომ ესა და ეს გამოსაძახებელი არ იყო, შემადგენლობაში რა უნდოდა, ტაქტიკაში შეცდა, მაგრამ თითოეული ფეხბურთელის ვალი მოედანზე გასვლა, მწვრთნელის დავალების შესრულება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლომდე დახარჯვაა. წაგებული თამაშის შემდეგ ყოველთვის ძნელია მიზეზების ახსნა, მით უფრო, ასეთი შეხვედრის შემდეგ. ძალიან მინდა, ეს ჩემთვისაც და ნაკრებისთვისაც უკანასკნელი შოკი იყოს. ამ იმედგაცრუებისთვის გულშემატკივრებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# სამი ფეხბურთელი მოსკოვის სპარტაკში
## ხოჭოლავას იტალიაში იწვევენ

**კახა ჭუმბურიძე** რესპონდენტად შემთხვევით არ შეგვირჩევია. თბილისის „დინამოს“ ყოფილი სპორტული დირექტორი ამჟამად საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ გენერალური დირექტორია. თანამოაზრეებთან ერთად, მან სამი წლის წინ დაიწყო იმ გუნდის მშენებლობა, რომელიც დღეს მთელი ქართული ფეხბურთის იმედადაა ქცეული - გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრები, რომლის 10 წევრი „საბურთალოდანაა“, პლუს, ამ სკოლიდან „ბარსელონაში“ წასული გიორგი ჭანტურია და მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი.

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ნაკრებს შოტლანდიაში ახლდა და საკუთარი თვალით იხილა ის პრობლემები, რაც გუნდში არსებობდა. ამას გარდა, როგორ აეწყო „ბარსელონასთან“ ურთიერთობები, რა პერსპექტივა აქვს ჭანტურიას და როგორ წაადგება გუნდს ეს პარტნიორობა ფინანსური თვალსაზრისით, რომელ ცნობილ კლუბებში მიდიან ნიჭიერი ქართველები... მოკლედ, ჭუმბურიძე ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება...

>> მე-4 გვერდზე

U17

# სამი ფეხბურთელი მოსკოვის სპარტაკში

« მესამე გვერდიდან

**- ბატონო კახა, ფეხბურთის ფედერაციაში 17-წლამდელთა ბოლო წარმატებასთან დაკავშირებული პრესკონფერენციის დროს, ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ ნაკრების ლიდერმა გიორგი ჭანტურიამ 17 ოქტომბერს „ბარსელონასთან" კონტრაქტი ოპციონის წესით (1+3) გააფორმა და დამადასტურებელი დოკუმენტიც წარმოადგინა. კატალონიურ გრანდთან ხელშეკრულება თქვენმა კლუბმა გააფორმა და რეალურად რა ხდება?**

- აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან გიორგიმ ერთწლიანი კონტრაქტი ზაფხულში გააფორმა, მანამდე კი საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" „ბარსელონას" ერთწლიან განათხოვრებაზე შეუთანხმდა, რომლის მიხედვითაც ჭანტურია კატალონიურ კლუბში ერთწლიანი იჯარით ითამაშებს. ამის თაობაზე ადრეც ვთქვით. გიორგი „ბარსელონაში" დიდხანს ვარჯიშობდა, ამხანაგურ შეხვედრებსაც ატარებდა და საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობდა, მაგრამ ოფიციალურ ტურნირებში გამოსვლის უფლება არ ჰქონდა - არაევროკავშირელი ქართველი ხომ უფლებაშეზღუდულია... ზაფხულში გიორგიზე მეურვეობა საკუთარ თავზე აიღო ესპანეთში საქართველოს მაშინდელმა ელჩმა და ეკონომიკის ამჟამინდელმა მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა და კონტრაქტიც გაფორმდა.

**- გათავისუფლების ფურცელი ფედერაციამ ახლა რატომ გააგზავნა?**

- საჭირო იყო უამრავი საბუთის შეგროვება, ყოველდღე ახალ-ახალ ცნობას გვთხოვდნენ, რადგან ესპანეთში არაევროკავშირელის სწავლა და მუშაობა პრობლემურია. საბოლოოდ, ყველა აუცილებელი საბუთი დაგვიანებით მოვიპოვეთ და ფეხბურთელის სატრანსფერო დოკუმენტაცია „ბარსელონაში" ფედერაციიდან ერთი კვირის წინ გააგზავნეს. არ გახსოვთ, ლევან ყენია ესპანეთში რომ არ შეუშვეს? სამწუხაროდ, ეს პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს.

**- ყველას გვაინტერესებს, რა მოხდება იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ? როგორ აფასებენ კატალონიელები ჭანტურიას პერსპექტივას?**

- დარწმუნებული ვარ, ერთი წლის შემდეგ კონტრაქტის გამოსყიდვაზე გვექნება მოლაპარაკება, რადგან ჭანტურიაში ისინი დიდ მომავალს ხედავენ. „ბარსას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ეს არაერთხელ ახსენა. კატალონიური გრანდში ბავშვი თავისზე უფროსი ასაკის ბავშვებთან ვარჯიშობს. თანაც, იქ უცხოელებს იშვიათად იწვევენ. ეს შემთხვევით არ მომხდარა. გიორგი არა მხოლოდ ნიჭიერი, მიზანდასახული ბიჭია და სანამ თავისას არ მიაღწევს, არ მოისვენებს.

**- ეს კონტრაქტი „საბურთალოსთვის" არა მხოლოდ პრესტიჟული, ფინანსურად მომგებიანიც უნდა გახდეს. ასე არ არის?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ სამომავლოდ თუ გახდება. ახლა კი, შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ და, რამდენიმე კლუბს ბევრად უკეთეს შეთავაზებაზე უარი იმიტომ ვუთხარით, რომ პირველი ქართველი ფეხბურთელი „ბარსელონაში" „საბურთალოდან" გავეშვა. არადა, მართლაც დიდ თანხებზე იყო ლაპარაკი...

**- კი, მაგრამ სკოლის განვითარებას ხომ სწორედ ეს „დიდი თანხა" სჭირდება?**

- ჭანტურიას „ბარსელონაში" გამოსვლა ქვეყნისთვისაც სახელია, კლუბისთვისაც და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის. როცა სახელს მოიხვეჭ, მერე სხვაგვარად გილებენ და გაფასებენ. ჩვენ კი გვსურს, „საბურთალო" ისეთ ბრენდად იქცეს, მხოლოდ საუკეთესო კლუბების პარტნიორი რომ იქნება. ტრანსფერებიდან მიღებული თანხის სახლში წაღებას არავინ აპირებს, ამას ისევ საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებლობას მოვახმართ. ერთი კვირის წინ კი, იოსებიძის ქუჩაზე, „საბურთალოს" ორ მოედანზე ბოლო თაობის ხელოვნური საფარი დავაგეთ, უახლოეს პერიოდში კი სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონის გენერალურ რეკონსტრუქციას ვგეგმავთ. ეს იქნება პატარა, მაგრამ თანამედროვე და კომფორტული სტადიონი, სადაც 2-ათასიანი ტრიბუნა აშენდება, უეფას სტანდარტებს დააკმაყოფილებს და უმაღლესი ლიგის მატჩებსაც უმასპინძლებს. სხვათა შორის, სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, საჩოგბურთო კორტებზე, ორი ახალი კორტი მოვაწყვეთ.

**- სტადიონის მშენებლობას გასულ წელს არ აპირებდით?**

- გარკვეული სამუშაოები დაწყებული გვქონდა, მიწას ვასწორებდით, მაგრამ რუსეთის აგრესიამ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა შექმნა. სტადიონის მშენებლობა გაგრძელდებოდა, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, პროექტის განხორციელება დროებით გადაიდო. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ალმასვლა, რამაც შოტლანდიაში წარმატება მოგვიტანა, „საბურთალოში" გიორგი დევდარიანისა და თემურ ფოცხვერიას გადმოსვლით დაიწყო, ეს დიდი შრომის შედეგია. მხოლოდ ენთუზიაზმით ეს ვერ მოხერხდებოდა, დიდი ინვესტიცია იყო საჭირო. ჩვენი დამფუძნებელი, „იბერია ბიზნეს-ჯგუფის" პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი „საბურთალოს" ფეხბურთის სიყვარულით პატრონობს, კლუბის შენახვას კი დიდი თანხები სჭირდება. და ეს იმ დროს, როცა, სპორტში კი არა, საერთოდ ქვეყანაში ინვესტიციის ჩადებას ბევრი ერიდებოდა.



**- როგორც ვიცი, „საბურთალოს" რამდენიმე ფეხბურთელი „ზესტაფონში" გაუშვით.**

- სამი ფეხბურთელი გავუშვით, რადგან ვხედავთ, რომ ეს კლუბი სწორი გზით ვითარდება და სამომავლოდაც მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, ისევე, როგორც ნებისმიერ იმ უცხოურ კლუბთან, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს ზრდის. „საბურთალოს" ჩამოყალიბების მიზანი სწორედ ეს გახლდათ. შარშან ჭაბუკთა ლიგაში გამოვდიოდით და ბევრ ფეხბურთელზე გაჩნდა მოთხოვნა. ჩვენ არ ვაპირებთ ბავშვების ბუნებრივი განვითარების პროცესის შეფერხებას. იმავე ჭანტურიას „ბარსელონაში" გადასვლის შანსი რომ გამოუჩნდა, ხელს ხომ არ შევუშლიდით? სიახლესაც გეტყვით - ჩვენი და ნაკრების სამ ფეხბურთელს - ვაკო ყაზაიშვილს, ლევან კოშაძესა და აჩიკო ტვილდიანს 8 ნოემბერს მოსკოვის „სპარტაკში" სინჯებზე ელიან.

**- „სპარტაკი" კარგი კლუბია, მაგრამ ამ ბიჭებს ევროპაში არ იწვევდნენ?**

- ამ მომენტისთვის ყველაზე კონკრეტული წინადადება „სპარტაკისგან" გვაქვს.

**- ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთში ქართველებს სავიზო პრობლემები ექმნებათ - რამდენად გამართლებულია ამ სამეულის მოსკოვში გაშვება?**

- ჯანო ანანიძის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერ ფეხბურთელს გასაქანი ყველგან აქვს, ჩვენ კი ტვილდიანის, ყაზაიშვილისა და კოშაძის ნიჭიერებაში დარწმუნებულნი ვართ. თანაც, მოსკოვის „სპარტაკთან" ურთიერთობის აწყობა კლუბსაც გამოადგება და ქართულ ფეხბურთსაც. ისე, ევროპული კლუბებიდან თუ წამოვა კონკრეტული შეთავაზებები, უფრო სასურველი იქნება. ევროპელებთან მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს, ყველაზე მეტად იტალიური კლუბები აქტიურობენ. დათი ხოჭოლავა „ემპოლიში" გასინჯეს და იტალიელები მას შოტლანდიაშიც აკვირდებოდნენ. რამდენიმე მიწვევა მასაც აქვს. უახლოეს პერიოდში დავკონკრეტდებით, თუ სად უნდა გავუშვათ. ჯერჯერობით, ყველაზე აქტიური „უდინეზეა". ჩვენი სტრატეგია ფეხბურთელების აღზრდა და შემდეგ ძლიერ კლუბებში გაშვებაა. და თუ საქართველოში უმაღლესი ლიგის კლუბის ასაყვანად სასურველი გარემო შეიქმნება, ჩვენი დამფუძნებლები უკან არ დაიხევენ, ამისკენ მივდივართ კიდეც, მაგრამ ჯერ საფუძვლებია შესაქმნელი.

**- რამდენად მართალია, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს შოტლანდიაში ფინანსური პრობლემები შეექმნა და ის მხოლოდ „საბურთალოს" ხელმძღვანელთა ჩარევის შედეგად მოიხსნა?**

- ფინანსური პრობლემები მართლაც წარმოიქმნა და „საბურთალოს" დამფუძნებელმა მოაგვარა. ჩვენ ნებისმიერ დროს გვერდში დავუდგებით ნაკრებს, მაგრამ მომავალში ასე აღარ უნდა მოხდეს. ნაკრებს აქედანვე უნდა დაუგეგმონ ელიტრაუნდისთვის მზადების თითოეული დღე. 17-წლამდელებში უნიჭიერესი თაობა იზრდება, ისევე, როგორც 19-წლამდელებსა და ახალგაზრდულში. რა მნიშვნელობა აქვს, „საბურთალოში" იზრდებიან თუ „ნორჩ დინამოელში". ზვიად სიჭინავამ გარშემო ის ადამიანები შემოიკრიბა, რომლებიც ჩემი ახლობლები და მეგობრები არიან. საკუთარ თავზე აიღონ ინიციატივა და გიორგი დევდარიანის გუნდს ყველა პრობლემა დროულად მოუგვარონ. დასაკარგი დრო არ გვაქვს. ეს ნაკრები ქართული ფეხბურთის მომავალია და გაფრთხილება სჭირდება. ჰაერივით საჭიროა ამხანაგური შეხვედრები, ეკიპირებასა და შეკრებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დალაგდება ფედერაცია და დარწმუნებული ვარ, ნაკრებსაც მიხედავენ. თუმცა, უპრიანი იქნება, სფეროები დროზე გაანაწილონ, კონკრეტულ მიმართულებას კონკრეტულმა პირმა რომ მიხედოს და თანაც - დღეიდანვე. ქართულ ფეხბურთს დრო ნამდვილად არ აქვს, ნაკრებისთვის ყოველი დღე ძვირფასია. მოსამზადებელი ეტაპი და ყოველი დღე თუ არ დაიგეგმა, თუ პარტნიორები დროულად არ შეირჩა, მეშინია, ქართველი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ არ დარჩეს იმედგაცრუებული. ეს წარმატება ღმერთის წყალობაა, პატრიარქის დალოცვას უდიდესი ძალა აქვს, გიორგი დევდარიანის სამწვრთნელო შტაბმა უდიდესი შრომა ჩადო ბავშვების სწორად გაზრდაში. ახლა ძლივს გამოჩნდა უნიჭიერესი თაობა, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ! რატომ არ იზრდებიან თაობებიო, გვიკვირს. როგორ არ იზრდებიან, მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში წამოსულ თაობას მიხედა ვინმემ? საქართველოს რამდენიმე ასაკობრივი ნაკრები ბოლო ათ წელიწადში ევროპის ჩემპიონატზე სამჯერ გავიდა, ამ თაობებს ნაკრებში ახლა უნდა ეთამაშათ, მაგრამ პროგრესის ნაცვლად, რეგრესი განიცადეს და ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავარდა ეროვნული ნაკრები. ახლა მაინც არ უნდა გამოვასწოროთ ძველი შეცდომები?

**- ნაკრები შოტლანდიაში დაგვიანებით გაემგზავრა. რატომ? რა მოხდა?**

- ვერ გეტყვით, ვისი ბრალი იყო. ფაქტია, რომ ნაკრებმა შოტლანდიაში დაიგვიანა. კარგი იყო, ფედერაციის რომელიმე წარმომადგენელი წამოგვყოლოდა, რადგან ადმინისტრატორს მოუხდა ოფიციალურ შეხვედრაზე სიარული. ნაკრებს განმასხვავებელი ნიშანი არ ეწერა, მაისურაზე ნომრებს „სტეპლერებით" იმაგრებდნენ. მე მტრის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ და მოდი, აქედანვე გავითვალისწინოთ ყველა შეცდომა, რათა მომავალში აღარ გავიმეოროთ.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

# ჟორჟიკაშვილი თანახმაა


კობა ჟორჟიკაშვილი

სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** თქვა, რომ თავისი გუნდის სამწვრთნელო შტაბში **კობა ჟორჟიკაშვილის** დამატება სურს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჟორჟიკაშვილს თავის დროზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გაუწვრთნია და საკმაოდ წარმატებულადაც - გუნდი ჯერ ელიტრაუნდში გაიყვანა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალამდე მიაღწია.

17-წლამდელთა ნაკრებში სავარაუდო მისვლასთან დაკავშირებით კომენტარი თავად კობა ჟორჟიკაშვილს ვთხოვეთ. *„მერწმუნეთ, გიორგის ამ სურვილის შესახებ პირველად თქვენი გაზეთიდან გავიგე. ისე კი ნაკრების თემაზე ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და თუ ჩემი დახმარება სურს, დიდი სიამოვნებით ამოვუდგები მხარში. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, მაგრამ თუ მართლაც შევედი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში, ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებ, რათა გუნდმა ელიტრაუნდშიც წარმატებით იასპარეზოს. გიორგიმ ისიც თქვა, რომ ნაკრებს დაცვაში აქვს გარკვეული ხარვეზები, და ჩემი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ალბათ, ამ ნაკლის გამოსწორება იქნება. ამას გარდა, სხვა კომპონენტებშიც შემიძლია გუნდს ჩემი გამოცდილება მოვახმარო", - გვითხრა ჟორჟიკაშვილმა.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ელიტა დაკომპლექტდა

## იტალია და რუსეთი თამაშგარეში

უკვე გაირკვა ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტრაუნდის ყველა მონაწილე და შესაბამისად, საქართველოს ნაკრების ყველა სავარაუდო მეტოქე. შეგახსენებთ, ელიტრაუნდის წილისყრა 9 დეკემბერს გაიმართება, ჩვენი მონინაალმდეგე კი ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი შეიძლება იყოს პორტუგალიის გარდა, რომელიც პირველ ეტაპზე ჩვენს ჯგუფში თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ელიტრაუნდში ვერ გააღწიეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც იტალია და რუსეთი არიან, სამაგიეროდ, ამ ეტაპს უნია მალტამ, რომელმაც ელიტრაუნდში ფინეთთან ერთად, საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით გააღწია.

ელიტრაუნდში გასული 28 ნაკრები შვიდ ოთხგუნდიან ჯგუფს შექმნის, თითოეული ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე თითო ნაკრები გავა. ამ შვიდ გუნდს კი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ლიხტენშტაინი დაემატება, სადაც ფინალური ეტაპი მომავალი წლის 18-30 მაისს ჩატარდება.

ელიტრაუნდში გავიდნენ: **ინგლისი, სერბეთი, ხორვატია, ბელგია, თურქეთი, გერმანია, ფინეთი, საფრანგეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ნორვეგია, უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, ესპანეთი, რუმინეთი, ავსტრია, პოლონეთი, ირლანდია, შვედეთი, ჰოლანდია, ჩრდ. ირლანდია, მალტა, პორტუგალია, საქართველო, უელსი, ბოსნია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

არჩევნები რეგიონებში

# ქორიძე და შარაბიძე


ვახტანგ ქორიძე

გუშინ და გუშინწინ რაჭა-ლეჩხუმისა და აჭარის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტები აირჩიეს. რაჭის ფედერაციაში თანამდებობა შეინარჩუნა **გიორგი შარაბიძემ**, რომელსაც დელეგატებმა ნდობა ერთხმად გამოუცხადეს. აჭარაში ასევე უალტერნატივო იყო თბილისის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი **ვახტანგ ქორიძე**. ორივე პრეზიდენტი ორი წლის ვადით აირჩიეს.

ხვალ ფედერაციის პრეზიდენტს კახეთში აირჩევენ, 6 ნოემბერს კი არჩევნები გურიაში ჩატარდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტზალი

# კალენდარი დადგინდა

თბილისის „იბერია" ევროპის ფუტზალის თასის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს. საქართველოს ჩემპიონებმა ბოლოს ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანულ „ეკოლის" 4:3 სძლიეს, მორიგ საკონტროლო შეხვედრას კი ხვალ ჩაატარებენ ახლად შექმნილ „ალგორითმთან". ელიტრაუნდამდე კიდევ რამდენიმე მატჩის გამართვაა დაგეგმილი.

ელიტრაუნდამდე კი არცთუ ბევრი დროა დარჩენილი. შეგახსენებთ, 19-22 ნოემბერს „იბერია" იტალიის ქალაქ პადუაში ითამაშებს, სადაც A ჯგუფში მისი მეტოქეები ადგილობრივ „ლუპარენსესთან" ერთად, ესპანური „მურსია" და ბელგიური „შარლერუა" იქნებიან. გადამწყვეტ ეტაპზე ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი გავა.

დადგინდა ჩვენი ჯგუფის კალენდარი, რომელიც ასე გამოიყურება:

**19 ნოემბერი**
მურსია-იბერია, ლუპარენსე-შარლერუა

**20 ნოემბერი**
შარლერუა-მურსია, ლუპარენსე-იბერია

**22 ნოემბერი**
იბერია-შარლერუა, მურსია-ლუპარენსე

„იბერია" ელიტრაუნდისთვის ალარავის დაიმატებს, გუნდის შემადგენლობა კი ასეთია: **ბომი, სალომაო, დუდა, რონი, ლეანდრო, რუდოლფო, ჟოანი** (ყველა ბრაზილია), **შაიტანოვი** (უკრაინა), **ჯამბურია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, წერეთელი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველები უცხოურ პრესაში



ბურთით დავით სირაძე

## დავით სირაძე

# ან გამარჯვება, ან გავარდნა!

## სირაძეს სჯერა, რომ სეზონს მაჟორულ ნოტზე დაასრულებს

ალექსანდრე ამისულაშვილისა და დავით სირაძის ნალჩიკური „სპარტაკი“ პრემიერლიგის აუტსაიდერთა შორისაა. ჩვენებურთა გუნდი 26 ქულით მე-14 ადგილზეა და მხოლოდ 2 ქულით უსწრებს კრასნოდარის „ყუბანს“, რომელიც გასავარდნი ორი გუნდიდან ერთ-ერთია. კვირას, 1-ელ ნოემბერს ნალჩიკელები სწორედ „ყუბანს“ უმასპინძლებენ და ამ შეხვედრას სირაძისა და ამისულაშვილის გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ რუსულმა ვებგვერდმა „რუსფუტბოლმა“ რესპონდენტად ნალჩიკელთა ფორვარდი დავით სირაძე შეარჩია. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში სირაძე „სპარტაკს“ სანკტ პეტერბურგში, „ზენიტის“ კარში გატანილი ეფექტური გოლით შეეწია. ამ გოლის წყალობითა და ზოგადად, კარგი თამაშით „სპორტ-ექსპრესმა“ ქართველი ფორვარდი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. რუსულ მედიაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს „ლელოს“ მკითხველსაც ვთავაზობთ...

**- ასეთი ეფექტური გოლი იშვიათობაა. იქნებ, „ზენიტთან“ გასვლითი მატჩი კიდევ ერთხელ გაიხსენოთ. საკმაო პაუზის შემდეგ სწორედ ამ შეხვედრაში გამოჩნდით ნალჩიკელთა სასტარტო შემადგენლობაში...**

- დიახ, გოლი მართლაც ლამაზი და ეფექტური გამოვიდა. თუმცა იმ შეხვედრაში ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. როგორც იცით, მთელი ნახევარი სეზონი გამიცდა, ფიზიკური კონდიციები აღვიდგინე და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მატჩში კარგად მეთამაშა, კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა, რომ სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება დავიმსახურე. იმედი მაქვს, ეს დავამტკიცე და მომდევნო შეხვედრებში უკეთ მინდა, წარმოვჩნდე.

**- იქნებ, გოლის ეპიზოდი გაიხსენოთ...**

- სიამოვნებით. ბურთი მივიღე, მეტოქის მეკარეს შევხედე, სიტუაცია წამის მეასედებში შევაფასე და შორეულ კუთხეში დავარტყი. ბურთიც კარგად „მომერგო“ ფეხზე...

**- ელოდით, რომ ამ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იქნებოდით?**

- მოსამზადებელ შეკრებაზე არავინ იცის, მოუწევს თუ არა თამაში. საამისოდ ყველა მონდომებით ემზადება, მწვრთნელი აკვირდება მათ და სასტარტო შემადგენლობასაც ამის მიხედვით არჩევს. როგორც ჩანს, მწვრთნელს სწორედ ვარჯიშების დროს მოვეწონე და თერთმეტეულშიც შემიყვანა. ძირითადში რომ ვითამაშებდი, ეს მატჩამდე 3 საათით ადრე გავიგე.

**- ამას რამდენად ელოდით?**

- კარგა ხანს, თითქმის ყოველი მატჩის წინ ველოდი - აი, ახლა მენდობიან და სასტარტოში ვიქნები... აი, ახლა და... ამ ლოდინში რამდენიმე ტურმა განვლო. როგორც ხედავთ, ჩემს ლოდინს „ზენიტთან“ მატჩმა დაუსვა წერტილი.

**- გასულ სეზონშიც მატჩების დიდი ნაწილი გამოტოვეთ. თითქმის მთელი პირველი წრე გაგიცდათ, მეორე წრეში კი ჩინებულად ათამაშდით. ეს რით ავხსნათ?**

- გერმანიიდან რუსულ პრემიერლიგაში სათამაშოდ სწორედ განვლილ სეზონში დავბრუნდი. აქ სხვა ფეხბურთი, სხვა მოთხოვნებია და ბუნებრივია, ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი დამჭირდა. თუმცა ეს ყველაფერი ავითვისე, მეორე წრეში საკუთარ ძალებში რწმენა ვიგრძენი და მივხვდი, რომ ამას შევძლებდი და როგორც აღნიშნეთ, კარგადაც გამომივიდა.

**- გასული სეზონის დასრულების შემდეგ ნალჩიკური კლუბი დატოვეთ. რატომ?**

- საკონტრაქტო ვადა ამოიწურა და იმიტომაც წავედი. ჩემი აგენტის მეშვეობით სხვა კლუბთან ვაპირებდი ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ ამ ტრანსფერიდან არაფერი გამოვიდა. ერთი ხანობა, სამშობლოშიც ვიყავი...

**- საქართველოში თამაშობდით?**

- არა, 5 თვის განმავლობაში თბილისის „ლოკომოტივში“ მხოლოდ ვვარჯიშობდი. მერე აგენტმა „ტერეკში“ გადამიყვანა. თავდაპირველად, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ მერე საქმე აირია და ისევ უკლუბოდ დავრჩი. შემდეგ ისევ აგენტის მეშვეობით დავბრუნდი ნალჩიკის „სპარტაკში“, აქ ყველა მიცნობს და კარგად იციან ჩემი შესაძლებლობები. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან დავიწყე. სათანადო ფიზიკური კონდიციების გარეშე, ძნელია რუსულ პრემიერლიგაში თამაში. ამიტომ, „ფიზიკაში“ ჯერ დუბლებთან ერთად ვემზადებოდი, მერე კი მთავარ გუნდში გადმოვედი და სასტარტო შემადგენლობისთვის კონკურენციაშიც ჩავერთე. ახლა კარგ ფორმაში ვარ და იმასაც ვგრძნობ, რომ მწვრთნელი მენდობა. ვფიქრობ, იმედებს ვამართლებ და მომავალშიც გავამართლებ.

**- კვირას „ყუბანთან“ გადამწყვეტი მატჩი გაქვთ. როგორ ემზადებით და რას ელით ამ თამაშისგან?**

- მონდომებით ვემზადებით. პრემიერლიგაში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ და ყველაფერს გავაკეთებთ ამ მატჩის მოსაგებად. მჯერა, სეზონს მაჟორულ ნოტზე დავასრულებთ.

## კახა კალაძე

# კრიზისის დაძლევაში ჟურნალისტები დამეხმარნენ

**კახა კალაძის ინტერვიუ ცოტა ხნის წინ შემოგთავაზეთ. „ლელოსთან“ მისი საუბარი ეროვნულ ნაკრებსა და მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემატიკას შეეხებოდა. რამდენიმე დღის წინ უკრაინულმა ვებგვერდმა „ბლიკმა“ კალაძის ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს... რატომ შეხვდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი მილანში ძმებ სურკისებს, შეუმცირეს თუ არა კლუბში ხელფასი, როგორი ურთიერთობა აქვს ლეონარდოსთან, რატომ ნატრობდა სიკვდილს და ვინ შეცვალა მისი ცხოვრება, რამდენად დაეტყო ეკონომიკური კრიზისი „მილანსა“ და იტალიურ კლუბებს... ვნახოთ, როგორ პასუხობს კალაძე ამ და სხვა კითხვებს...**

**- მძიმე ტრავმის გამო, 7 თვის განმავლობაში იძულებითი პაუზა გქონდათ. კლუბის შეცვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

- არა, რატომ?! ზაფხულში „ბაიერნისა“ და „ფიორენტინასგან“ კონკრეტული წინადადებები მქონდა, მაგრამ „მილანიდან“ წასვლაზე არც მიფიქრია...

**- 20 ოქტომბერს, მილანში „ინტერისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩამდე ძმებ სურკისებს შეხვდით. მანამდე ინფორმაცია გავრცელდა - კალაძე კიევის „დინამოში“ ბრუნდებაო, რომელიც უარყავით. სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკო „ჩელსიში“ ყოფნისას ამბობდა - ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი მაქვსო და კიევში დაბრუნებას უარყოფდა, მაგრამ დღეს ის კვლავ „დინამოშია“. ისევ თანაკლუბელები ხომ არ გახდებით?**

- ძმებ სურკისებთან ახლაც ჩინებული ურთიერთობა მაქვს და მილანში მათ მართლაც შევხვდი, მაგრამ გარწმუნებთ, კიევის „დინამოში“ დაბრუნებაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი. კიდევ ერთხელ ვამბობ - კლუბის შეცვლა ჩემს უახლოეს გეგმებში არ შედის. რაც შეეხება ჩემს მეგობარ ანდრეი შევჩენკოს, მას „ჩელსისთან“ კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ თამაში იშვიათად ან თითქმის არ უწევდა. ამ დროს კიევიდან კონკრეტული, ხელსაყრელი წინადადება მიიღო და დაბრუნდა კიდეც. კიევის „დინამო“ ხომ მისი მშობლიური გუნდია, ანდრეის ახლაც ხშირად ვეხმიანები ტელეფონით და ამბობს, რომ კიევში მშვენივრად დახვდნენ და თავს ბედნიერად გრძნობს.

**- შევჩენკო კიევში აპირებს კარიერის დასრულებას. ამ მხრივ თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

- კიდევ 3-4 წელიწადი მინდა ვითამაშო, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად დავასრულებ კარიერას. ამის მერე კი მინდა, ლონდონში ან ამერიკაში ვისწავლო.

**- ისიც დაიწერა, რამდენიმე წლის შემდეგ კახა კალაძე საქართველოს პრეზიდენტობისთვისაც იბრძოლებსო...**

- ვინ იცის, რა იქნება 20 წლის შემდეგ... ჯერ ისიც არ ვიცი, რას გავაკეთებ 5 წლის მერე...

**- როგორ მიდის „მილანში“ თქვენი საქმეები? სასტარტო შემადგენლობაში სტაბილურად არ გიწევთ თამაში, ლეონარდოსთან პრობლემები ხომ არ გაქვთ?**

- „მილანში“ არანაირი პრობლემა არ მაქვს. „რეალთან“ მატჩამდე მცირე ტრავმამ შემაწუხა და ამიტომაც ვერ ვითამაშე. ლეონარდოსთანაც არ მაქვს პრობლემა. როცა ის „მილანში“ ფეხბურთელად მოვიდა, ერთმანეთის მხარდამხარ რამდენჯერმე ვითამაშეთ. ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, მწვრთნელისგან სრულ ნდობას ვგრძნობ. ვარჯიშებზე მას ლეოს ვეძახით და ისიც ჩვეულებრივად იღებს ამას.

**- „მილანის“ აქციები მართლა არაბმა შეიხმა იყიდა?**

- კლუბის მეპატრონე სილვიო ბერლუსკონიმ გარკვევით განაცხადა, რომ „მილანი“ არ იყიდება და ეს ასეა! თუ შეიხმა ჩვენი კლუბის რამდენიმე აქცია შეიძინა, ეს სხვა საქმეა.

**- რამდენად შეეხო ეკონომიკური კრიზისი „მილანსა“ და იტალიურ კლუბებს?**

- შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს კლუბს კრიზისი თითქმის არ შეხებია. თუ მთლიანად იტალიურ ფეხბურთზე ვილაპარაკებთ, აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა სერია A-ს რამდენიმე კლუბი მოიცვა. თუ 10 წლის წინ „რომა“, „ფიორენტინა“, „პარმა“ და სხვა კლუბები ძვირად ღირებულ ფეხბურთელებს ყიდულობდნენ, ახლა ამას ველარ ახერხებენ. რამდენიმე კლუბში ადრე სხვა ხელფასები იყო და ახლა სულ სხვაა.

**- ხელფასის შემცირება თქვენც ხომ არ შეგეხოთ?**

- არა, ჩვენთან მსგავსი არაფერი ყოფილა.

**- იტალიასთან მატჩში საქართველოს ნაკრები თქვენი ორი ავტოგოლით დამარცხდა. ალბათ, მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლი დაგატეხათ თავს...**

- წარმოუდგენელი რამ მოხდა. მართალი გითხრათ, ჟურნალისტებისგან მხარდაჭერა ვიგრძენი, მათი მადლიერი ვარ და ეს დიდად დამეხმარა პიროვნული კრიზისის დაძლევაში. სიმართლე გითხრათ, ეს კოშმარი იყო და რამდენიმე დღის განმავლობაში შოკში ვიყავი... ისეთ კოშმარულ ვითარებაში აღმოვჩნდი, მოედანზე სიკვდილიც კი ვინატრე.

**- რამდენიმე თვის წინ ვაჟი შეგეძინათ, რომელსაც დაღუპული ძმის სახელი დაარქვით. რამდენად შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

- ლევანის დაბადებამ ჩემი ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა. ვარჯიშების შემდეგ, ახლა უკვე შინ მივიჩქარი შვილის სანახავად. ლევანი 3 თვისაა და ყოველდღიურად იცვლება. ჩემთვის მამის როლი ძალზე საპასუხისმგებლოა.

**- ვის ჰგავს პატარა?**

- მეც და მეუღლესაც. ჩემთვის უმთავრესია, ლევანი ღირსეული ადამიანი იყოს. ფეხბურთელი იქნება თუ სხვა საქმეს მოჰკიდებს ხელს, ეს ნაკლებად მაინტერესებს.

**- შვილის ნათლიები უკვე შერჩეული გყავთ?**



- მეუღლესთან ერთად ახლა სწორედ ამ საკითხზე ვმსჯელობთ. ბევრი მეგობარი მყავს და იოლი ნამდვილად არ არის არჩევანის გაკეთება. ვფიქრობ, მე და ანუკი მაისში საქართველოში ჯვარს დავიწერთ და ლევანსაც იმ დღეს მოვნათლავთ.

**- ავტომობილებისადმი თქვენი მისწრაფება კიევის შემდეგ მილანშიც არ შეცვლილა...**

- 30 წლის რომ გავხდი, მეგობარმა „როლს როისი“ მაჩუქა. მას იშვიათად ვიყენებ, უმეტესად ფარეხში დგას. ავტომობილებს იმიტომ კი არ ვიცვლი, რომ ავტოპარკის შექმნა ჩემი ჰობია, უბრალოდ, როცა ახალი მოდელი გამოჩნდება, რომელიც მომეწონება, ყოველთვის მინდა, გამოვცადო და ზოგს ვყიდულობ ხოლმე...

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**



ნაპოლი-მილანი. მატჩის უკანასკნელი წუთი. დენისი ათანაბრებს ანგარიშს

# რეაქტიულმა იუვემ სამპა გადაჯეგა

„მილანს" სულ ცოტა დააკლდა, რომ ზედიზედ მეოთხე მატჩში გამოსულიყო გამარჯვებული. „ნაპოლიმ" პატარა სასწაული მოახდინა და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მრისხანე მეტოქეს ორი გოლი გაუტანა. ვინც ეს თამაში იხილა, ყველა თანხმდება, რომ ფრე ლოგიკური შედეგი გახლდათ. მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა და მომენტებიც ორივე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. ბრწყინვალე იყო **ნელსონ დიდა**, რომელიც მთელი 90 წუთის განმავლობაში შესანიშნავად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. რამდენიმე ურთულესი სეივი გააკეთა და ნეაპოლელი ქომაგებისგან ტაშიც კი დაიმსახურა. გაშვებულ ბურთებში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ, მართალია პირველი გოლი საკმაოდ შორი მანძილიდან გაუტანეს, მაგრამ **ჩიგარინის** დარტყმული უზადო გახლდათ და თითქმის აუღებელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

ნამატჩევს მილანელები იმედგაცრუებულნი გახლდნენ, რაც არ არის გასაკვირი. შეხვედრა მათთვის მართლაც ფანტასტიკურად დაიწყო, მეექვსე წუთზე გუნდი უკვე ორი ბურთის სხვაობით იგებდა. ნირწამხდარმა **ჯანლუკა ძამბროტამ** დაკარგულ ორ ქულაში მაინც მოძებნა გარკვეული პოზიტივი: *„მთლიანობაში ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და უნდა მოგვეგო კიდეც. სამი ქულის მოპოვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ბოლო მომენტში კონცენტრაცია დავკარგეთ. გარკვეულწილად ეს კარგიც არის, რადგან სამომავლოდ მსგავს შეცდომას აღარ გავიმეორებთ. ზედმეტი არაფერი ვარგა, მათ შორის თავდაჯერებულობაც".*

კიდევ უფრო გულგატეხილი ჩანდა **ალეშანდრე პატო**: *„დაკარგულ ორ ქულას ჯერაც ვერ ვინელებ. ისეთი შეგრძნება მაქვს, ჯობდა პირწმინდად წაგვეგო ეს შეხვედრა, ვიდრე ასე დასანანად დაგვეკარგა ორი ქულა. მახარებს ის, რომ გუნდი თამაშობს, თითქოს გავიხსენით და შეტევაში ისე აღარ გვიჭირს, როგორც უწინ. მეტიც, ძალიან ლაღად ვთამაშობთ და მეტოქის კართან უამრავ ხიფათს ვქმნით. თუმცა, სტაბილურობას უნდა მივაღწიოთ, ამის გარეშე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი გაგვიჭირდება. ვეცდები, მალე დავივიწყო ნეაპოლური პაექრობა და შემდეგ შეხვედრაზე მოვახდინო კონცენტრაცია".*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრწყინვალედ გაისარჯა მილანელთა კარის დარაჯი - დიდამ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *„ეს იყო ძალიან დრამატული და სანახაობრივი შეხვედრა, რომელიც ალბათ ლოგიკური შედეგით დასრულდა. დიახ, ჩვენ მხოლოდ წამები გვაშორებდა გამარჯვებას, მაგრამ არ მინდა მეტოქეს თავგანწირული თამაში დავუკარგო. ტოლსწორად გვეპაექრნენ და ქულა დაიმსახურეს. რაც შეეხება გაშვებულ გოლებს, პირველ შემთხვევაში მცველებს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ, აი, მეორე გოლისას კი უკეთ შეეძლოთ თამაში. მაგრამ ფეხბურთში უშეცდომო არავინაა და მთელი 90 წუთის განმავლობაში, უნაკლოდ ვერავინ იასპარეზებს - ხმას როგორ ამოვიღებ, „რეალთან" ბავშვური შეცდომა დავუშვი და ყველანი გვერდში დამიდგნენ".*

სამაგიეროდ, ტურინშია სრული კმაყოფილება - „იუვენტუსმა" იფრინა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ასეთი „იუვე" დიდი ხანია არ გვინახავს: უმაღლესი ტემპი, ბრძოლა მოედნის თოთიეულ მონაკვეთზე და პრესინგი მთელი 90 წუთის განმავლობაში. ნუ კარგით, ბოლო ოცი წუთი ნაკლებად, მაგრამ საჭირო რომ ყოფილიყო, არც ეგ იქნებოდა პრობლემა. ბოლო დროს, „ვეკია სენიორას" მწარედ აკრიტიკებდნენ და როგორც ჩანს, ტურინელებმა ამ თამაშში მთელი ბრაზი ჩადეს. ეს იყო რეაქტიული „იუვენტუსი", რომელმაც მეტოქე გადაჯეგა.

შესანიშნავი იყო **კარვალიო ამაური**, ვინაც დუბლი შეასრულა. ბრაზილიელი, როგორც იქნა, გაიხსნა და **ჩირო ფერარას** შეუძლია შვებით ამოისუნთქოს. ბოლო დროს, ტურინელებს შეტევაში უჭირდათ, რადგან ტრავმირებული **ალესანდრო დელ პიეროს** შეცვლა ვერავინ მოახერხა. ამაურიმ მართლაც მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა, როგორც გუნდისთვის, ისე პირადად მისთვის. ასევე, უნდა გამოვარჩიოთ **სებასტიან ჯოვინკო**, ვისი სასტარტო შემადგენლობაში დაყენებაც ჩირო ფერარამ ბოლო მომენტში გადაწყვიტა - არც შემცდარა. ახალგაზრდა თავდამსხმელი მარცხენა ფრთიდან უტევდა და ძალიან ეფექტურადაც, მართალია გოლი არ გაუტანია, მაგრამ ეს მის ნაყოფიერ გარჯას ოდნავადაც არ ბღალავს. აი, რა განაცხადა ნამატჩევს ჯოვინკომ:

*„ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ, თანაც ასეთ ძლიერ გუნდთან და ასეთი ანგარიშით. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ მეტოქე ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირებით დავამარცხეთ. ჩვენი სიამოვნებისთვის ვითამაშეთ, რაც ბოლო დროს ძალიან გვაკლდა. ფერარამ სასტარტო შემადგენლობაში მანდო ადგილი და მგონი, არც უნანია. ჩემი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, მგონი ყველაფერი კარგად გამომივიდა და გუნდის გამარჯვებაში წვლილი შევიტანე".*

„სამპდორიაზე" რა უნდა ვთქვათ - პარადოქსია, მაგრამ გუნდს თამაში არ ჩაუგდია. გენუელებმა ითამაშეს ის, რასაც ყოველთვის თამაშობენ, უბრალოდ, იმ დღეს „იუვენტუსი" იყო რაღაც არაამქვეყნიური.

როგორც იქნა, გაიმარჯვა „ჯენოამ", თანაც ერთობ ძლიერ მეტოქესთან, „ფიორენტინასთან". **ჯან პიერო გასპერინიმ** მატჩის წინ განაცხადა, ფლორენციელებთან გამარჯვება სიკვდილ-სიცოცხლის ამბავიაო. „ჯენოამ" მოიგო და სიკვდილსაც გადაურჩა. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგითაც დასრულდა. შესანიშნავად ითამაშა **მარკო ამელიამ**, ვისაც ბოლო დროს მკაცრად აკრიტიკებდნენ. გენუელთა კიპერმა ურთულესი დარტყმები მოიგერია და **მარჩელო ლიპის** თავი შეახსენა. ბოლო დროს, მაესტრო ეროვნულ გუნდში მარკოს აღარ იწვევდა, რაც მისი სათამაშო ფორმიდან გამომდინარე ლოგიკურიც გახლდათ. კიდევ უფრო მეტი მომენტი შეიქმნა საპირისპირო კართან და ორჯერ გოლითაც დასრულდა. ჯერ **რაფაელე პალადინო** გამოირჩა, შემდეგ კი **ჯანდომენიკო მესტო**.

კვლავ წარუმატებლად ითამაშეს რომაულმა გუნდებმა. „რომაც" და „ლაციოც" კრიზისში არიან, გამოსავალი კი ჯერჯერობით არ ჩანს. „ბიანკოჩელესტემ" საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ „კალიარისთან" წააგო, „ჯალოროსი" კი უდინეში დამარცხდა. როგორც ჩანს, რომაულ კლუბებში ცვლილებები გარდაუვალია - თუ ასე გააგრძელეს, არც **დავიდე ბალარდინის** გააჩერებენ დიდხანს არც **კლაუდიო რანიერის**. არადა, ეს უკანასკნელი ამ სეზონში „ჯალოროსის" მეორე დამრიგებელია. იტალიაში უკვე აქტიურად ლაპარაკობენ იმაზე, რომ რომაული კლუბის მესვეურები მწვრთნელის შერჩევისას შეცდნენ. მართლაც და, ბოლო წლებში რანიერი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის და რაღა მაინცდამაინც „ჯალოროსი" უნდა აეყვანა წარმატების მწვერვალზე? - თუმცა, მას ჯერ კიდევ აქვს დრო და მთლად ხაზს ნუ გადავუსვამთ. რაც შეეხება ბალარდინის და „ლაციოს", აქ კიდევ უარესად არის საქმე - ცოტაც და „ბიანკოჩელესტე" გასავარდნ ზონაში დაეშვება.

ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება, მაგრამ თუ პრესას ვენდობით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ „სიენას" ახალი მწვრთნელი ეყოლება. „ბოლონიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, კლუბის მესვეურებმა **მარკო ჯამპაოლოსთან** კონტრაქტის გაწყვეტა გადაწყვიტეს და ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგნენ. ჟურნალისტების მტკიცებით, ჯამპაოლოს **მარიო ბერეტა** შეცვლის, ვინაც თავის დროზე ტოსკანურ კლუბს ორი სეზონის განმავლობაში ედგა სათავეში. არადა, ჯამპაოლო მოსალოდნელი კრახის შესახებ ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ლაპარაკობდა - გუნდის ლიდერები, **ცუნიგი** და **ხარჯა** რომ გამისხვისეთ, ღირსეულ შემცვლელებს ველოდებიო. რომ ვერ მიაღწია სანადელს, განაცხადა, ასეთი შემადგენლობით კარგი დღე არ დაგვადგებაო. ამბობდა, არ დაუჯერეს და ისევ ის დასაჯეს - ასეთია მწვრთნელის ხვედრი. დანარჩენს კი სტატისტიკიდან შეიტყობთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## იუვენტუსი-სამპდორია 5:1

**იუვენტუსი:** ბუფონი 6 - გრიგერა 6, ფ. კანავარო 6, კიელინი 8, გროსო 7 - სისოკო 6.5 (53. პოულსენი 6.5), ფელიპე მელო 7 (66. დე ჩელიე 6), კამორანეზი 7.5, დიეგო 7.5 - ჯოვინკო 8 - ამაური 8 (66. ტრეზეგე 6.5).

**სამპდორია:** კასტელაცი 7 - სტანკევიჩუსი 5.5 (61. კაჩატორე 6), ლუკინი 6, გასტალდელო 5, ძაური 5.5 (38. ბელუჩი 6.5) - პოლი 6, ტისონე 5 (49. პადალინო 5.5), ციგლერი 5.5, მანინი 6 - პაცინი 7, კასანო 5.

**გოლები:** 1:0 ამაური (26), 2:0 კიელინი (42), 3:0 კამორანეზი (50), 4:0 ამაური (62), 4:1 პაცინი (64), 5:1 ტრეზეგე (88)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 20-6 (9-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 25 273

## ჯენოა-ფიორენტინა 2:1

**ჯენოა:** ამელია 7 - პაპასტატოპულოსი 6, ბიავა 6, ბოკეტი 5, მოდესტო 6 (80. ესპოზიტო) - საპატერი 5.5, მ. როსი 6.5, მილანეტო 5.5 - პალადინო 7 (68. მესტო 7), კრესპო 5, სკული 6 (72. პალასიო 6.5).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6 - კომოტო 6, დაინელი 5.5, გამბერინი 5.5, პასკუალი 5.5 (82. კასტილიო) - მონტოლივო 7.5, დონადელი 5.5 (61. კ. ძანეტი 5.5), ვარგასი 6 - მუტუ 5, იოვეტიჩი 5 (55. მარკიონი 6.5) - ჯილარდინო 5.5.

**გოლები:** 1:0 პალადინო (43), 1:1 მარკიონი (64), 2:1 მესტო (74)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 778

## ნაპოლი-მილანი 2:2

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - გრავა 6, კამპანიარო 6 (67. დატოლო 6), რინაუდო 6, არონიკა 6 - გარგანო 6.5, პაციენცა 6.5 (63. ჩიგარინი 6.5), მაჯო 6, ჰამშიკი 6 - კვალიარელა 5.5 (71. დენისი 6.5), ლავეცი 6.5.

**მილანი:** დიდა 7.5 - აბატე 6, ნესტა (8. კალაძე 6), ტიაგო სილვა 6, ძამბროტა 5.5 - პირლო 6, ზეედორფი 6.5, ამბროზინი 6 - რონალდინიო 5.5 (60. ფლამინი 6) - ფ. ინძაგი 6.5 (73. ბორიელო 6), პატო 6.5.

**გოლები:** 0:1 ფ. ინძაგი (2), 0:2 პატო (5), 1:2 ჩიგარინი (90), 2:2 დენისი (90)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 13-1; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 25-7 (10-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 58 000

## უდინეზე-რომა 2:1

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი 6 - ბაშტა 6, საპატა 6.5, კოდა 6, პასკუალე 5.5 (46. ლუკოვიჩი 6) - დ'აგოსტინო 6 (76. პეპე 6), ასამოა 6.5, ინლერი 5.5 (69. ისლა 6.5)- ფლორო ფლორესი 7.5, სანჩესი 7 - დი ნატალე 6.

**რომა:** ა. დონი 6 - მოტა 6 (71. სისინიო 5.5), ჟუანი 6.5, მექსე 6, კასეტი 4.5 (62. ანდრეოლი 5.5) - დე როსი 6, ბრიგი 6 (90. ჟულიო ბაპტიშტა), პეროტა 5.5, გუბერტი 5 - ტადეი 4.5 - ვუჩინიჩი 5.

**გოლები:** 1:0 ფლორო ფლორესი (21), 1:1 დე როსი (42), 2:1 ფლორო ფლორესი (84)

**გაძევება:** ტადეი (48. რომა), ბაშტა (78. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 11-12 (3-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 22 000

## პარმა-ბარი 2:0

**პარმა:** მირანტე 6 - დელაფიორე 6.5, პანუჩი 6.5, ა. ლუკარელი 6 - ძაკარდო 6, ლუნარდინი 6, მორონე 6, გალოპა 6 (53. ჯემაილი 6), ლ. ანტონელი 6.5 (60. კასტელინი 6) - ლანცაფამე 5 (54. ბოჟინოვი 7), პალოსკი 7.

**ბარი:** ჟილე 6 - ა. მაზიელო 5.5, ბონუჩი 6, რანოკია 6.5, პარიზი 5.5 - გაცი 6, დონატი 6, ალეგრეტი 5.5 (53. ალმირონი 6), ე. ალვარესი 5.5 (67. ფ. ანტონელი 6) - კუტუზოვი 5 (63. პ. ბარეტო 6), მეჯორინი 5.

**გოლები:** 1:0 ბოჟინოვი (58), 2:0 პალოსკი (66)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 7-4 (2-0); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 16 000

## ლაციო-კალიარი 0:1

**ლაციო:** მუსლერა 5.5 - ლიხტშტაინერი 6, სივილია 5.5, რადუ 6, კოლაროვი 6.5 - ბროკი 6, პერპეტუინი 6 (46. მაური), ფოჯა 5.5 (55. კრუსი 5), მათუსალემი 6.5 - სარატე 6.5, როკი 5 (80. ს. ინძაგი).

**კალიარი:** მარკეტი 6.5 - ლოპესი 6, კონტი 6, ასტორი 6.5 - აგოსტინი 5.5, კანინი 6, კოსუ 6.5 (62. დესენა 6), ლაძარი 6, ბიონდინი 6 - ჟედა 5 (74. ნენე 6), მატრი 6.5.

**გოლი:** 0:1 მატრი (50)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 23-14 (7-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 15 000

## კატანია-კიევო 1:2

**კატანია:** ანდუხარი 6 - პოტენცა 5.5 (77. იცკო), სილვესტრე 5.5, სპოლი 6, კაპუანო 5.5 - კარბონი 6, ბიაჯანტი 5, პ. ლედესმა 6 (60. ლამა 6.5) - მორიმოტო 5 - რიკიუტი 5.5 (60. პლასმატი 5.5), მასკარა 5.5.

**კიევო:** სორენტინო 6 - მანდელი 6, იეპესი 6, იორი 6 - მანტოვანი 6, სარდო 6 (71. ნ. ფრეი 6), ბენტივოლიო 6.5 (79. არიატი), მარკოლინი 6.5, ლუსიანო 6 - გრანოკე 7 (86. მალაგო), პელისიერი 5.5.

**გოლები:** 0:1 მანტოვანი (32), 1:1 მასკარა (42-პენ), 1:2 მარკოლინი (70)

*36-ე წუთზე მარკოლინიმ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** მორიმოტო (82. კატანია)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 17-8 (2-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 12 000

## ლივორნო-ატალანტა 1:0

**ლივორნო:** ბენუსი 6 - დინისი 6.5, კნეჟევიჩი 6, მილიონიკო 6.5 - ა. ფილიპინი 5 (44. მარკინი 5.5), პულცეტი 6, პიერი 5.5, რაიმონდი 6 - კანდრევა 6 (87. მორო) - კ. ლუკარელი 5 (59. დანილევიჩუსი 6), ტავანო 6.5.

**ატალანტა:** კონსილი 4 - დარიჩი 5.5, ტალამონტი 5.5, პელუზო 5.5, ბელინი 6 - გუარენტე 6, ხ. ვალდესი 5.5, ე. ბარეტო 5.5 (67. რადოვანოვიჩი 5.5), პადოინი 5.5 - კ. დონი 5 (72. ჩერავოლო 5.5) - ტირიბოკი 5.

**გოლი:** 1:0 მილიონიკო (68)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-10 (3-2); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 9 065

## ბოლონია-სიენა 2:1

**ბოლონია:** ვივიანო 7.5 - რაჯი 6, პორტანოვა 6.5, ბრიტოსი 6, ლანა 6 - ჯაკ. ტედესკო 6 (82. მუდინგაი), გუანა 5.5, მინგაცინი 6, ვალიანი 6 - ოსვალდო 6.5 (78. მარაცინა 6), ადაილტონი 7.5 (76. ვიჯანი 6).

**სიენა:** კურჩი 6 - როზი 5.5, ბრანდაუ 5.5, ფიკანია 6, ა. როსი 6 - კოდრეა 6.5 (46. კალაიო 6.5), იაიალო 7 (72. პაოლუჩი 5.5), ეკდალი 6 (78. გაროფალო 5.5), ვერგასოლა 6 - გეზალი 5 - მაკარონე 5.5.

**გოლები:** 1:0 ადაილტონი (16), 2:0 ოსვალდო (59), 2:1 კალაიო (87)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 1-8; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-19 (3-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 000

## ინტერი-პალერმო 5:3

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 6.5, კორდობა 6, სამუელი 5.5, კივუ 6 (46. სანტონი 5) - ხ. ძანეტი 6.5, კამბიასო 6.5, მუნტარი 6 - სტანკოვიჩი 6.5 - ბალოტელი 7.5 (48. მილიტო 7), ეტო'ო 7 (74. ტიაგო მოტა 6).

**პალერმო:** სირიგუ 6.5 - გოიანი 5.5, კიაერი 5.5, მილიაჩო 5 - ბრეშანო 5.5, სიმპლისიუ 6.5 (85. ნოჩერინო), მელინტე 4 (46. ერნანდესი 7), კასანი 7 - პასტორე 5 (84. ბერტოლო) - მიკოლი 7.5, კავანი 5.

**გოლები:** 1:0 ეტო'ო (7-პენ), 2:0 ბალოტელი (34), 3:0 ბალოტელი (42), 4:0 ეტო'ო (43), 4:1 მიკოლი (49), 4:2 ერნანდესი (61), 4:3 მიკოლი (67), 5:3 მილიტო (83)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 20-18 (11-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 53 261

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 10 | 8 | 1 | 1 | 26-9 | 25 |
| 2. იუვენტუსი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-8 | 21 |
| 3. სამპდორია | 10 | 6 | 2 | 2 | 18-13 | 20 |
| 4. პარმა | 10 | 5 | 2 | 3 | 12-12 | 17 |
| 5. მილანი | 10 | 4 | 4 | 2 | 10-11 | 16 |
| 6. ჯენოა | 10 | 5 | 1 | 4 | 18-20 | 16 |
| 7. პალერმო | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 8. ფიორენტინა | 10 | 4 | 3 | 3 | 9-8 | 15 |
| 9. ბარი | 10 | 3 | 5 | 2 | 10-7 | 14 |
| 10. კიევო | 10 | 4 | 2 | 4 | 13-11 | 14 |
| 11. უდინეზე | 10 | 4 | 2 | 4 | 14-14 | 14 |
| 12. ნაპოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 14 |
| 13. კალიარი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-12 | 13 |
| 14. რომა | 10 | 3 | 2 | 5 | 16-18 | 11 |
| 15. ლაციო | 10 | 2 | 4 | 4 | 7-11 | 10 |
| 16. ატალანტა | 10 | 2 | 3 | 5 | 9-12 | 9 |
| 17. ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 9-15 | 9 |
| 18. ლივორნო | 10 | 2 | 3 | 5 | 4-10 | 9 |
| 19. კატანია | 10 | 1 | 4 | 5 | 10-15 | 7 |
| 20. სიენა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-15 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - პაცინი (სამპდორია); 6 - მილიტო (ინტერი), ტოტი (რომა); 5 - ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი), მანინი (სამპდორია), მიკოლი (პალერმო); 4 - ამაური (იუვენტუსი), დე როსი (რომა), მარკოლინი (კიევო), მესტო (ჯენოა), პალოსკი (პარმა), პატო (მილანი), პელისიერი (კიევო), ტირიბოკი (ატალანტა), ტრეზეგე (იუვენტუსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისციპლინო ამბები

# უცნაური მაფიოზი და ხულიგნები

**სერ ალექს ფერგიუსონის** წინააღმდეგ ახალი ბრალდებაა: ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი, თურმე, „ლივერპულის“ თავკაც **რაფა ბენიტესის** მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ხელმძღვანელობს. ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური მოსაზრება „უიგანის“ ახალგაზრდა შეფს, **რობერტო მარტინესს** ეკუთვნის - როგორც ჩანს, 36 წლის ესპანელ სპეციალისტს პატრიოტული გრძნობები მოერია და თანამემამულის დაცვა მოუნდა. გარდა ამისა, მარტინესი ბრძანებს, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ფერგიუსონის გავლენის ქვეშაა, ანუ „იუნაიტედის“ შოტლანდიელი მწვრთნელი ამ ორგანიზაციაში თავის ნება-სურვილს უპრობლემოდ ასრულებს.

მარტინესი: *„პრემიერლიგის მწვრთნელთა შორის ფერგიუსონს ერთგული ხალხი ჰყავს. მაგალითად, სტივ ბრიუსი მისი ყოფილი ფეხბურთელია, სემ ელერდაისი კი თავს „იუნაიტედში“ მის შემცვლელად მიიჩნევს და ყველა ღონეს ხმარობს, რათა ასიამოვნოს. არიან სხვებიც. მეორე მხრივ კი დგას მხოლოდ ბენიტესი და ყველა მხრიდან ნასროლი ქვები ხვდება“.*

თუმცა თემა, რომელიც მარტინესმა წამოსწია, ახალი არ არის. გასულ სეზონში, ზუსტად იმავე მოსაზრების გამოთქმისთვის თავად ბენიტესი „გაატარეს ხორცის საკეპ მანქანაში“.

ეტყობა სწორედ შარშანდელი ამბის გამო იყო, ჟურნალისტებმა „უიგანის“ თავკაცს კითხვა რომ გაუმეორეს: ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ფერგიუსონს ფეხბურთის ასოციაციაში დიდი გავლენა აქვს?

*„დიახ, უზარმაზარი, - მიუგო მარტინესმა, - მაგალითს გეტყვით: ხომ იცით, ფერგიუსონის წინააღმდეგ ფეხბურთის ასოციაციამ საქმე აღძრა, იმის გამო, რომ მან მსაჯზე, ალან უაილიზე თქვა ფიზიკურად მოუმზადებელიაო, მაგრამ სინამდვილეში იცით რა ხდება? ასოციაციის წევრები ტყავიდან ძვრებიან, რომ ფერგიუსონმა ეს თავხედობა აპატიოს“.*

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ასოციაციამ ფერგიუსონი მსაჯის მიმართ უსამართლო მოპყრობის ბრალდებით სადისციპლინო კომიტეტში გამოიძახა. ასოციაციის პრესმდივნის განცხადებით, საქმე გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს ეფუძნება - „იუნაიტედის“ მწვრთნელმა უაილი პრესკონფერენციაზე გააკრიტიკა და მისი სიტყვები ამიტომ გახდა საჯარო. საქმე ეხება 3 ოქტომბერს, „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „სანდერლენდს“ შორის გამართულ შეხვედრას. ფერგიუსონს პასუხისთვის 3 ნოემბრამდე მისცეს ვადა. შეგახსენებთ იმასაც, რომ „იუნაიტედის“ თავკაცმა თავისი კომენტარებისთვის ერთხელ უკვე მოიხადა საჯაროდ ბოდიში.

სხვათა შორის, ამ დღეებში სერ ალექსმა კიდევ ერთხელ გააკვირვა ქვეყანა. ინგლისურმა გაზეთებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს კაცი ნიადაგ განსხვავებული და უცნაური ქცევით გამოირჩევა. რით არის იგი ცნობილი? იმით, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის თავისი ფეხბურთელის თუ გუნდის დასაცავად იმაღლებს ხმას და საკუთარ შეცდომას თუ ცუდ საქციელს არასდროს აღიარებს. და აი, საოცრება: „ქარლინგის“ თასზე“ „ბარნსლისთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში მსაჯმა **კრის ფოიმ** მოედნიდან **გარი ნევილი** გააძევა, ფერგიუსონმა კი თქვა არბიტრი მართალი იყოო... ნევილმა შეხვედრის დამთავრებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე **ადამ ჰემილის** წინააღმდეგ იუხეშა და როდესაც მსაჯის ხელში წითელი ბარათი დაინახა, კიდეც გაოცდა, კიდეც აღშფოთდა, კიდეც გაბრაზდა, მაგრამ, ვაგლახ, მწვრთნელისგან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

*„ჩემი აზრით, ნევილმა მართლა ძალიან იუხეშა. ბიჭი კოჭის ოდნავ ზემოთ ქაცვებით დააზიანა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მსაჯი მართალი იყო და ამიტომ გაპროტესტებას არ ვაპირებთ“.*

ეს გაძევება „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ სამ დღეში მეორე იყო. თუ გახსოვთ, კვირას, „ენფილდზე“, „ლივერპულისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრაში არბიტრმა მოედნიდან **ნემანია ვიდიჩი** გააძევა. სულ მიმდინარე სეზონში კი ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა სამი წითელი იხილეს - კიდევ უფრო ადრე, „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში, **პოლ სქოულზიც** გააძევეს მოედნიდან.

და ბარემ აქვე ვიტყვით: ნევილის გაძევების გარდა ამ შეხვედრაში სხვა უსიამოვნო, უფრო სწორად კი, გაცილებით უსიამოვნო ინციდენტებიც იყო. კერძოდ, დაახლოებით ექვსი ათასამდე სტუმარმა ანუ მანჩესტერელმა ფანმა მოედანზე სხვადასხვა საგნის, მათ შორის პლასტმასის ბოთლების სროლა დაიწყო. იორკშირის პოლიციაში შესული ცნობების თანახმად, იმავე ქომაგებმა შესვენების დროს სტადიონზე კიოსკი დაანგრიეს და სანამ კიოსკის გამყიდველი გოგოები იმალებოდნენ, სალაროდან ფულიც მოიპარეს. იორკშირის პოლიციამ და საკუთრივ „ბარნსლიმ“ გამოძიება დაიწყეს. იმედი აქვთ, რომ ხულიგნებს სათვალთვალო ვიდეოკამერები დააფიქსირებდნენ.


ისევ სერ ალექსი და რაფა...

დაბრუნება



სამირ ნასრი

# არშავინი თუ ნასრი?

მოდი, ფრანგი **სამირ ნასრი** გავიხსენოთ. გასულ ზაფხულს, „არსენალს“ მოსამზადებელი ეტაპი ახალი დაწყებული ჰქონდა, როდესაც ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე სულ ათი წუთის შესულმა ნასრიმ ფეხი მოიტეხა და მას მერე მივიწყებულ ვარსკვლავთა სიაში აღმოჩნდა. ფრანგი ვარსკვლავი, ერთი წლის წინ, „არსენალმა“ „მარსელისგან“ 15,8 მილიონ ფუნტად იყიდა, რაც კლუბის სატრანსფერო რეკორდი გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ გასული სეზონის განმავლობაში ნასრის ნამდვილი ვარსკვლავივით არ უკაშკაშია, ციმციმებდა და ეგ იყო. თუმცა, როგორც ამბობენ, ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული. ყოველ შემთხვევაში, ნასრის მკურნალობა ნამდვილად მიუახლოვდა დასასრულს და ახლა დღის წესრიგში მისი „მეთოფეთა“ შორის დაბრუნება გახლავთ.

მაგრამ, სამირ ნასრის არყოფნაში „არსენალში“ ცვლილებები მოხდა, ძალები გადანაწილდა, მის მიერ დაცლილი სივრცე შეივსო - **ანდრეი არშავინზე** გვაქვს ლაპარაკი. რუსმა ფრანგი სატრანსფერო თანხითაც გადაფარა და ჩრდილოლონდონელთა სამფორვარდიან თავდასხმაში მარცხენა ფრთაზეც დაიმკვიდრა ადგილი. ამ ორი ფეხბურთელის შედარება და მათ შორის უმჯობესის ამორჩევა თქვენთვის მოგვინდია, ჩვენ კი იმას მოგახსენებთ, რაც „არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

*„მე შემიძლია ნასრი სხვადასხვა პოზიციაზე ვათამაშო, იქ, სადაც გუნდი მოითხოვს. შემიძლია უფრო უკან დავწიო, მეტი დაცვა მოვთხოვო, მაგრამ მას დრიბლინგი შეუძლია და ეს იმას ნიშნავს, რომ ნასრის გამოყენება ფრთაზეც მოსახერხებელია. გასული სეზონი ამ ფეხბურთელს ჩინებული ჰქონდა და მომავალში მისგან კიდევ უფრო მეტს ველით. დღეს მას ერთი ძალიან დიდი უპირატესობა აქვს, აქამდე არ უთამაშია და დასვენებულია. ის ძალიან კარგად ემზადებოდა და დარწმუნებული ვარ, უახლოეს ტურებში „არსენალს“ დიდ დახმარებას გაუწევს“.*

საკონტრაქტო საუბრები

# პეპეს ახალი ცხოვრება

**პეპე რეინას** „ლივერპულში“ კიდევ ხუთი წლით დარჩენა შესთავაზეს და თუ დათანხმდება, ხელფასს მოუმატებენ, კვირაში 95 ათას ფუნტს დაუნიშნავენ. როგორც ინგლისური ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, „წითლები“ რეინასთან ამ საკითხებზე გადაჭრით დალაპარაკებას იანვარში აპირებენ. მათი გეგმით რეინა უნდა შეუერთდეს „შეუცვლელ“ ფეხბურთელთა იმ ჯგუფს, რომელიც „ენფილდ როუდზე“ დიდხანს დარჩება.

საინტერესოა, რომ რეინას ძველი კონტრაქტის ვადა სულაც არ ეწურება. მან მერსისაიდელებთან ბოლო ხელშეკრულებას ხელი 2007 წლის ზაფხულზე მოაწერა. ის კონტრაქტი ხუთწლიანი გახლდათ ანუ მას ყავლი 2012 წელს გაუვა. მაშინ, 2007-ში, „წითლებმა“ რეინასთან კონტრაქტის გაფორმება იმიტომ მოიწადინეს, რომ მისი დაბრუნება მეკარის პირველმა გუნდმა, „ბარსელონამ“ (მერე „ვილიარეალშიც“ თამაშობდა) მოიწადინა. ახლა კი, როგორც ხედავთ, „ლივერპული“ გოლკიპერს ახალ ხელშეკრულებას სთავაზობს, ისეთს, როგორიც უკვე აქვთ **ფერნანდო ტორესს, სტივენ ჯერარდს** და **დირკ კუიტს**.

როგორც მიმომხილველები წერენ, ის, რომ კლუბი იანვარში ერთ-ერთ მთავარ საქმედ რეინასთან კონტრაქტის გაფორმებას ისახავს, იმას ნიშნავს, რომ „ლივერპულს“, ამ ზამთარს, ახალი ძვირიანი ფეხბურთელის შეძენა დაგეგმილი არ აქვს. ვინც ჰყავს ბენიტესს, იმ ფეხბურთელებით მოუწევს ბრძოლის გაგრძელება.

ზემოხსენებულმა ტორესმა, ჯერარდმა და კუიტმა ახალი ხელშეკრულებები გასულ ზაფხულს გააფორმეს. სეზონის დასაწყისში 2014 წლამდე კონტრაქტს მოაწერა ხელი **დანიელ აგერმაც**, ხოლო **ფაბიო აურელიო** მოლაპარაკებების პროცესშია. რა გამოვა მისი საქმიდან, ჯერ ცნობილი არ არის.

დაბოლოს, ისევ დავუბრუნდეთ რეინას. თუ იგი „ლივერპულთან“ ხანგრძლივ და განახლებულ თანამშრომლობას დათანხმდება, მისი ხელფასი 50 პროცენტით მოიმატებს. დღეს ის კვირაში 60 ათასს სჯერდება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


პეპე რეინა ლივერპულის შეთავაზებით გახარებული უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქარლინგის თასი

# სადებიუტო ნერვების შლა

**ალბერტო აკვილანის,** როგორც იქნა, მოედანზე ჭასვლა ეღირსა - იტალიელ ნახევარმცველს სამი თვეა დიდი ფეხბურთი არ უთამაშია. რაც „რომადან" 20 მილიონ ფუნტად „ლივერპულში" გადავიდა, მკურნალობას მოუნდა და აი, „ქარლინგის" თასზე „არსენალის" წინააღმდეგ, როგორც იქნა, ძირითად შემადგენლობაში ყოველგვარი შეცვლაზე შესვლის გარეშე ბურთაობას ეღირსა, მაგრამ... მერსისაიდელთა ძირითადში მისი პირველი შეხვედრა აღშფოთებითა და ნერვების შლით დასრულდა. და როგორ ფიქრობთ, ვისთან მოუვიდა აკვილანის კონფლიქტი? ვისთან და მსაჯ **ალან უაილისთან,** რომელმაც პენალტი არ დანიშნა - საოცარ პერიოდს გადის ცხოვრებაში არბიტრი უაილი: ხან **ალექს ფერგიუსონი** ეჩხუბება, ხან ალბერტო აკვილანი. ერთი სიტყვით, სულ გაზეთების პირველ გვერდზეა და მის თავს რაღაც ტრიალებს. შეხვედრა კი „მეთოფეების" გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

აკვილანი პენალტს მსაჯის წამატებულ წუთებში ითხოვდა - კოჭმოშუშებულმა იტალიელმა მაკრატელა დაარტყა, **ფილიპ სენდეროსმა** კი ბურთს ხელით გადაუღობა გზა. მატჩის შემდეგ ამ ინციდენტზე და სხვა მრავალ საკითხზე მერსისაიდელთა მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** პრესკონფერენციაზე ილაპარაკა:

*„აკვილანიმ მითხრა, რომ წმინდა წყლის პენალტი არ დანიშნეს. საერთოდაც, რომ წავაგეთ ძალიან ცუდი იყო, თუმცა მოგეხსენებათ, ნებისმიერ ცუდს კარგიც მოსდევს. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი კარგი ამბავი თავად აკვილანის თამაში გახლდათ. მსაჯს პენალტი რომ დაენიშნა, იტალიელისთვის, მისწრება იქნებოდა. წარმოიდგინეთ, სადებიუტო შეხვედრის ბოლო წამებზე ის მოიპოვებდა პენალტს და გუნდს დამარცხებისგან იხსნიდა. ეს რომ მომხდარიყო, ფანები ბუნებრივია, მას სულ სხვანაირად მიიღებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, არბიტრმა იმ ეპიზოდში წესების დარღვევა ვერ დაინახა. იმედი მაქვს, რომ მომავალში იღბალი უფრო გაუღიმებს. დღეს აკვილანის თამაშმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა: საუკეთესო ფიზიკური ფორმისგან, რასაკვირველია, ჯერ ძალიან შორს არის, მაგრამ მოედნის ბოლო მესამედში მწვავე პასების გადაწოდება შეუძლია და ამან ჩვენ დიდი უპირატესობა უნდა მოგვცეს. ერთი სიტყვით, აქედანვე აშკარაა, რომ ალბერტო აკვილანის შეუძლია „ლივერპულის" საკვანძო ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ მოდი, მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ და ნურც მას დავაძალებთ რამეს. შაბათს, პრემიერლიგის შეხვედრაში მას აღარ ვათამაშებ. ვფიქრობ, ზედიზედ ორი სტარტი იტალიელისთვის მეტისმეტი იქნება".*

**ილია ბაბუნაშვილი**


ალბერტო აკვილანი

## კურიოზი

# ვინ გააფრთხილე, მსაჯო?!

ბოლო დროს **ალექს ფერგიუსონი** მსაჯებს ეკამათება და როგორც წესი, მტყუნდება, მაგრამ სამშაბათს ერთ საკითხში მაინც გამართლდა და ამის ხალხისგან დამალვა არაფრით იქნება: „ქარლინგის თასზე" „იუნაიტედისა" და „ბარნსლის" შეხვედრაში, სწორედ იმ თამაშში, რომლის მეორე ტაიმშიც მოედნიდან **გარი ნევილი** გააძევეს და ამ გადაწყვეტილებას სერ ალექსი დაეთანხმა, **კრის ფოიმ** ერთი ფეხბურთელის მაგივრად მეორე გააფრთხილა. „იუნაიტედის" ფებურთელებზეა ლაპარაკი. გაფრთხილება **ფაბიო და სილვამ** მიიღო, არადა... **რაფაელ და სილვას** უნდა მიეღო. ფაბიო და რაფაელი ტყუპი ძმები არიან.

საინტერესოა, რომ მანჩესტერელ-ბრაზილიელ ძმათა წყვილმა, რალაცნაირად, 83-ე წუთზე, „ბარნსლის" ფეხბურთელის, **ჯამალ კემპბელ-რაისის** წინააღმდეგ წესის დარღვევა ერთად მოახერხა, ხოლო მერსისაიდელმა არბიტმა რაფაელის მაგივრად ფაბიო გააფრთხილა. ახლა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ფეხბურთის ასოციაციას უნდა მიმართოს, რათა მან ქაღალდებში შესწორება შეიტანოს და ერთის მაგივრად მეორე ფეხბურთელს ჩაუწეროს გაფრთხილება. ეს იმიტომაა საჭირო, რომ ფაბიო „ვულვზთან" შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს და ახლა წითელს ზედ ყვითელიც რომ დაემატოს, ძალიან ცუდი დისციპლინარული სურათი გამოუდის.

ფაბიო და რაფაელ და სილვას გვარ-სახელში, წესითა და რიგით, კიდევ ერთი სიტყვა უნდა ერიოს - **პარეირაა.** ანუ ძმებს სრულად რაფაელ პარეირა და სილვა და ფაბიო პარეირა და სილვა ჰქვიათ. ისინი 1990 წლის 9 ივლისს არიან დაბადებულნი. ფაბიო მარცხენა მცველია, რაფაელი კი მარჯვენა.

**ილია ბაბუნაშვილი**




## ესპანეთის თასი


პედროს გოლი კულტურალ ლეონესას კარში

# ალკორკონი აღარ გამეორდა

## ვალენსია ტრაგედიას გადაურჩა

**ესპანეთის** თასის მეოთხე რაუნდის პირველ მატჩებში „ალკორკონი"-"რეალის" დარი შოკი აღარ ყოფილა, თუმცა ერთი-ორი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით მაინც დასრულდა...

**ლეონესა-ბარსელონა 0:2**

**გოლები:** 0:1 პედრო (40), 0:2 პედრო (62)
**ბარსელონა:** პინტო, კეიტა, მარკესი, ჩიგრინსკი, მაქსველი, ტურე, ბუსკეტსი, ასულინი (57. აბიდალი), პედრო, ჟეფრენი (84. ჟონათანი), კრკიჩი.

„ბარსელონამ" წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა ლეონში, სადაც ადგილობრივ „კულტურალ ლეონესას" **პედროს** დუბლის წყალობით 2:0 მოუგო. მთელი თამაშის განმავლობაში „ბარსელონას" უპირატესობა აშკარა იყო, არადა, კატალონიელებმა უმთავრეს ვარსკლავებს დასვენების საშუალება მისცეს. **პეპ გვარდიოლას** ახალგაზრდების გამოცდა 10 ნოემბერსაც შეეძლება, როცა ბარსა „კამპ ნოუზე" საპასუხო მატჩს გამართავს. გვარდიოლამ **ჟეფრენ სუარესის,** პედროს და **ბოიან კრკიჩის** ტრიოთი შეუტია მასპინძლებს.

თავიდან ფავორიტს გაუჭირდა კარგად ორგანიზებული დაცვითი რედუტების გარღვევა, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე პედრომ გახსნა ანგარიში, ბოიანი მცველებთან ორთაბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ბურთი პედროს მიუგორდა, რომელმაც არ დაახანა და მეკარე **საისარს** ცხრიანში გაუტანა. მეორე ტაიმში პედრომ ჟეფრენის პასით იხეირა.

*„ძალიან კარგ შედეგს კი მივაღწიეთ, მაგრამ ეს ფეხბურთია, წინ კიდევ 90 წუთია. ასე რომ, საპასუხო შეხვედრასაც დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ",* - განაცხადა გვარდიოლამ მატჩის შემდეგ.

**ალკოიანო-ვალენსია 0:1**

**გოლი:** 0:1 ხოაკინი (9)
**ვალენსია:** მოია, ბრუნო (71. მიგელი), დელ ორნო, ალექსისი (30. მიჩელი), დე ალბერტი, მადურო, ბარახა, ხოაკინი, ალბა, მიკუ, ჟიგიჩი.

**უნაი ემერიმ** „ალკოიანოს" წინააღმდეგ თითქმის მეორე შემადგენლობა გაიყვანა, ამიტომაც გაუჭირდა „ვალენსიას" სტუმრად ქვედალიგელის დამარცხება. მე-9 წუთზე **ხოაკინმა** „ღამურები" დააწინაურა, მეტი გოლი მატჩში აღარ გასულა - 1:0. ხოაკინი ბოლო დროს ტრავმებმა და **პაბლო ერნანდესის** კარგმა თამაშმა სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო. საპასუხო მატჩში, წესით, „ვალენსიას" პრობლემები არ უნდა შეექმნას.

შეხვედრა კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა, მასპინძელთა ფეხბურთელთან საჰაერო დუელში **ალექსისი** ისე დაშავდა, რომ გონება დაკარგა, თუმცა, როგორც გაირკვა, თავის ტრავმა საშიში არაა და მომავალ ტურში „ვალენსიას" მცველი სავარაუდოდ ითამაშებს.

**სელტა-ტენერიფე 2:1**

**გოლები:** 1:0 საულო (20), 2:0 მიჩუ (24), 2:1 რიჩი (45)

ლა ლიგაში დაბრუნებული „ტენერიფე" საშინლად თამაშობს სტუმრად. ეს ვიგოში სათასო შეხვედრაშიც გამოჩნდა, სეგუნდადივიზიონის აუტსაიდერთან. გალისიელები თავიდანვე დაწინაურდნენ **საულოს** და **მიჩუს** გოლებით. ტაიმის მიწურულს „ელ ტეტემ" ერთი გოლის გატანა შეძლო (**რიჩი**), რომელიც შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს ორრაუნდიან ბრძოლაში.

**ხეტაფე-ესპანიოლი 2:0**

**გოლები:** 1:0 ალბინი (60), 2:0 გავილანი (70)

მეოთხე რაუნდში ყველაზე დაძაბულ ბრძოლას ამ წყვილში ელოდნენ, ერთმანეთს ხომ ლა ლიგის ცხრილის შუაგულში მყოფი გუნდები შეხვდნენ სამხრეთ მადრიდში. მართლაც ასე იყო, სანამ მეორე ტაიმში **ხუან ალბინმა** არ გახსნა ანგარიში. ათ წუთში **ხაიმე გავილანმა** კიდევ ერთი გოლი გაიტანა „ესპანიოლის" კარში. მიუხედავად ამისა, „ესპანიოლს" ჯერ არაფერი დაუკარგავს, გამარჯვებულის ვინაობა „კორნელია ელ პრატზე" ორ კვირაში გამოვლინდება.

**ერკულესი-ალმერია 2:1**

**გოლები:** 0:1 ჩიკო (39), 1:1 დანჩიულესკუ (54), 2:1 დიასი (88)

**უგო სანჩესის** გუნდი ლა ლიგაში ერთობ დაცვით ფეხბურთს თამაშობს, მექსიკელმა განაცხადა, რომ „ალმერია" სეგუნდადივიზიონელ მეტოქესთან აუცილებლად შეუტევდა და ამან შედეგი პირველივე ტაიმში გამოიღო, **ჩიკომ** სტუმრებს 1:0 მოაგებინა. მაგრამ მეორე ტაიმში „ალმერია" ჩვეულებრისამებრ დაცვაში „ჩაჯდა" და დაისაჯა.

**რაიო ვალეკანო-ბილბაო 2:0**

**გოლები:** 1:0 სუსაეტა (6), 2:0 პაჩონი (20)

„ალკორკონის" შემდეგ ყველაზე დიდი სიურპრიზი მადრიდულმა „რაიო ვალეკანომ" შემოგვთავაზა, რომლის ხელმძღვანელობა ამ სეზონში პრიმერადივიზიონში დაბრუნებას გეგმავს. ბასკები კი კვლავ ცუდად თამაშობენ, მათი სასტარტო სპურტი ხანმოკლე აღმოჩნდა. **ნესტორ სუსაეტამ** და **სერხიო პაჩონმა** დასაწყისშივე დააწინაურეს მადრიდელები. კიდევ კარგი, ბასკებმა ეს ჩამორჩენა მაინც შეინარჩუნეს, თორემ შეიძლებოდა **ხოაკინ კაპაროსს აბელ რესინოს** ბედი გაეზიარებინა.

**მურსია-დეპორტივო 0:1**

**გოლი:** 0:1 ლოპო (77)

გალისიელებმა მინიმალური ანგარიშით მათი მცველის **ალბერტო ლოპოს** ზუსტი თავურის წყალობით გაიმარჯვეს. როგორც ჩანს, „დეპორტივომ" დაივიწყა „ვალიადოლიდთან" 0:4 განადგურება და ისევ გამარჯვებებს დაუბრუნდა.

**ხერესი-ოსასუნა 1:2**

**გოლები:** 0:1 სერხიო (17), 0:2 დადი (21), 1:2 მალდონადო (67)

ნავარელებმა ანდალუსიაში შერეული შემადგენლობა ჩაიყვანეს, მაგრამ მაინც მოუგეს ლა ლიგის აუტსაიდერს - 2:1. „ხერესს" თითქმის აღარ შერჩა შანსი, რადგან გუნდს წლეულს გასვლაზე გოლიც არა აქვს გატანილი, კარგი დაცვითი ხაზით გამორჩეული „ოსასუნას" პამპლონაში დამარცხება კი მათთვის ფანტასტიკის სფეროა.

**სარაგოსა-მალაგა 1:1**

**გოლები:** 1:0 ლაფიტა (10), 1:1 აპონიო (76)

სათასო მატჩს ორივე გუნდი საშინელ ხასიათზე შეხვდა, არაგონელები „ბარსელონამ" „დაბომბა" ბოლო ტურში, ხოლო „მალაგა" ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე ჩაიძირა. ფრე, რა თქმა უნდა, „მალაგას" უფრო აწყობს, თუმცა ამ წყვილშიც ყველაფერი მეორე მატჩში გაირკვევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რა დაუჯდება რეალს პელეგრინის გაგდება

სათასო კატასტროფის შემდეგ ძალზე შეირყა „რეალის“ ჩილელი თავკაცის **მანუელ პელეგრინის** პოზიციები. მედია უკვე მისი სავარაუდო შემცვლელის ძებნითაა დაკავებული. ამ დროს კლუბის პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა**, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი განცხადება გააკეთა. პელეგრინის კრიტიკას სათავე სწორედ პერესმა დაუდო, როცა მან ჩილელის როტაციული სისტემა გააკრიტიკა და მოითხოვა, გუნდში მუდამ ვარსკლავები უნდა თამაშობდნენო. ახლა კი ის გულშემატკივრებს, სპეციალისტებსა და პრესას თავშეკავებისკენ მოუწოდებს. *„ალკორკონში მარცხი მართლაც საშინელება იყო, მაგრამ ყველანი უნდა დაწყნარდეთ. „რეალის“ ისტორია გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი მატჩი. არ არის საჭირო ამის გამო კრიზისზე ლაპარაკი. ჯერ მხოლოდ ორი თვეა, რაც სეზონი დაიწყო, გვაცალეთ! მწვრთნელი ახალია, რომელიც სულ სხვა სისტემით ათამაშებს გუნდს, ვიდრე მისი წინამორბედი, გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია. გუნდს უნდა მივცეთ დრო შეთამაშებისთვის და დარწმუნებული ვარ, შედეგი აუცილებლად ისეთი იქნება, ყველას რომ სურს. გაიხსენეთ, 2000 წელს თასზე სწორედ ასეთი კატეგორიის გუნდმა, „ტოლედომ“ გამოგვაგდო, მაგრამ ის სეზონი დიდებულად დავასრულეთ. რა თქმა უნდა, როგორც პრეზიდენტს, არ მომწონს, როცა ჩემი გუნდი „ალკორკონთან“ აგებს, მაგრამ ჩვენ მადრიდის „რეალი“ ვართ, ასე იოლად ვერ წაგვაქცევენ“*, - უთხრა ფლორენტინო პერესმა „დიარიო ასს“.



აქვს რაულს მწვრთნელის მონაცემები?


ფლორენტინო პერესი ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს

მიუხედავად ამისა, ესპანეთში მიიჩნევენ, რომ პელეგრინის დღეები „სამეფო კლუბში“ მაინც დათვლილია. ესპანურმა „სპორტმა“ ისიც გამოითვალა, თუ რა დაუჯდება „რეალს“ პელეგრინის დათხოვნა. ალმოჩნდა, რომ არცთუ მცირე თანხა - თუკი ჩილელს კონტრაქტს შეუწყვეტენ, „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელები ვალდებულები იქნებიან, მას ორი წლის განმავლობაში 11 მილიონი ევრო უხადონ! ამას დავუმატოთ ის 4 მილიონი ევრო, რომელიც „რეალმა“ „ვილიარეალს“ კომპენსაციის სახით გადაუხადა პელეგრინის გამო.

## რაული რეალის მწვრთნელად?

მადრიდის „რეალის“ ვეტერანი ფორვარდის რაულის აგენტმა **ხინეს კარაბახალმა** განაცხადა, რომ რაულს ყველა სამწვრთნელო მონაცემი აქვს და შორს არ არის ის დრო, როცა მისი კლიენტი „სამეფო კლუბს“ მწვრთნელის რანგში ჩაუდგება სათავეში.

*„ფლორენტინო პერესი და რაული კარგად ითანამშრომლებენ, რადგან მათ ერთი დიდი სიყვარული აერთიანებთ - „რეალი“. რაული დაბადებულია მწვრთნელობისთვის და ალბათ სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ ის მწვრთნელი გახდება. მთელი სეზონი ხომ შრომობს, ვარჯიშობს, თამაშობს, გზაში დიდ დროს ატარებს, მიუხედავად ამისა, რაული ყოველთვის დიდ დროს უთმობს ფეხბურთის ყურებას, პრემიერლიგა, კალჩო, ბუნდესლიგა, მას ყველაფერი აინტერესებს. ეს მისი ცხოვრებაა. ნებისმიერი ტოპ გუნდის სათამაშო ტაქტიკაზე წარმოდგენა აქვს და ხშირად მიზიარებს თავის შეხედულებებს მსოფლიო ფეხბურთის ტენდენციებზე. თუმცა ჯერ მისი ფეხბურთიდან წასვლა ნაადრევია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი

# გიხაროდენ, ლუის!

## კლოზე და ტონი ათამაშდნენ, ვერდერი დაუმარცხებელია, შალკე სოლიდური...

**სამშაბათისგან განსხვავებით, გერმანიის თასზე ოთხშაბათმა აბსოლუტურად უსენსაციოდ ჩაიარა. მეტიც, ფავორიტებს ოდნავადაც არ გასჭირვებიათ წარმატების მიღწევა. ასე რომ, სუსტი მეტოქეები მარტივად გაანადგურეს და მეოთხედფინალში გავიდნენ „შალკე“, „ვერდერი“, „ბაიერნი“ და „ჰოფენჰაიმი“.**

**მიუნხენ 1860–შალკე 0:3**

**მიუნხენ 1860 (4-1-3-2):** კირალი - რუკავინა, ფელი, ტ. ჰოფმანი, ჰოლებასი - იგნიოვსკი - ლუდვიგი (86. რიოსლერი), აიგნერი, კამდალი (55. კაიზერი) - კ. კომპერი (55. მლაპა), ლაუთი.

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი - ჰიოვედესი, სამბრანო, ბორდონი, ვესტერმანი - მორიტცი - რაფინია (70. პლიციკასი), შმიტცი - ჰოლტბი - კურანი, ჰალილ ალთინთოფი.

**გოლები:** 0:1 რაფინია (41), 0:2 ჰიოვედესი (48), 0:3 ჰიოვედესი (81)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 28 500

**ვერდერი–კაიზერსლაუტერნი 3:0**

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - კ. ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი - ფრინგსი (79. ნიმაიერი) - ბოროვსკი, ჰანტი - იოზილი (78. ბარგფრედე) - მარსელო მორენო (46. იორლი), მარინი.

**კაიზერსლაუტერნი (4-1-3-2):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, როდნი, ბუგერა - ბ. შულცი (79. ფ. მიულერი) - მანდჯეკი (46. ბილეკი), პალიჩი (52. ლაკიჩი), პავლოვიჩი - ა. ნემეცი, იენდრიშეკი.

**გოლები:** 1:0 პასანენი (28), 2:0 ბოროვსკი (39), 3:0 იორლი (76)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 26 094

**აინტრახტი–ბაიერნი 0:4**

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი - პ. ოხსი, ფრანცი, რუსი, შპიხერი - კრისი, ბაირამოვიჩი (46. ტებერი) - შვეგლერი, ა. მაიერი, შტაინჰიოფერი (46. ლიბეროპულოსი) - ფენინი (79. ქორქმაზი).

**ბაიერნი (4-1-2-1-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი (46. დემიკელისი), ბადშტუბერი, ბრააფჰაიდი - ვან ბომელი - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (69. გომესი) - თ. მიულერი - კლოზე (59. პრანიჩი), ტონი.

**გოლები:** 0:1 კლოზე (14), 0:2 კლოზე (19), 0:3 თ. მიულერი (29), 0:4 ტონი (52)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 51 500

**ჰოფენჰაიმი–კობლენცი 4:0**

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** ჰილდებრანდი - იბერტსბერგერი, ფორსა, კომპერი, აიხნერი - ძუკულინი (46. ობასი/66. ვუკჩევიჩი), ლუის გუსტავო, სალიჰოვიჩი - კარლოს ედუარდო (74. ტერაცინო), იბიშევიჩი, მაიკოსუელი.

**კობლენცი (4-2-3-1):** იელდელი - ფორკელი, მავრიჩი, ბ. ლენზე (60. ლანგენი), სკერაჯი - მ. ჰარტმანი, მორაკი - მელინიო (68. კრ. მიულერი), სკელა, კრონტირისი (ნ. კუქი) - ს. კუქი.

**გოლები:** 1:0 სალიჰოვიჩი (50), 2:0 იბიშევიჩი (71), 4:0 კომპერი (90)

**გაფრთხილება:** 0:0

**მაყურებელი:** 18 050

რა რევანში, რის ვენდეტა? „ბაიერნს“ ფრანკფურტში კარგი, მაგრამ ძვირად ღირებული ვარჯიში გამოუვიდა. რეკორდმაისტერმა „აინტრახტი“ ძალიან იოლად გაანადგურა: 4:0. ამ „ვარჯიშში“ განსაკუთრებით ბეჯითები იყვნენ **მიროსლავ კლოზე** (დუბლი) და **ლუკა ტონი** (ერთი გოლი), რომლებმაც **ლუის ვან გაალის** ხელში პირველად მოახერხეს გოლების გატანა. კლოზეს ბუნდესლიგის ზედიზედ შვიდ მატჩში არ ჰქონდა გატანილი და საერთოდ, მარტის შემდეგ „ბაიერნის“ მაისურით ჩატარებულ არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ ეხეირა. კლოზეს მხოლოდ გერმანიის ნაკრებში გაჰქონდა გოლები. არც იტალიელ გოლეადორს გაეტანა ვან გაალის ხელმძღვანელობით - ტონის ბოლო ოფიციალური გოლი 16 მაისით თარიღდებოდა (2:2 ჰოფენჰაიმში).

თამამად ვიტყვით, რომ ძალიან უსუსური „აინტრახტის“ კარში, წესით, კიდევ რამდენიმე გოლი უნდა გასულიყო, მაგრამ მიუნხენელებმა 4 იკმარეს. 29 წუთის შემდეგ შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: მე-14 წუთზე **ვან ბომელის** შესანიშნავი პასი კლოზემ გამოიყენა და ანგარიში გახსნა; მე-19 წუთზე მიროს უკვე **თომას მიულერმა** გაატანინა; 29-ე წუთზე კი კლოზემ უპასა მიულერს, რომელმაც სხვაობა სამამდე გაზარდა. წერტილი კი თამაშს ტონიმ 52-ე წუთზე, მიულერის პასით დაუსვა.

1989 წელს **ფელიქს მაგათმა** („შალკეს“ წვრთნის) და **ევალდ ლინენმა** („მიუნხენ 1860“) სამწვრთნელო ლიცენზია ერთად აიღეს - ერთ ჯგუფში იყვნენ, ერთად ისწავლეს და გამოცდებიც ერთად ჩააბარეს. აღსანიშნავია, რომ მაშინ ლინენი წლის გამოშვების საუკეთესო სტუდენტად აღიარეს. დღეს ფელიქსი გაცილებით დიდი მწვრთნელია, ვიდრე ლინენი, რაც ოთხშაბათსაც გამოჩნდა: „შალკემ“ „მიუნხენ 1860“ 3:0 გაანადგურა. ამასთან, მაგათმა ლინენს ტაქტიკური სიურპრიზიც შესთავაზა: მან **ბენედიქტ ჰიოვედესი** დაცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა, **რაფინია** კი ნახევარდაცვაში. შედეგი: ერთი გოლი რაფინიას ანგარიშზეა, ჰიოვედესმა კი სულაც დუბლი შეასრულა(!) და მერე თქვა: *„რამდენი წელია, დუბლი არ შემისრულებია... ჩვენ ფინალში გასვლა გვინდა!“*

>> მე-10 გვერდზე



ლუკა ტონიმ ერთი, მიროსლავ კლოზემ კი ორი გოლი გაიტანა

# ლოლომ გააგრძელა, ლუიშ ფაბიანომ არა

„სევილიას“ მცველმა **ლოლომ** კლუბთან ხელშეკრულება გააგრძელა. ახლა ის 2011 წლის ივნისის ჩათვლით „ლოს ნერვიონენსესის“ წევრია. ლოლო „სევილიას“ აღზრდილია, თუმცა ბოლო სეზონის დიდი ნაწილი იჯარით „მალაგაში“ გაატარა, სადაც მან საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა და გუნდს მე-8 ადგილის მოპოვებაში დაეხმარა. 25 წლის ლოლოს მსურველმა კონტრაქტის ამოწურვამდე „სევილიას“ 20 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. *„ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი ბოლო კონტრაქტი არაა „სევილიასთან“. შრომა დამიფასდა და ძალიან გახარებული ვარ“*, - უთხრა ლოლომ „დიარიო ასს“.

სამაგიეროდ „სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდის **ლუიშ ფაბიანოს** აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი არ ჩქარობს კლუბთან ახალი კონტრაქტის ხელმოწერას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლოლო 2011 წლამდე სევილიელია

# ურუგვაელის დებიუტი

ამ უქმეებზე მადრიდის „ატლეტიკოს“ რიგებში შეიძლება ურუგვაელი მცველის **ლეანდრო კაბრერას** დებიუტი ვიხილოთ. 18 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი „ატლეტიკომ“ ზაფხულში „დეფენსორ სპორტივისგან“ შეიძინა. თუმცა კაბრერა ურუგვაის 20-წლამდელთა გუნდში მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა ეგვიპტეში, სადაც საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. მოკლედ, სანაკრებო მატჩებმა და ტრავმამ კაბრერას დებიუტი გვარიანად დააგვიანა და ის შეიძლება „სან მამესზე“ ბილბაოს „ატლეტიკის“ წინააღმდეგ შედგეს. „ატლეტიკომ“ ურუგვაელი ზაფხულში 1,5 მილიონ ევროდ შეიძინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი

1/8 ფინალი



თომას შააფის ვერდერს საქმეები თასზეც კარგად მისდის

# გიხაროდენ, ლუის!

« მე-9 გვერდიდან

„შალკეს" კარის დარაჯ **მანუელ ნოიერს** მოედანზე საქმე ფაქტობრივად არ ჰქონია, სამაგიეროდ, საფინალო სასტვენის შემდეგ ჟურნალისტებმა გაუწყალეს გული, რას იტყვი იმაზე, რომ **გიუნტერ იაუხი** ყველას ენიძლავება, ნოიერი ზამთარში „ბაიერნში" გადავაო. მანუელის პასუხი: *„შალკეში" ვთამაშობ, „შალკეში" ბედნიერი ვარ!"* შეიძლებოდა, რომ ეს თამაში ქართველების დუელი ყოფილიყო, მაგრამ მოედანზე ვერ ვიხილეთ ვერც **ლევან ყენია** (მაგათმა დაასვენა), ვერც **ლევან კობიაშვილი** და ვერც **მათე ღვინიანიძე**. ეს უკანასკნელი მიუნხენელთა განაცხადში მაინც იყო, კობი და ყენია კი განაცხადშიც არ ყოფილან...

ბუნდესლიგა, ევროპის ლიგა, გერმანიის თასი - 16 თამაშია (!), ბრემენის „ვერდერი" არ დამარცხებულა. ოთხშაბათს, ბრემენელთა მსხვერპლი მეორე ბუნდესლიგელი „კაიზერსლაუტერნი" შეიქნა. თასის მოქმედმა მფლობელებმა „წითელ ეშმაკებს" 3:0 გადაუარეს. **თომას შააფმა** როტაციას მიმართა და სასტარტოში ათამაშა როგორც **ტიმ ბოროვსკი** (**ბარგფრედეს** ნაცვლად), ისე **პეტრი პასანენი** (**ბიონიშის** ნაცვლად). ორივე მათგანმა მწვრთნელს მადლობა გოლებით გადაუხადა...

„კობლენცი" „ჰოფენჰაიმს" დაცვაში ჩაუდგა და უნდა ალინიშნოს, რომ მეორე ბუნდესლიგელებმა **რალფ რანგნიკის** ალვირახსნილ ტაქტიკას (4-3-3) 50 წუთი გაუძლეს. ხსენებულ დროს კი **სეიად სალიჰოვიჩმა** შესანიშნავი ჯარიმით (22 მეტრიდან) გატეხა კობლენცელები. სალიჰოვიჩის ჯარიმას **ვედად იბიშევიჩის**, **მაიკოსუელისა** და **მარვინ კომპერის** გოლებიც მოჰყვა. „ჰოფეს" თავდამსხმელი **ჩინედუ ობასი ოგბუკე** დაშავდა და შესაცვლელი გახდა. დიდი შანსია, რომ ნიგერიელის ტრავმა სერიოზული ალმოჩნდეს.

ინტერვიუ

ობაფემი მარტინსი

# ნუ გგონიათ, რომ ვოლფსბურგის სკამი მომწონს

## ნიგერიულ ფეხბურთში ცუდი რაღაცეები ხდება

**გახსოვთ** ის დრო, როცა ობაფემი მარტინსი მილანის „ინტერში" გამოჩნდა? არა გვგონია, არ გახსოვდეთ, რადგან თუ ფეხბურთს თვალყურს ადევნებთ, იმ დროს აუცილებლად შეამჩნევდით ტანდაბალ, ვერცხლისწყალივით მოძრავ ნიგერიელ თავდამსხმელს, რომელზეც ხუმრობით ხშირად გვითქვამს, ოთხ ფეხზე დარბისო. მარტინსი ყველასგან გამოირჩეოდა - ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს პრემიერლიგიდან გავარდნილი „ნიუკასლი" დატოვა და დღეს გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, „ვოლფსბურგის" რიგებში თამაშობს, მაგრამ ედინ ჯეკოსა და გრაფიტეს ძირითადი სემადგენლობიდან ამოგდება ძალიან უჭირს. თუმცა ახლა გრაფიტეს ორკვირიანი სპეციალური შვებულება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტინსს შანსი ეძლევა. გთავაზობთ ინტერვიუს ობასთან, რომელიც გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა.

**- ობაფემი მარტინს, ორი კვირის წინ, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" მატჩში რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეთ - ბურთის კარში გადაგზავნა ქუსლით სცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგივიდათ. რას ფიქრობს ხოლმე თავდამსხმელი ასეთი ასპროცენტიანი მომენტის გაფუჭების შემდეგ?**

- გაცუდებულ მომენტზე არასდროს ვფიქრობ. როცა თავდამსხმელი ხარ და ცდილობ, გოლები გაიტანო, ცხადია, ბევრ მომენტს გააფუჭებ კიდეც. ასე რომ, ამაზე ფიქრი უაზრობაა. მთავარია, ბევრი მომენტი არ გაატანო ქარს და შიგადაშიგ, გოლებიც გაიტანო.

**- წინა სეზონში „ვოლფსბურგი" ძალიან წარმატებული გუნდი იყო და ფელიქს მაგათის ხელში გერმანიის ჩემპიონი გახდა. ეს სპეციალისტი საჯარიმოში ხშირ ჩაწოდებებს ანიჭებდა უპირატესობას და „ვოლფსბურგს" გრძელი პასებით ათამაშებდა, თუმცა თქვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ირიცხებოდით „ვოლფსბურგის" რიგებში. მაგათისგან განსხვავებით, არმინ ფეეს ურჩევნია, რომ გუნდმა მოკლე და სწრაფი პასებით ითამაშოს. თქვენ ამ ტაქტიკას უფრო ესადაგებით, რადგან ძალიან სწრაფი ხართ...**

- დიახ და სისწრაფეც რომ არ იყოს, მიმაჩნია, რომ რაც უფრო დიდხანს დარჩება ბურთი მიწაზე, მით უფრო იოლია მისი გაკონტროლება. თანაც, მაღალი ჩაწოდებებისთვის არ ვარ დაბადებული, რადგან ტანდაბალი ვარ.

**- ექსპერტები თქვენს ტრანსფერს კრიტიკული თვალით უყურებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ჯეკო-გრაფიტეს დუეტის დაშლა შეუძლებელია. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ რომელიმე მათგანის ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება?**

- საერთოდ, ფეხბურთში გამორიცხულია ის, რომ გუნდმა ახალი ფეხბურთელი მხოლოდ სათადარიგოთა სკამისთვის შეიძინოს. ფაქტია, რომ ჯეკომ და გრაფიტემ წინა სეზონი შესანიშნავად ჩაატარეს. „ვოლფსბურგის" ჩემპიონობა მეტწილად სწორედ მათი დამსახურება იყო. წელს კი გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც ასპარეზობს და ფაქტია, რომ ჯეკო და გრაფიტე ყველა შეხვედრის ჩატარებას ვერ შეძლებენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, მწვრთნელი წყვეტს, თუ ვინ უნდა ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში. მე ის ვიცი, რომ მწვრთნელი არ დამჩაგრავს. თუ ფეხბურთელი ფორმაშია, თამაშობს, თუ არა და - არა. ისიც ვიცი, რომ „ვოლფსბურგში" მუდმივად სათადარიგოთა სკამის სახეხად არ გადმოვსულვარ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „ვოლფსბურგის" სკამი ძალიან მომწონს, ცდება.

**- თქვენ უკვე მოასწარით ისეთი გენიალური თავდამსხმელების მხარდამხარ თამაში, როგორებიც არიან რონალდო, კრისტიან ვიერი და მაიკლ ოუენი. რომელი მათგანი გიწევდათ საუკეთესო პარტნიორობას?**

- ადრიანი დაგავიწყდათ. ყველაზე მეტად ვიერის მხარდამხარ თამაში მიხაროდა. როცა მე და კრისტიანი ვიყავით მოედანზე, ყველაფერი მარტივად გამოგვდიოდა. ის დიდი და ძლიერი იყო, მე კი - პატარა და სწრაფი, რის გამოც ერთმანეთს იდეალურად ვეწყობოდით.

**- წინა სეზონში „ნიუკასლს" საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავდა და როგორ მოხდა ის, რომ ეს გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა?**

- ამის გამო ახლაც შოკში ვარ, რადგან „ნიუკასლი" და მისი გულშემატკივრები ძალიან მიყვარს. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მეც ძალიან დიდხანს ვიყავი ტრავმირებული და სხვადასხვა დროს, დემიენ დაფი, მაიკლ ოუენი და მარკ ვიდუკაც ლაზარეთში იყვნენ. ხშირად ტრავმიანებს, გამაყუჩებლებით გვიწევდა მოედანზე გასვლა. როცა გუნდს ჯანმრთელი თავდამსხმელი არ ჰყავს, თამაშის მოგება ძალიან ძნელია. ამასთან, სხვა პოზიციის ფეხბურთელებიც ხშირად შავდებოდნენ. მოკლედ, „ნიუკასლის" ამბავი დიდი ტრაგედიაა.

**- „ნიუკასლში" თქვენ დიდი ალან შირერის მე-9 ნომერი გადმოგცეს, რის გამოც ალბათ მძიმე წნეხის ქვეშ იყავით მოქცეული...**

- „ნიუკასლისთვის" თავი არასდროს დამიზოგავს და მიმაჩნია, რომ ამას ქომაგებიც ხედავდნენ. მე-9 ნომრის გამო ჩემგან შირერის შედეგების გამეორებას არავინ ელოდა, ისე კი ყველა ხედავდა, რომ თავდაუზოგავად ვიბრძოდი.

**- ახლა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციასთან შეგექმნათ პრობლემები...**

- ჰო, დამაბრალეს, ნიგერიის ნაკრებში თამაში არ სურსო. ეს, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელი სიცრუეა. ჩემი ქვეყნისთვის 24 მატჩში 13 გოლი გავიტანე და ნიგერიის ნაკრებში თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია. უბრალოდ, რამდენიმე თამაშში ისე დაემთხვა, რომ ტრავმირებული ვიყავი და ნიგერიის ნაკრებში წასვლა ვერ შევძელი.

**- 1996 წელს ნიგერიელებმა ოქროს მედლები მოიპოვეთ, რის შემდეგაც ყველას ეგონა, რომ ნიგერიას ეზრდებოდა თაობა, რომელიც მსოფლიოს დაიპყრობდა. არადა, საქმე უკან-უკან წავიდა და დღეს თქვენი ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალა აღარ არის. რატომ მოხდა ასე?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ფაქტია, რომ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, რომელიც ევროპის ტოპ-კლუბებში თამაშობენ, მაგრამ ნიგერიის ნაკრები წარმატებებს ვერ აღწევს. ისე, ჩვენთან ბევრ რამეს არასწორად აკეთებენ. მაგალითად, ბოლოს ნაკრებში რომ ვიყავი, 30-კაციანი შემადგენლობა იყო, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ბევრია. ნიგერიულ ფეხბურთში ბევრი რამ შესაცვლელია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ფანები არიან იმედგაცრუებულები. ნიგერიას ბოლო საშინაო მატჩი მოზამბიკთან ჰქონდა და წარმოიდგინეთ, სტადიონზე ფაქტობრივად არავინ მივიდა...

**- თემა შევცვალოთ. თქვენი სახელი, ობაფემი, ნიშნავს „მეფეს ვუყვარვარ" თუ „ღმერთს ვუყვარვარ"?**

- ორივეს ნიშნავს.

**- რამდენადაც ვიცით, როცა „ინტერის" ბავშვთა გუნდიდან პირველ გუნდში გადაგიყვანეს, ქალაქის ცენტრში ბინაზე უარი თქვით და მაინც ბავშვთა აკადემიაში ცხოვრობდით...**

- როცა „ინტერის" პირველ გუნდში მათამაშეს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და არ გახლდით დარწმუნებული, რომ ამის მერე სულ პირველ გუნდში ვიქნებოდი. ესეც არ იყოს, ასეთ რაღაცებზე გართულება არასდროს მქონია, თანაც, აკადემიაში მეგობრები მყავდა, პირველ გუნდში კი - არა.

**- და არც ავტომობილი იყიდეთ...**

- არა. პროფესიონალი რომ გავხდი, პირველი წლის განმავლობაში „ფოლკსვაგენ პოლო" მყავდა და მასზე უარი არ მითქვამს.

**- როგორც ვიცით, ფეხბურთის თამაში საკმაოდ გვიან, 15 წლის ასაკში დაიწყეთ...**

- არა, მანამდეც ვთამაშობდი, უბრალოდ, ევროპაში არავინ იცნობს იმ ნიგერიულ კლუბებს, სადაც ვირიცხებოდი. ცნობილი მხოლოდ მაშინ გავხდი, როცა 16 წლის ასაკში იტალიაში აღმოვჩნდი და „რეჯინაში" ჩავირიცხე.

**- არ გეწყინოთ, მაგრამ როცა გიყურებთ, ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი ახალგაზრდა ხართ. მგონია, მინიმუმ 30 წლის ხართ, არადა, თვის ბოლოს 25 წლის ხდებით...**

- ამას ბევრი მეუბნება. უბრალოდ, გამიმართლა და ევროპაში ადრეულ ასაკში გავხდი ცნობილი. შესაბამისად, ხალხს ჰგონია, რომ ახლა 30 წლის უნდა ვიყო. სხვათა შორის, ბევრს ამაში იმდენად სერიოზულად შეეპარა ეჭვი, რომ გამოძიებაც კი დაიწყო, ასაკი ხომ არ აქვს დაკლებულიო.

**- რას აპირებს ობა მარტინსი?**

- „ვოლფსბურგის" ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრებას და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ხელი არც ნიგერიის ნაკრებზე ჩამიქნევია, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სანამ ნიგერიულ ფეხბურთში ბევრი რამ არ შეიცვლება, ჩვენი ნაკრების წარმატებაზე ლაპარაკი უსარგებლოა.



ობაფემი მარტინსის მიზანი ვოლფსბურგში თავის დამკვიდრება და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაა

გერმანიის ნაკრები



შტეფან კისლინგი

# ლიოვმა კისლინგი გაიგონა და შეიგნო!

## იოგის კარისკაცები: ჩილესთან ვიზე, კოტ დ'ივუართან ნოიერი

**გერმანიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მთელი საფეხბურთო გერმანიის ძახილი შეისმინა და განაცხადა, რომ მომავალი ტესტ-მატჩებისთვის (14 ნოემბერს კიოლნში, ჩილესთან და 18 ნოემბერს გელზენკირხენში კოტ დ'ივუართან) აუცილებლად გამოიძახებს „ლევერკუზენის" თავდამსხმელ **შტეფან კისლინგს**. ეს ინფორმაცია თვითონ ბუნდესმწვრთნელმა დაადასტურა.

*„შტეფანი გამოძახებული იქნება, მან ეს ნამდვილად დაიმსახურა. არა მარტო იმის გამო, რომ ამ სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ ძალიან სტაბილურია და კარგ ფორმაში იმყოფება,"* - განუცხადა ლიოვმა საინფორმაციო სააგენტო SID-ის.

იოგი ხსენებული შეხვედრებისთვის შემადგენლობას ზუსტად ერთ კვირაში დაასახელებს და როგორც აცხადებს, დიდი შანსია, რომ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მისცეს თავის გამოჩენის შანსი. 49 წლის ბუნდესმწვრთნელს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ გამოძახებულთა სიაში აუცილებლად ვიხილავთ „ბაიერნის" ახალგაზრდა ვარსკვლავ **თომას მიულერს** და „ვერდერის" ძალიან კარგ ფორმაში მყოფ ნახევარმცველ **აარონ ჰანტს**. იოგის თქმით, ეს უკანასკნელიც გაფართოებულ სიაშია მას მერე, რაც კარგად ათამაშდა.

ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა „ჰანოვერის" მეკარე **რობერტ ენკეს** გერმანიის ნაკრებში დაბრუნების საკითხი. მოგეხსენებათ, ენკე ტრავმირებული იყო, ლიოვს კი, მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკესთან** კონსულტაციები ჯერ არ გაუვლია. სამაგიეროდ, ლიოვმა პირდაპირ თქვა, რომ ჩილესთან შეხვედრაში ბუნდესგუნდის კარს „ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზე** დაიცავს, კოტ დ'ივუართან კი შალკელი **მანუელ ნოიერი**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ოფიციოზი



მარცხნიდან: გია გალდავა, დავით ნამგალაური, ირაკლი სამყურაშვილი

# სპორტის დეპარტამენტი რეგიონული სპორტის სამსახურებს გააქტიურებისაკენ მოუწოდებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ სხვადასხვა რეგიონულ სპორტულ უწყებაში მომუშავე პასუხისმგებელ პირებთან საგანგებო შეხვედრა გამართა. რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, მისი მოადგილეები **გია გალდავა** და **ირაკლი სამყურაშვილი** შეხვდნენ.

აქტუალური საკითხების განხილვასთან ერთად მოწვეულებმა კონკრეტული დავალებები მიიღეს. ძირითადი კი სპორტის სფეროში ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და დეპარტამენტთან უფრო აქტიური თანამშრომლობის მოთხოვნა იყო. გააქტიურდება რეგიონული სპორტის გაშუქება. დეპარტამენტი რეგიონულ მედიასაშუალებებს თავის ვებ-საიტზე - www.sport.gov.ge მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობს. აი, რა თქვეს დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა.

*დავით ნამგალაური:* "რეგიონების სპორტულ უწყებებში მომუშავე სპეციალისტებსა და კურატორებს მეტი აქტიურობა და პერსპექტიული გეგმების დასახვისას ერთიანი პრინციპებით მოქმედება გმართებთ. დავიწყეთ საერთო მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი რეგიონების სპორტსმენებსა და მწვრთნელებს დაეთმობათ.

სრული ინფორმაციის მიღება უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობითაა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ კოორდინაცია მომავალი წლის სპორტულ კალენდარზე. ჩვენთვის გაცილებით მეტი უნდა იყოს ცნობილი რეგიონებში მიმდინარე სპორტული მოვლენების შესახებ, რათა რეალობაზე მაქსიმალური წარმოდგენა გვქონდეს. დეპარტამენტში გამოიყო ჯგუფი, რომელსაც თქვენთან მუდმივი კონტაქტი ექნება და ინფორმაციას დაამუშავებს.

მნიშვნელოვანია მწვრთნელთა მონიტორინგის საკითხი. შეიძლება, ნებისმიერ დროს ჩამოვიდეთ რეგიონებში და ადგილზე შევამოწმოთ მდგომარეობა. დღეს ქართული სპორტი ეროვნული გენის, ტალანტებისა და რამდენიმე უმაღლესი დონის მწვრთნელით ინარჩუნებს ავტორიტეტს. სხვა რგოლები ძალიან სუსტია, რაც დაუშვებელია. სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. ამიტომაც თქვენი პასუხისმგებლობა დიდია. ეს ეხება ადგილობრივი შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებასაც. მეტი ყურადღება მიაქციეთ ტალანტებს. დასაკარგავი ბავშვები ნამდვილად არ გვყავს".

*გია გალდავა:* "ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი მოზარდი ჩავრთოთ სპორტში. აუცილებელი არ არის, რომ ბავშვი ნამყვან სპორტის სახეობაში ვარჯიშობდეს. მთავარია, სპორტით იყოს დაკავებული. ეს სიტუაცია გამოსასწორებელია, რადგან ძალიან დაბალი პროცენტული მონაცემები გვაქვს.

მეტი აქტიურობაა საჭირო ეროვნულ ფედერაციებთან თანამშრომლობაში. უნდა მოითხოვოთ სემინარების ჩატარება მწვრთნელებისთვის, თუნდაც წელიწადში ერთხელ. ხშირად წესები იცვლება, რაც რეგიონში მომუშავე მწვრთნელებამდე ვერ აღწევს. ბავშვებს ძველი წესებით ავარჯიშებენ და მერე პრობლემები ექმნებათ".

*ირაკლი სამყურაშვილი:* „თქვენი დახმარება დაგვჭირდება ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესში. ეს ბაზა მიებმება ჩვენს ვებგვერდს, სადაც ნებისმიერ დროს შეგეძლებათ ნახოთ, რომელ სპორტსმენს რა ტიტული აქვს მოგებული, სად თამაშობს და ასე შემდეგ.

ძალიან მალე საიტზე დაიდება სპორტული ბაზების რუკა. წარმოდგენილი იქნება ბაზები, რომლებიც ფუნქციონირებს, ისეთებიც, რომელიც ფუნქციონირებს, მაგრამ კეთილმოსაწყობია და ბაზები, რომლებიც ამჟამად უქმობს. არაა გამორიცხული, ზოგიერთი ბაზა რუკაზე ვერ მოხვდეს. ამიტომ თქვენგან ველით ინფორმაციას.

ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობა რეგიონულ მედიასთან. მათი მიერ გაშუქებული ინფორმაცია, მოწოდების შემთხვევაში, მიებმება დეპარტამენტის საიტს და მას მთელი საქართველო გაეცნობა".

www.sport.gov.ge

R

ფარიკაობა

# ოთხი მედლით ტრაბზონიდან

წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოფარიკავეებმა ტრაბზონში გამართულ ევროპის თასზე კადეტთა შორის. ქართული დელეგაცია თურქეთში 22 ადამიანით, მათ შორის 15 წევრით იყო წარმოდგენილი. ჩვენმა მოფარიკავეებმა ძალები ყველა სახეობაში მოსინჯეს და ტურნირიდან ოთხი მედლით დაბრუნდნენ.

ვაჟებს შორის ხმალში ჩემპიონობა მოიპოვა ქუთაისელმა **სანდრო ბაზაძემ**, ამავე დისციპლინაში კი მესამე ადგილი მისმა თანაქალაქელმა **მიხეილ მარდალეიშვილმა** დაიკავა. გოგონათა შორის ხმალში მეორე იყო თბილისელი **თეოდორა კახიანი**, ვაჟებში კი რაპირაში ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა დედაქალაქელმა **არჩილ უგულავამ**.

შვიდი სპორტსმენის ტრაბზონში გამგზავრება საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტმა დააფინანსეს, დანარჩენები კი - თბილისისა და ქუთაისის მერიებმა.

ლევან ჯანეზაშვილი

# სტუმრიანობა ქუთაისში

ქუთაისმა საქართველოს ღია ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც ქართველებთან ერთად სომეხმა, აზერბაიჯანელმა და თურქმა მოფარიკავეებმა იასპარეზეს. ტურნირი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. ტექნიკური შედეგები ასეთია:

**ხმალი. ვაჟები**

1. ბექა ბაზაძე (საქართველო, ქუთაისი)
2. ერდოღან ყიზილბაგი (თურქეთი)
3. მიხეილ მარდალეიშვილი (საქართ., ქუთ.)
3. გიორგი გორგიძე (საქართ., ქუთაისი)

**ხმალი. ქალები**

1. სევინჯი ბუნიატოვა (აზერბაიჯანი)
2. თათია აფციაური (საქართ., თბილისი)
3. ასელ მირზოევა (აზერბაიჯანი)
3. თეოდორა კახიანი (საქართ., თბილისი)

**დაშნა. ვაჟები**

1. სპარტაკ არუთუნიანი (სომხეთი)
2. ედგარ ავეტისიანი (სომხეთი)
3. არკადი მურადიანი (სომხეთი)
3. სამველ გრიგორიანი (სომხეთი)

**დაშნა. ქალები**

1. ოლგა ჯანგულადიანი (სომხეთი)
2. ელმირა ხუდავერდიევა (აზერბაიჯანი)
3. აიდან აბასოვა (აზერბაიჯანი)
3. მარიამ ლომიძე (საქართ., თბილისი)

**რაპირა. ვაჟები**

1. ირაკლი ჭელიძე (საქართველო, ბათუმი)
2. სანდრო სიხარულიძე (საქართ., თბილისი)
3. ჰაიკ სააკიანი (სომხეთი)
3. არუთუნ გევორქიანი (სომხეთი)

**რაპირა. ქალები**

1. ციმი ხარხელაური (საქართ., თბილისი)
2. ემა პოლოსოვა (სომხეთი)
3. რუსუდან ჟვანია (საქართ., თბილისი)
3. ეკა გიორგაძე (საქართველო, ქუთაისი)

ლევან ჯანეზაშვილი

ჭადრაკი



# ქალებმა ვერცხლი გაინაღდეს

სერბულ ნოვი სადში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 28 და ვაჟთა 38 ნაკრები მონაწილეობს.

გუშინ საქართველოს ქალთა ნაკრებმა მორიგი გამარჯვება იზეიმა - 3:1 დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები: **ნანა ძაგნიძე** ევროპის ჩემპიონ **ანტუანეტა სტეფანოვას** დაუზავდა. ასევე, ქულა გაიყვეს **ლელა ჯავახიშვილმა** და **ადრიანა ნიკოლოვამ**, თუმცა ქართველ დიდოსტატს, რომელიც რეიტინგში ბულგარელს 138 პუნქტით უსწრებს, გამარჯვება მართებდა. ჩვენს ნაკრებს მომგებიანი ქულები **სოფიკო ხუხაშვილმა** და **ბელა ხოტენაშვილმა** მოუტანეს - შესაბამისად, **ივა ვიდენოვა** და **ელიზა რაევა** დაამარცხეს. ამ მოგებას ჩვენთვის სატურნირო მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია - ისევ მე-2 ადგილზე დავრჩით, რადგან რუსებმა მსგავსი ანგარიშით ჩეხებს სძლიეს და ინდივიდუალურად მოხვეჭილ ნადავლში ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. ბოლო ტურის წინ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებმა ვერცხლის მედალი გაინაღდა. ოქროსკენ გზა იმ შემთხვევაში გაგვეხსნება, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები თუ წაიფორხილებენ - სომხებთან შეხვედრას ფრედ დაამთავრებენ ან წააგებენ, რაც ნაკლებსავარაუდოა. აზერბაიჯანის საშუალო დონის გუნდთან დაზავებამ აი, ასე, სათუო გაგვიხადა ჩემპიონობა.

აქვე გაგაცნობთ გუშინდელი დანარჩენი მატჩების ანგარიშებს: სომხეთი-უკრაინა 2:2, ბოსნია-სერბეთი 1:3, აზერბაიჯანი-საბერძნეთი 2:2, საფრანგეთი-ესპანეთი 2:2, სლოვენია-ისრაელი 2,5:1,5, ჰოლანდია-რუმინეთი 1,5:2,5, პოლონეთი-გერმანია 2:2, უნგრეთი-ხორვატეთი 2:2, იტალია-ჩერნოგორია 3:1, ნორვეგია-ავსტრია 1:3, ინგლისი-მაკედონია 3:1, თურქეთი-ფინეთი 2:2.

სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია: რუსეთი - 14 (23,5), საქართველო - 14 (21,5), სომხეთი - 11 (19,5), უკრაინა - 11 (18), სლოვენია - 10 (19,5), აზერბაიჯანი - 10 (17,5), ჩეხეთი - 10 (17,5), რუმინეთი - 10 (17,5), საფრანგეთი - 9 (18), საბერძნეთი - 9 (18), ესპანეთი - 9 (16)...

დაწინაურებულთაგან დღეს ითამაშებენ: **რუსეთი-სომხეთი, რუმინეთი-საქართველო, ჩეხეთი-უკრაინა, სლოვენია-აზერბაიჯანი, საბერძნეთი-საფრანგეთი, ესპანეთი-პოლონეთი, გერმანია-იტალია, ბულგარეთი-უნგრეთი...**

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გუშინ ისრაელის გუნდთან წააგო (**ბაადურ ჯობავა-ემილ სუტოვსკი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია-მიხაელ როისი 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი-ევგენი პოზდნი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-ბორის ავრუხი 0:1**) და მედლებისთვის ოცნება ორი წლით გადაივადა, თუმცა საპრიზო ადგილებს ვინ ჩივის, ბოლო ტურში ნორვეგიელთა დამარცხების შემთხვევაშიც კი პირველ ათეულში მოხვედრაც სათუოა. არადა, ჩვენებმა რა კარგად დაიწყეს შეჯიბრება - 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერთა შორის იყვნენ, ბოლო ოთხ ტურში კი მხოლოდ ქულის აღება მოახერხეს. რა მოხდა, ვერ გეტყვით. ალბათ, სერბეთიდან დაბრუნების შემდეგ თავად აგვიხსნიან რეგრესის მიზეზს.

ახლა კი გუშინდელი პაექრობების შედეგებს გაუწყებთ: საქართველო-ისრაელი 1,5:2,5, სომხეთი-რუსეთი 1,5:2,5, პოლონეთი-აზერბაიჯანი 1:3, უკრაინა-ჰოლანდია 2:2, ესპანეთი-უნგრეთი 3:1, შვეიცარია-სერბეთი (1) 2:2, დანია-გერმანია 1:3, საფრანგეთი-ჩეხეთი 2:2, რუმინეთი-ავსტრია 2,5:1,5, საბერძნეთი-სლოვენია 2,5:1,5,, ნორვეგია-ინგლისი 2:2, ლიტვა-ბულგარეთი 2:2, ბოსნია-ხორვატეთი 2:2, მაკედონია-სერბეთი (2) 2,5:1,5, ჩერნოგორია-ფინეთი 1:3, იტალია-თურქეთი 2,5:1,5, ისლანდია-უელსი 1:3, მონაკო-ბელგია 1,5:2,5,, შოტლანდია-ლუქსემბურგი 1:3.

**სატურნირო მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ:** რუსეთი - 13 (20.5); აზერბაიჯანი - 13 (19.5); უკრაინა - 11 (20); სომხეთი - 11 (19); ჰოლანდია - 11 (19); ესპანეთი - 11 (19); ისრაელი - 11 (17); გერმანია - 10 (19); პოლონეთი - 10 (18); რუმინეთი - 10 (17.5); შვეიცარია - 10 (17); საქართველო - 9 (17)...

რაც შეეხება მედლების ბედს, აქ ჯერჯერობით ყველაფერი ბუნდოვანია. მართალია, რუსები და აზერბაიჯანელები, უახლოეს მეტოქეებს ორ-ორი ქულით უსწრებენ, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ აძლევთ, რადგან მარცხის შემთხვევაში, შესაძლოა, უჯილდოოდაც დარჩნენ. ყველაფერს დღევანდელი შეხვედრები გადაწყვეტს: **რუსეთი-ესპანეთი, ჰოლანდია-აზერბაიჯანი, ისრაელი-უკრაინა, შვეიცარია-სომხეთი, გერმანია-რუმინეთი, ჩეხეთი-პოლონეთი, სერბეთი (1)-საფრანგეთი, უნგრეთი-საბერძნეთი, საქართველო-ნორვეგია, ინგლისი-მაკედონია.**

ვაჟა დანელია



ბოლო ტურის წინ საფიქრალი მართლაც გვაქვს

# ვეტერანების ჩემპიონატი 19 წლისაა

ფიდეს და იტალიის ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით კონდინო-ტრენტინოში დაიწყო ვეტერან მოჭადრაკეთა მე-19 მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს. გათამაშდება 11 ტური. თითოეულ მოჭადრაკეს 40 სვლისთვის 90 წუთი ეძლევა, პლუს 30 წუთი პარტიის ბოლომდე ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

მამაკაცებში გამარჯვებული ოქროს მედალთან ერთად 2300 ევროს მიიღებს. მე-2 ადგილოსანი 2000 და მესამე ადგილზე გასული — 1500 ევროს. ქალები, შესაბამისად, 600, 500 და 400 ევროთი დაჯილდოვდებიან.

შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** მონაწილეობს. ქართველმა დიდოსტატმა პირველ ტურში **სერაფიმა სოკოლოვსკაიას** სძლია, მეორეში კი თავად დამარცხდა **ელენა ფატალიბეკოვასთან**. ტურნირი 8 ნოემბერს დამთავრდება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# მნიშვნელოვანი ტურნირების წინ

საჩოგბურთო სეზონი მთავრდება, დასრულდა WTA-ს ტურნირები, 3-4 კვირაც და, მსოფლიოს საჩოგბურთო კორტებზე ITF-ს ეგიდით გასამართ შეჯიბრებებშიც მცირე შესვენება გამოცხადდება. ქართველ ჩოგბურთელებს რეიტინგის გაუმჯობესების ერთი-ორი შანსი კიდევ მიეცემათ. ასე რომ, ჯერ დასკვნებისგან თავს შევიკავებთ, თუმცა ქალთა ჩოგბურთში რომ პროგრესი გვაქვს, ვაჟებში კი - რეგრესი, ცხადია. ლიმოჟის ტურნირის შემდეგ არსად უთამაშია **ოქსანა კალაშნიკოვას** (181). 19 წლის ჩვენებური ტაიპეიში იასპარეზებს, სადაც „ტაივან ლეიდის ოუფენი" გაიმართება. ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია. ტურნირი წარმომადგენლობითი იქნება, ძირითად ბადეში მსოფლიოს მოწინავე ასეულის 4 ჩოგბურთელია, ხოლო 16 ჩოგბურთელს ტურნირზე ოქსანაზე უკეთესი რეიტინგი აქვს. ასეთ ტურნირში გამარჯვება 150 ქულის შემატებას უდრის, თუნდაც ერთი ეტაპის დაძლევა კი 20 ქულის მომტანია. მოკლედ, ოქსანას წინსვლის ჩინებული შანსი აქვს.

50-ათასიანი ტურნირი იწყება ნანტში (საფრანგეთი), სადაც ითამაშებს **მაკა ჩახნაშვილი** (213), თუმცა ჯერ უცნობია, მოხვდება თუ არა ქართველი ძირითად ბადეში, თუ მას თანამემამულე **ეკა გორგოძის** (517) დარად საკვალიფიკაციო ბრძოლებში მოუწევს ჩაბმა. მაკა ძალიან ახლოსაა მოწინავე ორასეულთან და ნანტში თავის გამოჩენა მისთვის მნიშვნელოვანია.

საკრამენტოს შტატის ქალაქ როკ ჰილში 25-ათასიანი ტურნირი იწყება, სადაც განთესილთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (179) იქნება. ანამ შარშან სან დიეგოში 50-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში გააღწია, ამიტომაც, თუკი როკ ჰილში ვერ იყოჩაღებს, უკან დაიხევს და საქართველოს პირველ ჩოგნობასაც დაკარგავს. ტატიშვილის შემდეგი ტურნირი ფენიქსის ქალთა პირველობა (50 ათასი $) იქნება.

უფრო წვრილ-წვრილი ტურნირებიდან მალიორკას (10 ათასი $) გამოვარჩევთ, სადაც **სოფიო ქვაცაბაია** (503) ან ძირითად ბადეში იქნება, ანაც საკვალიფიკაციოში პირველ ნომრად განთესავენ. სოფიო შემდეგ კვირაში კიდევ ერთ ტურნირში ითამაშებს ბალეარის კუნძულებზე. 9 ნოემბრიდან მინსკის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი $) **სოფიო შაფათავა** (350) ჩაებმება. ის საკვალიფიკაციო ბადეში იქნება, შეიძლება, ბადეში რეიტინგით **მანანა შაფაქიძეც** (454) მოხვდეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი

სუპერლიგა

# ავია პაერშია, რვა სუპერლიგაში

რამდენადაც კარგადაა ნაკრებში საქმე, იმდენად ცუდადაა საკლუბო კალათბურთში – ეს სიტყვები სექტემბერში დავწერეთ და დღესაც გავიმეორებთ. თავად განსაჯეთ: ევროპის ყველა ნორმალურ საკალათბურთო ქვეყანაში ჩემპიონატი უკვე დაწყებულია, ჩვენთან კი ჯერაც არ გარკვეულა, რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში.

■ ■ ■

23 ოქტომბერს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ბესიკ ლიპარტელიანის** ნაუბარი შემოგთავაზეთ, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ სუპერლიგაში 8 ან 9 გუნდს უნდა ეთამაშა, ხოლო ჩემპიონატი ან 31 ოქტომბერს, ან 7 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო. მას შემდეგ თითქმის ერთი კვირა გავიდა და გადაწყდა, რომ პირველობის სადებიუტო ტური 7 ნოემბერს გაიმართება. მაგრამ 8 გუნდი ითამაშებს თუ 9, ჯერაც არ გარკვეულა. საქმე ისაა, რომ მეცხრის, "ავიამშენის" მწვრთნელები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ გუნდი გადაარჩინონ, მაგრამ კლუბის შენახვის მსურველი ჯერაც ვერ მოიძებნეს. გუშინ დავუკავშირდით გუნდის უფროსს, **ლევან ჭალისურს**, რომელმაც გვითხრა:

როგორც უკვე გითხარით, "ავიატორები" საბოლოო პასუხს დღეისთვის ელიან და თუ დასტური მიიღეს, ფედერაცია მათ უმაღლეს ლიგაში, ალბათ, დაუშვებს.

■ ■ ■

"ავიამშენის" გარდა რვავე გუნდს ჩემპიონატში თამაშიც გადაწყვეტილი აქვს და შემადგენლობაც შეკრებილი ჰყავს. აი, ეს ოქტეტიც: "ენერჯი", "აგრარული", თსუ, "დინამო", შსს, "ბათუმი", "კოლხა" და "სამედიცინო-აკადემია".

გუნდებს ფედერაციაში საბოლოო განაცხადები არ წარუდგენიათ, ამიტომ თითოეულის შემადგენლობაზე კონკრეტულად ლაპარაკი მომავალი კვირისთვის გადავდოთ, დღეს ამაზე მცირედით შემოვიფარგლოთ.

რუსთავის "ენერჯიმ" გუნდი აგვისტოში შეკრიბა, თუმცა ბოლო კალათბურთელი ოქტომბრის დამდეგს დაიმატა. გუნდში დარჩნენ გამოცდილები, **კოტე ტულუში, ზვიად ბაბიაშვილი** და **ჟულიენ ტუჯანი**. ქვემოქართლელებმა "ნტდ-თბილისიდან" გამთამაშებელი **მიხეილ ჩიტაშვილი** გადაიყვანეს და დუდუ დადიანის მემორიალზე გამოჩნდა, რომ ადგილობრივებთან ერთად ამ კვარტეტს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. "ენერჯიმ" მემორიალის ფინალში თსუ-ს სძლია.

თსუ ფინალში დამსახურებულად გავიდა, შემადგენლობა არავისზე ნაკლები ჰყავდა, თუმცა კალათბურთელები უხელფასოდ თამაშობდნენ და როცა **ბესიკ ლეჟავას** "ბათუმმა" დაუძახა, სიამოვნებით წავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ზღვისპირელებმა შარშანდელზე ძლიერი გუნდის შეკვრა გადაწყვიტეს და ამიტომ საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი, **დავით უსტიაშვილი** მიიწვიეს.

შსს-მ დუდუ დადიანის მემორიალზე გამოცდილი და კარგად დაბალანსებული შემადგენლობა გამოიყვანა. იგი ფინალში იმიტომ ვერ გავიდა, რომ რამდენიმე კალათბურთელი ახალი მისული იყო და გუნდს შეთამაშება აკლდა. მემორიალის შემდეგ შსს კიდევ უფრო გაძლიერდა – დაემატა 220 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილი**. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალოვანთა წინა ხაზში **ლადო სუხიშვილი, სოსო შერმადინი** და **ვანო აბულაძეც** თამაშობენ, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ შსს-ს საქართველოში საუკეთესო წინა ხაზი ჰყავს.

გასული სეზონის შემდეგ "დინამოდან" **ლექსო ლაფანაშვილი, გიორგი ხანიაშვილი, დავით ხიზანიშვილი, ირაკლი კობიძე, ზურაბ კორკოტაძე, ვახტანგ ქადარია, გივი ბაქრაძე** და **ირაკლი სორდია** წავიდნენ. შესაბამისად, შემადგენლობა კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა. ამას ორი მიზეზი აქვს – ფინანსური გასაჭირი და გასული სეზონის შემდეგ კალათბურთელთა პროგრესი...

აგრარული უნივერსიტეტის გუნდს შარშანდელი სეზონის შემდეგ **რეზო დიდია** დაემატა. გუნდიდან წავიდა **მიხეილ ბერიშვილი**.

*- მემორიალის მერე შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა, -* გვითხრა "აგრარულის" მწვრთნელმა, **მიხეილ კობეშავიძემ**.

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ "სოხუმში" ბევრმა ახალგაზრდა კალათბურთელმა მოიყარა თავი. მათ სუპერლიგაში გამოცდილები დაეხმარებიან:

*- ბუბა ბერიშვილი გუნდს მემორიალის შემდეგ შეუერთდა. ასევე გვყავს ირაკლი სორდია, თემურ კანკია და ბუბა კვიმსაძე. ვფიქრობ, იოლად არავის არაფერს დავუთმობთ, -* იმედოვნებს სოხუმელთა თავკაცი ვაჟა კვარაცხელია. უმაღლეს ლიგაში ერთი დებიუტანტია – "სამედიცინო-აკადემია". მას თსუ-ს კადეტთა ნაკრების ყოფილი თავკაცი **გელა წულაძე** გაუძღვება. ეს გუნდი "სამედიცინოსა" და "აკადემიას" შერწყმით შეიქმნა. გასულ სეზონში ისინი 20-წლამდელთა ჩემპიონატში საკმაოდ წარმატებით თამაშობდნენ და წელსაც სიურპრიზებს უნდა ველოდეთ...

...შეგახსენებთ, რომ საკალათბურთო აკადემიის გუნდი ჩემპიონატში 2002-03 წლებშიც გამოდიოდა. მასში **ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, დავით გვიმრაძე, დავით საყვარელიძე** თამაშობდნენ. ვნახოთ, როგორ გააგრძელებენ მათ გზას ახალი "აკადემიკოსები".

■ ■ ■

დუდუ დადიანის მემორიალზე ითამაშეს "მაქაბიმ" და "ჭიათურამ". მათ სხვებთან შედარებით ახალგაზრდული, მოკრძალებული ამბიციების მქონე გუნდები ჰყავდათ და დაინახეს, რომ წლეულს სუპერლიგაში თამაშს ახალგაზრდულ პირველობაში გამოსვლა ერჩივნათ. უფრო ადრე გადაიფიქრეს უმაღლეს ლიგაში თამაში სტუ-მ და "საქართველოს უნივერსიტეტმა".



ავიამშენმა შარშან სუპერთასი მოიგო

*- "ავიამშენის" არსებობა-არარსებობის საკითხი ჯერაც გასარკვევია. დღესხვალ მეპატრონეს უნდა შევხვდეთ და სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება სუპერლიგაში ჩვენი თამაშის ბედი.*

საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელი კლუბის დაშლა თავისთავად არც კალათბურთის ფედერაციას სურს, ამიტომაც გადაავადა ჩემპიონატის დაწყების თარიღი ერთი კვირით. თუმცა ფიბა-ევროპის გენერალური მდივნის, **ნარ ძანოლინის** პრესკონფერენციის შემდეგ ბესიკ ლიპარტელიანმა თქვა:

*- "ავიამშენის" წარმომადგენელთა პასუხს დღემდე ველოდით, რადგან არ შეგვეხმიანნენ, გამოდის, რომ გუნდი სუპერლიგაში ვერ გამოჰყავთ.*

ვაჟა სიმონიშვილი



ქართველი NBA-ში

# ზაზამ ახალი სეზონი გამარჯვებით გახსნა

"ატლანტა ჰოქსმა" NBA-ს 2009-10 წლების სეზონის პირველ მატჩში "ინდიანა პეისერსს" უმასპინძლა და 120:109 დაამარცხა. ვიდრე მატჩის ოქმში ჩავიხედავდით, რატომღაც გვეგონა, რომ 120-დან მინიმუმ 10 ქულა მაინც იქნებოდა **ზაზა ფაჩულიას** ანგარიშზე, თუმცა შევცდით – ქართველმა ცენტრმა 16 წუთში 4 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა. მან 4-4 საჯარიმო და ორქულიანი ისროლა, რომელთაგან მიზანში ერთი ორქულიანი და ორი საჯარიმო მოარტყა.

ატლანტელთა გამარჯვება უმთავრესად **ელ ჰორფორდისა** და **ჯო ჯონსონის** დამსახურებაა. ჯომ 25 ქულა ჩააგდო, ხოლო ჰორფორდმა, რომელსაც კოჭის ტრავმა ჰქონდა და, ჟურნალისტების ვარაუდით, "ინდიანასთან" უნდა დაესვენა, 24 ქულას და 16 მოხსნას მოუყარა თავი. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ელ ჰორფორდს "მონსტრი" უწოდა: *"ელი დღეს მონსტრი იყო, ბურთებსაც იოლად ხსნიდა, დამაგვირგვინებელ ფაზაშიც დამაჯერებლად გამოიყურებოდა და მეტოქეებსაც არ უშვებდა ფარქვეშ."*

რადგან ციფრებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე გეტყვით, რომ "ატლანტადან" ამას წინათ დათხოვნილმა **სოლომონ ჯონსმა** "ინდიანას" მაისურით ყოფილ კლუბს 2 ქულა ჩაუგდო.

ატლანტელთა მწვრთნელი დაცვაში თამაშით კმაყოფილი ჩანდა, ოღონდ მეოთხე პერიოდში: *"სამი მეოთხედის განმავლობაში დაცვაში ცუდად ვირჯებოდით, სამაგიეროდ, ბოლო რაუნდში მტკიცედ დავდექით და ამიტომაც გავიმარჯვეთ."*

მართლაც, მატჩის დასრულებამდე 9:04 წუთით ადრე "ინდიანა" 101:100-ს იგებდა. ამის შემდეგ მასპინძლებმა დაცვაში თამაში გააუმჯობესეს, **ბიბის**, ჰორფორდის და ჯონსონის ზუსტი ტყორცნების წყალობით 10:0 სპურტი მოაწყვეს და როცა "ინდიანა" გონს მოეგო, უკვე 9 ქულით აგებდა. სირენას კი 5 წუთი აკლდა. დარჩენილ დროში მასპინძლებმა მეტოქეს თამაშის გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს და სეზონის პირველ მატჩში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

"ჰოქსი" მომდევნო მატჩს ისევ შინ ჩაატარებს – "ვაშინგტონ ვიზარდსს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულიას კარიერის რეკორდი სწორედ დედაქალაქელებთან მატჩზე მოდის – 2007 წელს "ვიზარდსს" 27 ქულა ჩაუგდო...

| ორლანდო-ატლანტა | 120:109 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 16 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 02:04 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:50 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 28:32) |
| **II პერიოდი** | |
| 10:37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 10:35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:31 | ფოლი: 1 |
| 08:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:08 | ორქულიანი: 4ქ (45:48) |
| 05:51 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 05:58 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:22 | საჯარიმოები: 2/0 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:52 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:31 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 00:48 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

მინი-კალათბურთი

# მძარცველებმა 500 ლარი წაიღეს

სუპერლიგის დაწყებამდე მასში მონაწილე ახალგაზრდების უმეტესობამ ქუჩის კალათბურთში გაივარჯიშა. ერთმანეთის წინააღმდეგ ძალების მოსინჯვისა და სოლიდური საპრიზო ფონდისთვის ბრძოლის საშუალება ახალგაზრდებს დიდუბის რაიონის გამგეობამ და ახალგაზრდულმა ნაციონალურმა მოძრაობამ მისცა.

ამ ორგანიზაციებისა და საქართველოს ქუჩის კალათბურთის ასოციაციის ინიციატივით გამართული ტურნირი, წერეთლის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. იქ ნახავდით როგორც პროფესიონალ, სუპერლიგის მოთამაშეებს, ასევე მოყვარულ კალათბურთელებს: გასულ სეზონში „ავიამშენში" მოასპარეზე **გიორგი პირველაშვილს**, ყოფილ დინამოელებს – **ირაკლი კობიძეს** და **გიორგი ხანიაშვილს**. ეს უკანასკნელი ამ სეზონში აგრარული უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას დაიცავს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 18-წლამდელთა ნაკრების წევრები: **ბექა ჩიკვილაძე, აკაკი ლომოური...** ასევე საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში გამორჩეულები,



**გიორგი ტეტელაშვილი, გიორგი გლოველი**. საბოლოოდ, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გლოველი გახდა. მის გუნდს ორიგინალური სახელი ჰქონდა - „მძარცველები". პირველი ადგილი და 500 ლარი სწორედ ამ გუნდმა მოიგო.

გლოველის თანაგუნდელები იყვნენ ზემოთ ნახსენები კობიძე და ხანიაშვილი, რომლებმაც ფინალში „ალვირახსნილები" (**ირაკლი გაბისონია, ზურაბ მაისურაძე** და **ვახტანგ ჩქარეული**) დაამარცხეს – 10:2, თუმცა წაგებულებს 300 ლარი ერგოთ.

ტურნირში სულ 16 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც ჯგუფებში იყო განაწილებული. მომდევნო ეტაპზე 8 მათგანი გავიდა და პირველობისთვის ბრძოლა მეოთხედფინალიდან გაგრძელდა. უნდა აღინიშნოს, რომ პლეი ოფის თამაშები გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ფინალი. „მძარცველების" გამარჯვებას ცოტა თუ ვარაუდობდა, თუმცა გიორგი გლოველის შედეგიანმა გარჯამ ჩემპიონის ვინაობა იოლად გაარკვია.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

# საქართველო საბრძოლო შემადგენლობით

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები მოლდოვაში გაემგზავრა, სადაც დღეიდან "ჩელენჯ ტროფის" შესანარჩუნებლად იწყებს ბრძოლას. საბედნიეროდ, დანაკლისი არ გვაქვს, გუნდის მწვრთნელებმა, **მერაბ მეტრეველმა** და **ირაკლი კეკელიძემ** უძლიერეს შემადგენლობას მოუყარეს თავი. გუნდი სოფელ დილმის დარბაზში მოემზადა.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები A ჯგუფში ითამაშებს, ტურნირის განრიგი კი ასეთია:

**30 ოქტომბერი**
მოლდოვა-სომხეთი
საქართველო-აზერბაიჯანი

**31 ოქტომბერი**
მოლდოვა-აზერბაიჯანი
საქართველო-სომხეთი

**1-ელი ნოემბერი**
მოლდოვა-საქართველო
სომხეთი-აზერბაიჯანი

ჯგუფებიდან ფინალში თითო საუკეთესო გუნდი გადის, B ჯგუფში ფინეთის, შოტლანდიის, მალტისა და ირლანდიის ნაკრებები ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრები მოლდოვაში ამ შემადგენლობით გაემგზავრა:

მეკარეები: **შოთა თევზაძე** (ბაკაუ, რუმინეთი), **გიგა ტორონჯაძე** (სტუ-შევარდენი);

მოედნის მოთამაშეები: **სერგო დათუკაშვილი** (გორენიე, სლოვენია), **ვლადიმერ რუსია** (ოდორჰეი, რუმინეთი), **რატი მსხვილიძე** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **რევაზ ჭანტურია** (მეტალურგი, მაკედონია), **ირაკლი ჩიქოვანი** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **ილია გოგალაძე** (სტუ-შევარდენი), **უჩა მაისურაძე** (თბილისი), **ვანო ქარდავა** (თბილისი), **შოთა გრიშიკაშვილი** (ართვინი, თურქეთი), **ამირან ყიფიანი** (სტუ-შევარდენი), **აკაკი ტალახაძე** (სტუ-შევარდენი), **გიორგი წივწივაძე** (თბილისი), **ტიტე კალანდაძე** (თბილისი), **გიორგი კობახიძე** (სტუ-შევარდენი), **სერგეი კირილოვი** (ბულგარეთი).

ლევან ჯანეზაშვილი

ძიუდო

# დაფასება ტაჯიკურად

## რუსებს კიდევ ბოკიევი უნდოდათ...

ძნელად, საქართველოში რამემ გაგვაკვირვოს, მაგრამ რაც ტაჯიკ ძიუდოისტს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **რასულ ბოკიევს** (73) სამშობლოში გადახდა, ჩვენთვისაც კი მოულოდნელია. ტაჯიკეთის მრავალგზის ჩემპიონმა კარიერის უდიდეს წარმატებებს ბოლო წლებში მიაღწია – 2007 წელს მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა (გადამწყვეტ შეხვედრაში **დავით ქევხიშვილი** დაამარცხა), 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე კი ბრინჯაო მოიპოვა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წლეულს ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან ძიუდოისტს (ნაკრების სხვა წევრები მასთან ახლოსაც ვერ მივლენ) იქაურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სტიპენდია მოუხსნა! ამის შემდეგ გასაკვირიც არაა, ბოკიევმა რუსეთის მოქალაქეობა რომ მიიღო და გასულ უქმეებზე ნალჩიკში გამართულ რუსეთის პირველობაზეც გაიმარჯვა.

წლეულს ბოკიევს არც მსოფლიოს პირველობაზე უჭიდავია როტერდამში. მაშინ ცოტა კი გაგვიკვირდა, როცა მონაწილეთა შორის ვერ ვნახეთ, მაგრამ ვიფიქრეთ, რომ ისვენებდა - ნაოლიმპიადევს ასე ბევრი ათლეტი იქცევა, მაგრამ, როგორც ახლა ტაჯიკური საინფორმაციო საშუალებებით ირკვევა, იქაურმა ფედერაციამ არ დართო ჭიდაობის ნება, რადგან რუსეთში გადასვლა სურდა. სამწუხაროდ, ტაჯიკური საინფორმაციო საშუალებები იქაური ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სამინისტროს ან თუნდაც ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელთა პოზიციაზე არაფერს იუწყებიან და მხოლოდ ბოკიევთან ინტერვიუს ფრაგმენტებს ეყრდნობიან. თუმცა ეს ინტერვიუებიც რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერაა აღებული და არსად ჩანს, რომ თანამემამულეს თვითონ დაუკავშირდნენ. ამიტომ მეორე მხარის პოზიციაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთადერთი ასეთი წარმატებული სპორტსმენისადმი მსგავსი დამოკიდებულება ნამდვილად გვიკვირს.



რასულ ბოკიევი

27 წლის ბოკიევი 2004 წლიდან ძიუდოს რუსულ კლუბ „სამბო 70-ის“ წევრია და იქვე ვარჯიშობს **ვლადიმირ ელჩანინოვის** ხელმძღვანელობით. აღნიშნული წარმატებებიც ამ პერიოდში მოიპოვა და რა გასაკვირია, თუ ამ მედლებს ელჩანინოვს უმადლის, მისი პირველი მწვრთნელი კი მამამისი იყო. რუსეთის პირველობა მან საკმაოდ იოლად მოიგო, რადგან წონის ლიდერები არ ჭიდაობდნენ. ფინალში რუსეთის ვიცე-ჩემპიონი და თანაკლუბელი, მოსკოველი **კონსტანტინ ზარეცკი** დაამარცხა, რომელსაც 2007 წელს ბუქარესტის მსოფლიოს თასის ფინალიც მოუგო. ესაა მის მიერ მოგებული ერთადერთი მსოფლიოს თასი, ამ რანგის ტურნირებზე კი კიდევ თითო ვერცხლ-ბრინჯაო მოუპოვებია და ორივე ჰამბურგის სუპერთასზე. რაკი სიტყვამ შედეგები მოიტანა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბოკიევი აზიის პირველობის ვერცხლ-ბრინჯაოსაც ასევე თითოჯერ ფლობდა, ერთხელ კი ბრინჯაო აზიის თამაშებზეც მოიპოვა.

ბოკიევმა რუსეთში გადასვლის მიზეზად ტაჯიკეთში ძიუდოსადმი უყურადღებობა, მწირი ფინანსები და ცუდი სპარინგები დაასახელა, თუმცა პირადი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოყო. *„მათ არ შემიყვანეს იმ გუნდში, რომელიც კორეაში წავიდა მოსამზადებლად, ოლიმპიურმა კომიტეტმა კი სტიპენდია მომიხსნა. ეტყობა, ტაჯიკეთს არ ვჭირდები როგორც სპორტსმენი და ამიტომ რუსეთში გადასვლა გადავწყვიტე. ჩემი მთავარი მიზანი ლონდონის ოლიმპიადაზე გამარჯვებაა, საამისოდ კი რუსეთში ბევრად უკეთესი პირობებია. აქ იმისთვის არ გადმოვსულვარ, რომ თითქოს კონკურენციაა ნაკლები. უბრალოდ, აქ გაცილებით ბევრი მაღალი დონის მწვრთნელი და ექიმია. თან რუსეთში ფიზიკურად ბევრად ძლიერი კონკურენტები არიან“*, - განუცხადა რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ ბოკიევმა. გაკვირვებული რუსი ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ შეგელიათ ტაჯიკეთის ფედერაცია ასე იოლადო? - უპასუხა, რომ ამ თემაზე გარკვეული კითხვები კვლავაც რჩება, თუმცა იმედოვნებს, ხელმძღვანელობა მათ მალე მოხსნის დღის წესრიგიდან. იმედი კარგია, მაგრამ ბოკიევი ჯერ არც რუსეთის ნაკრების თავკაც **ეძიო გამბას** მიუწვევია შეკრებაზე, რომელსაც გუნდი კვირის დასაწყისში ადლერში დაიწყებს. თავად სპორტსმენი იმედოვნებს, რომ მწვრთნელი მიიწვევს, თუმცა ჯერ მასთან არ უსაუბრია. ბოკიევი კონკრეტულად ვერც სამომავლო გეგმებზე ლაპარაკობს, რადგან ჯერ არც ეს ყოფილა გარკვეული. *„ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე კრასნოიარსკში კომერციულ საერთაშორისო ტურნირში გამოვალ, ოღონდ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ჩემი ძირითადი წონა 73 იქნება, 81-ში კი ტურნირებზე გამოვალ პერიოდულად. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი რუსეთის ჩემპიონატში შედეგის ჩვენება იყო და მიხარია, ეს რომ გავაკეთე“* - თქვა ბოკიევმა. რუსი ჟურნალისტი იმითაც დაინტერესდა, რას იზამს, თუ გამბა ნაკრებში არ მიიწვევს. ჩვენი რუსი კოლეგის თქმით, ბოკიევს ამაზე გაეცინა და გამოთქვა იმედი, რომ მწვრთნელი არჩევანს საუკეთესოზე შეაჩერებს.

ბოკიევის რუსეთში გადასვლა ჩვენთვის კარგი იმითაა, რომ მსოფლიოს პირველობაზე, ოლიმპიადაზე და საერთაშორისო ტურნირებზე ერთი ძლიერი კონკურენტი გვაკლდება – აქამდე ისიც და რუსეთის ნაკრების წევრიც (ვინც უნდა დაეყენებინათ), ორივე მედლის რეალური კანდიდატი იყო. სამაგიეროდ, ევროპის პირველობაზე ძალიან ძლიერი პრეტენდენტი გვემატება – ვფიქრობთ, ის ცოტათი ძლიერია მათზე, ვინც ბოლო წლებში ამ წონაში რუსეთის ნაკრებში ჭიდაობდა. ნამდვილად არ ვამბობთ, რომ ამ ნაკრების ძველი ლიდერები - ევროპის ჩემპიონი **სალამუ მეჯიდოვი** ან მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **მანსურ ისაევი** სუსტები არიან, მაგრამ ბოკიევი თუ ისედაც კარგ ფიზიკურ კონდიციებს კიდევ უფრო დახვეწს... აშკარაა, მისი შემატება ეძიო გამბას მოსვლის შემდეგ სასწაულებრივად გარდაქმნილ რუსეთის ნაკრებს კიდევ უფრო გააძლიერებს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრები ოქროს გარეშე დარჩა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატზე, პეკინის ოლიმპიადაზე კი, ოქროს ვინ დაეძებს, მედალი საერთოდ ვერ მოიპოვა. ამას ნაკრების თავკაც **სერგეი ტაბაკოვის** მოხსნა და მის ნაცვლად იტალიიდან მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონის, ლოს-ანჯელესის თამაშების ვერცხლის პრიზიორისა და 1982 წლის ევროპის ჩემპიონ გამბას მიწვევა მოჰყვა. მის ხელში რუსეთის ნაკრებმა წლეულს თბილისში, ევროპის პირველობაზე სამი ოქრო და ორი ბრინჯაო მოიპოვა, მსოფლიოზე – სამივე სინჯის თითო მედალი. არადა, გამბა იტალიაში დიდი სამწვრთნელო მიღწევებით არ გამოირჩეოდა – საკუთარი კლუბი ჰქონდა და იქ საქმიანობდა. როგორც ძიუდოს საერთაშორისო წრეებში მიღებულმა ერთმა პიროვნებამ გვითხრა, გამბამ ასეთ შედეგებს ობიექტურობის უმკაცრესი დაცვით მიაღწია, ადგილობრივ კლანებთან საამისოდ ბრძოლაში კი მხარდაჭერა, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის პრემიერ-მინისტრ **ვლადიმირ პუტინისგან** მიიღო. ბოლო წლებში რუსეთის ნაკრებში ჩრდილოკავკასიელები მასობრივად მომრავლდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე უმთავრეს ტურნირზე გუნდი მთლიანად იქაურებმა დააკომპლექტეს, რუსი კი წამლად არ იყო მთელ ნაკრებში. როგორც ჩვენი წყაროსგან შევიტყვეთ, იქ ნაკრების დაკომპლექტებას ფედერაციის ერთ-ერთი დიდმოხელე, ეროვნებით ავარელი ლეკი **ხაიბულაევი** (ოღონდ არა ევროპის ჩემპიონ **ტაგირ ხაიბულაევის** ახლო ნათესავი) წყვეტდა, რომელიც ჩრდილოკავკასიელებს მფარველობდა. ამ ჯადოსნურ წრეს მხოლოდ პუტინის პირადი მწვრთნელი **ივან რახლინი** თუ გაარღვევდაო – საქმეში მას თუ ჩარევდნენ, ეგებ, რუსებიც დაეყენებინათ გუნდში. პუტინმა გამბას მოქმედების სრული თავისუფლება და კლანებთან ბრძოლაში მხარდაჭერა აღუთქვა. შედეგიც უმალ მიიღეს – ნაკრებში ახალი სახეებიც მყისვე გამოჩნდნენ და შედეგებიც მაშინვე მოვიდა.

ორიოდ სიტყვით რუსეთის ჩემპიონატზე, რომელშიც ნაკრების არც ერთი ლიდერი არ ჭიდაობდა - მსოფლიოს პირველობით კიდევ უფრო დამძიმებული ისედაც მომქანცველი სეზონის შემდეგ გამბამ ყველა დაასვენა. ამიტომ გამარჯვებულთა გვარ-სახელებზე არ შევჩერდებით, რადგან აქ ნაკრებში მოსახვედრად მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. თუმცა მთავარი ინტრიგა ისაა, რომ ამ ჩემპიონატმაც ჩრდილოკავკასიელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა – გუნდურ ჩათვლაში სამხრეთის ფედერალური ოლქის ნაკრებმა გაიმარჯვა, რომელშიც სწორედ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები შედიან, საკუთრივ ამათში კი ყველაზე უკეთ ყაბარდო-ბალყარეთის და ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლები გამოვიდნენ. გამარჯვებულთაგან ერთადერთ გვარს დავასახელებთ და ისიც ქალებში, სადაც მძიმე წონაში **თეა დონღუზაშვილმა** გაიმარჯვა.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

ინტერვიუ ბათლომე ხამაშურიძესთან



# ანტილოპა – წმინდა ქართული ჯიში

**ანტილოპა - გრძელფეხება, ულამაზესი ცხოველია. ბუნებაში მისი 1 500-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, რომლებიც ძირითადად აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე ბინადრობს. საქართველოში კი სულ ორი „ანტილოპაა“, ქართული რაგბის თემში კარგად ცნობილი მამა-შვილი, ბათლომე და ბესიკ ხამაშურიძეები. ამჯერად მამა „ანტილოპაზე“, ქუთაისის „აიას“ ოქროს გუნდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურაზე გვინდა გიამბოთ, უფრო სწორად, მისთვის დამახასიათებელი ქუთაისური იუმორით ყველაფერზე თვითონ მოგითხრობთ:**

- სანამ რაგბის თამაშს დავიწყებდი, სპორტის სხვადასხვა სახეობით ვიყავი დაკავებული. ფეხბურთსაც ვთამაშობიდი, ხელბურთსაც და მძლეოსნობაშიც ვვარჯიშობდი. ძალა მერჩოდა და სპორტი ამიტომაც მიზიდავდა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს მეზობლად დუგლას კავთელაშვილი გადმოვიდა საცხოვრებლად. გავიცანი; მკითხა არ გინდა, რაგბის თამაში სცადოო? თავიდან შევყოყმანდი, არ ვიცი რაგბის თამაში, წესებში ვერ ვერკვევი-მეთქი. მერე მაინც მივედი ვარჯიშზე და მას შემდეგ სპორტის ამ სახეობით ვცხოვრობ.

**- რატომ აირჩიეთ რაგბი, რით მოგხიბლათ ასე ამ თამაშმა, რომ დღემდე მის სამსახურში ხართ?**

- რაგბი ძალისმიერი თამაშია და ამან მომხიბლა. ბავშვობიდან ჩხუბი მიყვარდა. რაგბი უამისოდ რაგბი არაა და დღემდე სულ ვჩხუბობ, ვიბრძვი. რაგბი, ეს ყველასგან განსხვავებული ცხოვრების წესია და მეც დღემდე ამ წესით ვცხოვრობ.

**- რა არის გასული საუკუნის 80-იანი წლების ქუთაისური რაგბის წარმატების საიდუმლო?**

- ქუთაისში რაგბის აღმავლობა შაკო ქურციკიძის მეოხებით დაიწყო. მას დიდი ამაგი აქვს ჩვენი გუნდის ჩამოყალიბებაში, ოსტატობის ზრდაში. მერე დუგლას კავთელაშვილი მოვიდა, რომელმაც კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აგვიყვანა. გუნდი უკვე ისეთ მაღალ დონეზე იყო გაწვრთნილ-მომზადებული, რომ უფლება არ გვქონდა, წარმატებისთვის არ მიგვეღწია. რამდენიმე მოთამაშე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს რაც იოლი საქმე არ იყო.

**- საბჭოთა კავშირის ნაკრებში თქვენც გითამაშიათ...**

- სამ თუ ოთხ შეხვედრაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. უფრო ხშირად კი, მეორე ნაკრებში ვთამაშობდი. ამ გუნდთან ერთად ყველაზე დიდ წარმატებას 1984 წელს მივაღწიე, როცა მოსკოვში საერთაშორისო ტურნირი მოვიგეთ. შეჯიბრებაში რუმინეთის, იაპონიის, პოლონეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებები გამოდიოდნენ. ყველა მატჩში გავიმარჯვეთ და პირველ ადგილზე გავედით. მაშინ ჩემთან ერთად ქართველი მორაგბეებიდან დავით კილასონია თამაშობდა.

**- თქვენ სხვადასხვა ამპლუაში გითამაშიათ. როგორ ახერხებდით, რომ უკანახაზელი შერკინების მესამე ხაზშიც არანაკლები წარმატებით თამაშობდით?**

- მართალია, თავიდან უკანა ხაზში, ფულბეკად გამამწესეს, გარემარბადაც მათამაშებდნენ, ცოტა მოგვიანებით მეორე და მესამე ხაზებშიც მომიწია თამაშმა. ჩემი სიმაღლისა და ფიზიკური მონაცემების წყალობით, ვფიქრობ, საქმეს ცუდად არ ვართმევდი თავს. თანაც ერთადერთი ვიყავი გუნდში, ვინც ღვინოს არ სვამდა, რაც, ცხადია, ხელს მიწყობდა. ორმოცი წლის რომ გავხდი, პირველად მაშინ დავლიე და ისე ცუდად გავხდი, დღემდე ვერ ვისწავლე ღვინის სმა.

**- თქვენი ვაჟიც, ბესიკიც უკანა ხაზში, იმავე პოზიციაზე თამაშობდა, სადაც თქვენ. როგორ ფიქრობთ, შვილი სჯობდა მამას თუ პირიქით?**

- ძალიან რთული შეკითხვაა. ჩვენი დროის რაგბი დღევანდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაშინ ძირითადი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ეთმობოდა, მძიმე, ძალისმიერ რაგბის ვთამაშობდით. დღესდღეობით რაგბი უფრო დაიხვეწა, ფიზიკური მზადყოფნა, ცხადია, ახლაც აუცილებელია, მაგრამ თამაში უფრო ლაღი, სანახაობრივი გახდა. ყოველივე ამის გამო მიჭირს შეფასების გაკეთება.

**- ჰო, მაგრამ უმცროს „ანტილოპას“ მსოფლიო თასის ორ გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.**

- ჩვენს დროსაც რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო ქართული რაგბი, გარწმუნებთ, სამ მსოფლიო თასზე ვითამაშებდით.

**- თქვენ საკმაოდ დიდხანს თამაშობდით, შვილთან ერთადაც კი გითამაშიათ...**

- ერთადაც გვითამაშია და ერთმანეთის წინააღმდეგაც. საქართველოს ჩემპიონატში ერთად ვთამაშობდით „აიას“ შემადგენლობაში. მერე ბესო თბილისის „უნივერსიტეტში“ გადავიდა. სხვათა შორის, ერთადერთი მორაგბე ვარ, რომელსაც ქუთაისის „აია“ არასდროს დაუტოვებია. ამ გუნდის გარდა სხვაგან არსად მითამაშია.

უკვე საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი, ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშმა რომ მოგვიწია. მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში შემბოჭეს და ძირს დამცეს. ადგომას ვერ ვახერხებდი, მესმის, ვიღაცა მეუბნება - ხომ ხედავ, დაბერდი, დაანებე ანი თამაშს თავიო. ქვემოდან ავხედე, ჩემი შვილი მედგა თავზე.

**- დღესდღეობით როგორი მდგომარეობაა ქუთაისურ რაგბიში?**

- მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გამოსწორდა. ბესო საფრანგეთიდან დაბრუნდა და „აიას“ ჩაუდგა სათავეში. საქართველოს ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავეს, თუმცა პოტენციალი ისეთი აქვთ, შეეძლოთ, ფინალშიც ეთამაშათ.

სხვა მხრივ, ნელ-ნელა წინ მივიწევთ. ბავშვთა სარაგბო სკოლა შევქმენით, რომელსაც სოსო დიაკონიძე ხელმძღვანელობს. ამას დაემატა რაგბის აკადემიაც. ბავშვებთან მომუშავე საკმაოდ კარგი მწვრთნელები გვყავს, რომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე საქართველოს რაგბის კავშირი ზრუნავს.

საკმაოდ კარგი ახალი თაობა მოდის. სახელმწიფოსგან ცოტა მეტი ყურადღება გვჭირდება, რათა ეს ბიჭები არ დაიკარგონ და თაობათა შორის წყვეტა არ მოხდეს. რაც ყველაზე მთავარია, არ გვაქვს მოედანი. ჩემი ოცნებაა, როდესმე ქუთაისში სარაგბო მოედანი გველირსოს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# ვენუსმა შანსი შეინარჩუნა

WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე დასასრულს მიუახლოვდა ჯგუფური ტურნირი. სანამ გუშინ გამართულ მატჩებზე ვილაპარაკებთ, ორიოდე სიტყვით უნდა ვახსენოთ დები **უილიამსების** მატჩი წითელ ჯგუფში, რომელიც ოთხშაბათს გვიან ღამით დასრულდა.

მეშვიდე ნომრად განთესილმა ვენუსმა ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო და ძალიან გაირთულა სატურნირო მდგომარეობა.

ისევე როგორც პირველ ტურში **ელენა დემენტიევას** წინაალმდეგ, ვენუსმა აქაც მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მეორე პარტიაში მინიმალური უპირატესობით დამარცხა. მატჩის ბედი მესამე პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ვენუსმა დემენტიევასთან გადამწყვეტი სეტი პირწმინდად დათმო და ამჯერადაც პრაქტიკულად უიმედოდ აგებდა (1:4, 3:5), მაგრამ სერენამ 5:4-ზე მატჩზე ვერ მოაწოდა და დას ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. უფრო მეტიც, მე-12 გეიმში უფროს უილიამსს დის მოწოდებაზე მატჩ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. საბოლოოდ ყველაფერი ტაიბრეიკზე გადაწყდა, სადაც იღბალი სერენა უილიამსის მხარეს იყო.

შეხვედრა 2 საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. სერენამ წელს ზედიზედ მესამედ მოუგო ვენუსს და ახლა მათ შორის ურთიერთშეხვედრებში ანგარიშია - 12:10 უმცროსი დის სასარგებლოდ.

გუშინ დებმა დაასრულეს ჯგუფური ეტაპი. სერენამ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. უილიამსის მსხვერპლი დემენტიევა გახდა - 6:2, 6:4.



გაცილებით დაძაბული გამოდგა ვენუსისა და **სვეტლანა კუზნეცოვას** შეხვედრა. ამჯერად ამერიკელმა ნავსი გატეხა და მოახერხა მესამე სეტისა და შესაბამისად, ტურნირზე პირველი მატჩის მოგება. ასე რომ, ვენუსმა შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცავად ბრძოლის გაგრძელების შანსი მიიღო. თუმცა ვენუსის ბედი დღეს კუზნეცოვასა და დემენტიევას მატჩში გადაწყდება. ამერიკელისთვის აუცილებელია შეხვედრა კუზნეცოვამ მოიგოს და ამ შემთხვევაში სამ ჩოგბურთელს შორის მოგებული სეტები და გეიმები დაითვლება.

# სერენა ითამაშებს, ვენუსი არა

ფედერაციის თასზე იტალიის ნაკრების კაპიტანმა **კორადო ბარაცუტიმ** ამერიკასთან ფინალური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. შეხვედრა 7-8 ნოემბერს რეჯო კალაბრიაში გაიმართება.

იტალიის ნაკრებში გამოძახებულნი არიან - **ფლავია პენეტა** (მსოფლიოს მე-11 ნომერი), **ფრანჩესკა სკიავონე** (17), **სარა ერანი** (48) და **რობერტა ვინჩი** (62). როგორც ხედავთ, „სკუადრა აძურა" უძლიერესი შემადგენლობით ხვდება ფინალს. ეჭვს იწვევდა ამ გუნდის ლიდერის, 27 წლის პენეტას თამაში, რომელმაც გასულ კვირას კრემლის თასზე ტრავმა მიიღო. მაგრამ ფლავიამ დაზიანება მოირჩინა და მას ფინალში ვიხილავთ.

ასევე ცნობილია ამერიკის ნაკრების შემადგენლობა. დები **უილიამსებისგან** ფინალში მხოლოდ **სერენა** ითამაშებს. მის გარდა აშშ-ის გუნდში მიწვეულნი არიან **მელანი ოუდინი** (27-ე ჩოგანი), **ალექსა გლეტჩი** (146) და **ლიზელ ჰუბერი** (წყვილთა რეიტინგის ერთ-ერთი ლიდერი).

შეგახსენებთ, რომ აპრილში ფედერაციის თასის ნახევარფინალში ამერიკამ უილიამსების გარეშე დაამარცხა ჩეხეთი - 3:2, ხოლო იტალიამ მოქმედი ჩემპიონი რუსეთი გაანადგურა - 4:1.

# სანტორო რეკორდს უმიზნებს



ფრანგი ვეტერანი **ფაბრის სანტორო** ამ სეზონის შემდეგ აპირებს აქტიური საჩოგბურთო კარიერის დასრულებას, თუმცა 36 წლის სანტორომ, შესაძლოა, შეცვალოს თავისი გეგმები და ავსტრალიის ღია პირველობაში ითამაშოს. ფრანგ ჩოგბურთელს კონკრეტული მიზანი აქვს. მას შეუძლია დაამყაროს რეკორდი და გახდეს პირველი ჩოგბურთელი ისტორიაში, ვისაც ოთხი ათწლეულის განმავლობაში ექნება მიღებული მონაწილეობა „დიდი სლემის" ტურნირებში.

*„მას შემდეგ, რაც ერთმა კანადელმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ ამ უნიკალური მიღწევის მიჯნაზე ვდგავარ, მუდმივად ვფიქრობ იმაზე, რომ არ უნდა გავუშვა რეკორდის დამყარების შანსი"*, - აღნიშნა სანტორომ ლიონში, სადაც ამ კვირას მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში ესპანელ **ალბერტ მონტანიესთან** დამარცხდა - 4:6, 4:6.

ფრანგმა ჩოგბურთელმა „დიდი სლემის" ტურნირზე პირველად შორეულ 1989 წელს ითამაშა, როცა დებიუტი ჰქონდა როლან გაროსზე.

*„მაგრამ თუ მინდა, რომ მელბურნში 5-სეტიანი მატჩებისთვის ვიყო მზად, სათანადოდ უნდა მოვემზადო და დეკემბერში თხილამურებით სრიალზე არ ვიფიქრო. მიუხედავად იმისა, გამოვალ თუ არა გაისად ავსტრალიის ღია პირველობაზე, ნოემბერში პარიზის მასტერსი წერტილს დაუსვამს ჩემს ხანგრძლივ კარიერას"*, - დაამატა სანტორომ. ფრანგის ბოლო ტურნირი - პარიზის მასტერსი „ბერსის" დარბაზის კორტებზე 7-15 ნოემბერს გაიმართება.

# მაკინროი ახალგაზრდობას გაიხსენებს



ლეგენდარული ამერიკელი **ჯონ მაკინროი** იანვარში კორტზე აპირებს დაბრუნებას. 12-14 იანვარს ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში საინტერესო ტურნირი გაიმართება, რომლის სახელწოდებაა - World Tennis Challenge. მაკინროის გარდა, აქ ითამაშებენ წარსულის სხვა ცნობილი ვარსკვლავები - ავსტრალიელი **პატ კეში** და ფრანგი **ანრი ლეკონტი**.

World Tennis Challenge გუნდური ტურნირია. მასში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ოკეანეთის, ევროპის, ამერიკისა და მსოფლიოს ნაკრებები. ყოველი გუნდი თითო ვეტერანი და მოქმედი ჩოგბურთელით იქნება დაკომპლექტებული.

ოკეანეთის ნაკრებში ითამაშებენ პატ კეში და ავსტრალიური ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ბერნარდ ტომიჩი**. ამერიკას წარმოადგენენ - მაკინროი და **რობი ჯინეპრი**. ევროპისა და მსოფლიოს ნაკრებებში გამოვლენ ლეკონტი და ჩეხი **რადეკ შტეპანეკი**. მათი პარტნიორები ჯერ არ არიან ცნობილი.

მატჩები ორ მოგებამდე გაიმართება - თავდაპირველად ერთმანეთს ვეტერანები შეხვდებიან, შემდეგ მოქმედი მოთამაშეები, ბოლოს კი წყვილთა შეხვედრის გამართვაა გათვალისწინებული.

# ავსტრალიის ღია საფინას გარეშე?

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსი ჩოგბურთელი **დინარა საფინა** მოიხსნა WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირიდან, რომელიც ამ დღეებში კატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ 23 წლის რუსმა **ელენა იანკოვიჩთან** პირველი ტურის მატჩში მხოლოდ ორი გეიმი ითამაშა და შეხვედრა შეწყვიტა.

მოგვიანებით საფინამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკვე სამი თვეა აწუხებს ზურგის ტრავმა და მთელი ამ დროის განმავლობაში ტკივილგამაყუჩებლებით უწევდა თამაში (საფინას კორტიზონს უკეთებდნენ). რუსის სიტყვებით, ექიმებმა მას ექვსი კვირით აუკრძალეს კორტზე გასვლა და სავარაუდოდ, დინარა 2010 წლის ავსტრალიის ღია პირველობისთვის სათანადო ფორმის აკრეფას ვერ მოასწრებს.

*„კორტიზონის ნემსი გუშინაც გამიკეთეს. აღარ შემიძლია ამ ტკივილის მოთმენა. ჩემი ორგანიზმი დანებდა. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მეთამაშა, მაგრამ არაფერი გამომივიდა"*, - აღიარა საფინამ.

რუსმა ისიც აღნიშნა, რომ, შესაძლოა, ვერ ითამაშოს მომავალი სეზონის პირველ დიდ ტურნირში - ავსტრალიის ჩემპიონატში. *„ექიმების ვერდიქტი საკმაოდ მკაცრია. შესაძლოა, მელბურნში თამაში ვერ შევძლო"*, - დაამატა დინარამ.

WTA-ის ჩემპიონატიდან დინარას გამოთიშვა იმას ნიშნავს, რომ 2009 წელს პირველი ჩოგნის რანგში ამერიკელი **სერენა უილიამსი** დაასრულებს.





სხვადასხვა

კალათბურთი

## ჯაბარი მემფისს გაწვრთნის?

ლეგენდარული ამერიკელი ცენტრი **ქარიმ აბდულ ჯაბარი**, რომელიც ამჟამად „ლეიკერსის" სამწვრთნელო შტაბში შედის, შესაძლოა, „მემფის გრიზლისის" მწვრთნელად დაინიშნოს. როგორც Memphis Commercial Appeal წერს, ჯაბარი ამ გუნდის ბოლო ვარჯიშს ესწრებოდა და არ გამორიცხა მის რიგებში მწვრთნელის რანგში გამოჩენა.

დღეისთვის აბდულ ჯაბარი „ლეიკერსის" ახალგაზრდა ცენტრის **ენდრიუ ბინუმის** წვრთნით არის დაკავებული, მაგრამ ამერიკული პრესის ინფორმაციით, ლეგენდის როლი კალიფორნიულ კლუბში შესამჩნევად შემცირდება.

კრივი

## ტუამ ახალი მეტოქე იპოვა

ცნობილი ზელანდიელი მძიმეწონოსანი **დევიდ ტუა** სავარაუდოდ 12 დეკემბერს გამართავს მორიგ ბრძოლას. ამ დღეს მისი მეტოქე ნაკლებად ცნობილი ნიგერიელი **ფრაიდეი აჰუნანია** იქნება.

შეგახსენებთ, რომ ტუა ამ თვის დასაწყისში ორწლიანი შესვენების შემდეგ გამარჯვებით დაუბრუნდა პროფესიულ რინგს. მან ამერიკელი **შონ კამერონი** ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა.

## ადამეკი ჩაგაევს უმიზნებს

სუპერმძიმე წონაში გადასული პოლონელი **ტომაშ ადამეკი** თავის მორიგ ბრძოლას უზბეკი **რუსლან ჩაგაევის** წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელიც WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი გახლავთ. პოლონური პრესის ინფორმაციით, ადამეკს შესაბამისი წინადადებით პრომოუტერულმა კომპანია Universum-მა მიმართა, რომლის კლიენტიც გახლავთ უზბეკი მოკრივე. სავარაუდოდ ბრძოლა მომავალი წლის იანვარ-თებერვალში გერმანიაში გაიმართება.

79 და 90-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ადამეკმა გასულ კვირას პირველად იჩხუბა სუპერმძიმე წონაში - მან ტექნიკური ნოკაუტით მოუგო სახელგანთქმულ თანამემამულე **ანჯეი გოლოტას**.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ბაფალო 1:4**

0:2, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 მაკარტური-5 (რივე-4, პომინვილი-4), 0:2 ტიმ კენედი-1 (ჰეხტი-2, მონტადორი-2), 1:2 ე. გრინი-1 (პარიზე-7, ლანგენბრუნერი-5), 1:3 გოსტადი-2 (ელისი-3, მონტადორი-3), 1:4 პომინვილი-3 (ბატლერი-4, ტ. კონოლი-5).

**დალასი-ტორონტო 4:3 (ო)**

0:0, 1:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-4 (ნილი-7, ნისკანენი-3), 1:1 კულემინი-1 (ჯ. ბლეიკი-3, ჯ. მიტჩელი-4), 2:1 ბ. რიჩარდსი-5 (რიბეირო-7, ნისკანენი-4), 2:2 სტემპნიაკი-3 (ჯ. ბლეიკი-4, ტ. კაბერლე-10), 2:3 კულემინი-2 (ჯ. ბლეიკი-5, გრაბოვსკი-4), 3:3 რიბეირო-4 (ბენი-6, მოროუ-5), 4:3 ნილი-7 (რობიდასი-5, სკრასტინსი-3).

**კაროლინა-სტ. ლუისი 2:5**

1:3, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 პერონი-2 (ბერგლუნდი-2, კრომბინი-2), 0:2 ი. შჩასტნი-1, 0:3 მაკლემანი-3 (პერონი-3, სიდორი-2), 1:3 კორვო-2 (ვალინი-3, ე. სტაალი-2), 1:4 ე. მაკდონალდი-4 (ტკაჩუკი-6, პოლაკი-2), 2:4 ს. უოკერი-2, 2:5 პერონი-3.

**კოლამბუსი-ფინიქსი 1:4**

1:0, 0:2, 0:2

**გოლები:** 1:0 ბრასარი-2 (ტორესი-1, რასელი-3), 1:1 ჰანჟალი-1 (ყოვანოვსკი-6, იენდლი-2), 1:2 ვანდერმეერი-1 (ფიდლერი-4, ვინიკი-4), 1:3 ზ. მიხალეკი-1 (ვრბატა-2, იენდლი-3), 1:4 ლანგი-2 (იენდლი-4).

**პიტსბურგი-მონრეალი 6:1**

1:0, 3:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კროსბი-7 (გერინი-4, კუნიტცი-6), 2:0 კროსბი-8 (კუნიტცი-7, გერინი-5), 3:0 რუპი-3 (ადამსი-3, იტონი-3), 4:0 კროსბი-9 (კუნიტცი-8, ორპიკი-2), 4:1 პლეკანეცი-3 (ჯონტა-3, გომესი-6), 5:1 გოლიგოსკი-4 (მალკინი-10, გერინი-6), 6:1 კუნიტცი-1 (კ. ბურკი-1, გოლიგოსკი-7).

**ფლორიდა-ოტავა 3:4**

1:1, 1:3, 1:0

**გოლები:** 1:0 რაინპრეხტი-5 (ლეოპოლდი-3, ჰორტონი-2), 1:1 ფიშერი-4 (კუბა-1, ალფრედსონი-9), 2:1 უეისი-3 (ოლეში-3, ლეოპოლდი-4), 2:2 ალფრედსონი-5 (კუბა-2), 2:3 ფოლინო-3 (მ. მიხალეკი-1, კამპოლი-1), 2:4 ი. რუუტუ-3 (კელი-5, კამპოლი-2), 3:4 მაკეიბი-1 (კულიკოვი-4, ჰორტონი-3).

**მინესოტა-ნეშვილი 3:4**

0:2, 3:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დუმონი-3 (ლეგვანდი-2, სალივანი-2), 0:2 შ. უებერი-4 (სალივანი-3, სატერი-5), 1:2 ბერნსი-2 (მ. კოივუ-7), 2:2 კლატერბეკი-2 (ბელანჟე-8, პუიო-2), 3:2 ნოლანი-2 (ჟიდლიცკი-6, მიეტინენი-4), 3:3 სანტორელი-1 (ჯ. უორდი-2, შ. უებერი-4), 3:4 სმიტსონი-2.

**კალგარი-კოლორადო 2:3**

2:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 იგინლა-4 (კონროი-5, გლენკროსი-2), 2:0 ო. იოკინენი-2 (მოსი-1, რეგერი-6), 2:1 კოსი-1 (ბ. კლარკი-5, რაიან უილსონი-2), 2:2 დ. ჯონსი-3 (კ. სტიუარტი-5, ო'რაილი-9), 2:3 ვოლსკი-8 (პ. შჩასტნი-9, ჰენანი-5).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-4 (დაუტი-10, დ. ბრაუნი-9), 1:1 მარლო-10 (დ. მიურეი-3, დ. ბოილი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰანძუში (ლოს ანჯელესი), ჰიტლი (სან ხოსე), ქლოუ (სან ხოსე).

**აილენდერსი-რეინჯერსი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მოულსონი-6 (ჰილენი-2), 1:1 პარენტო-1, 2:1 ოკსოპო-2 (ჰილენი-3, უეიტი-3), 3:1 ტავარესი-4 (ტამბელინი-1).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კლივლენდი ნოკდაუნშია



რეგულარული ჩემპიონატის მეორე დღე იმდენად მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებით, რომ ერთი მატჩის გამოყოფა გაჭირდა და ამიტომაც რამდენიმე მატჩის პერიპეტიებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

შინ „ბოსტონთან“ წაგების შემდეგ, „კლივლენდ კავალიერზი“ ოპტიმისტური განწყობით გაემგზავრა ტორონტოში, მაგრამ „კავალერისტებს“ ლიგის ერთადერთ კანადურ კლუბთან მატჩში კარგი არაფერი ელოდა. მასპინძლებმა ერთადერთხელ მისცეს **ლებრონისა** და **შაკის** გუნდს ანგარიშში დაწინაურების საშუალება. ისე კი, რაც მოესურვებოდათ, იმას აკეთებდნენ მოედანზე. **ანდრეა ბარნიანიმ** სრულად გაამართლა თავისი მეტსახელი - II Mago. იტალიელი ცენტრი ზედიზედ ყრიდა ბურთებს სეზონის ერთ-ერთი ფავორიტის კალათში და ამაში მას ხელს ვერც ო'ნილი უშლიდა და ვერც მისი შემცვლელი. თამაშიდან სროლების გამოყენების 72.2 პროცენტი, 28 ქულა და 5 მოხსნა - მართლაც შესანიშნავი მაჩვენებელია. იმ საღამოს იტალიელს არ ჩამორჩნენ **კრის ბოში და ხოსე კალდერონი** - ამერიკელმა თავის აქტივში 21 ქულა და 16 მოხსნა ჩაიწერა, ესპანელმა კი 11 შედეგიანი პასით დაასრულა მატჩი. ერთადერთი, ვინც კანადური კლუბის შეჩერებას ცდილობდა, ლებრონი იყო, მაგრამ მისმა მონდომებამ, რამაც სეზონში პირველი ტრიპლდაბლი მოიტანა, მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ „კლივლენდი“ დიდი ანგარიშით არ დამარცხდა.

„ბოსტონმა“ ტრადიციას არ უღალატა და ზედიზედ მეათე სეზონში სასტარტო საშინაო შეხვედრა მოიგო. თანაც „კელტებმა“ მეტისმეტი სტუმართმოძულეობა გამოიჩინეს და „შარლოტს“ მხოლოდ 59 ქულა დააგროვებინეს, რაც ამ კლუბის ყველა დროის ანტირეკორდია შედეგიანობის მხრივ. მასპინძლების გამთამაშებელმა **რაჟონ რონდომ** ზედიზედ მეორე მატჩში ათზე მეტი (11) შედეგიანი პასი დააგროვა. დაუმატეთ ამას 10 ქულა და ორმაგ დუბლს მიიღებთ.

აი, **დერონ უილიამსმა** კი 13 შედეგიანი გადაცემის შესრულება და 28 ქულის დაგროვება შეძლო, მაგრამ „იუტამ“ მაინც წააგო „დენვერთან“ გასვლითი შეხვედრა. **ჯერი სლოუნის** შეგირდებს სამი მეოთხედის განმავლობაში მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლო 12-წუთეულის სტარტი ჩააგდეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც.

„ნაგეტსის“ შემადგენლობაში მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს **კარმელო ენტონიმ** და **ჩონსი ბილაპსმა**, რომლებმაც შესაბამისად 30 და 25 ქულა დააგროვეს. ამ დუეტს არ ჩამოუვარდებოდა **კენიონ მარტინი** - 16 ქულა და 11 მოხსნა. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ტაი ლოუსონი**, რომელიც დრაფტის მე-18 ნომერი იყო. ამ გამთამაშებელმა 26 წუთში 17 ქულა ჩააგდო, 6 შედეგიანი პასი და 4 მოხსნა შეასრულა.

## დღის გმირი

საუკეთესო მოთამაშის ტიტულს რამდენიმე კანდიდატი ჰყავს, ამიტომაც დღეს ამ ნომინაციაში სამი კალათბურთელი გამოვარჩიეთ. ანდრეა ბარნიანის შესახებ უკვე დავწერეთ - მისი ბრწყინვალე გამოსვლა „კლივლენდის“ წინააღმდეგ იმსახურებს იტალიელის საუკეთესო მოთამაშეებში მოხსენიებას.

წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს **ტრევორ არიზას** დებიუტი „ჰიუსტონის“ რიგებში. მისმა ახალმა გუნდმა რთული მატჩი მოუგო „გოლდენ სტეიტს“, ფორვარდის პირად მაჩვენებლებს კი არაფერი დაეწუნება - 25 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა და დაფარება 40 წუთის (არიზამ თანაგუნდელებს შორის ყველაზე მეტი დრო დაყო მოედანზე) განმავლობაში.

საუკეთესოებს შორის მოხვდა ტაი ლოუსონი - ბილაპსისა და **კარტერის** შემდეგ „დენვერის“ მესამე გამთამაშებელი. გადამწყვეტ მომენტში სწორედ მან შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი „იუტასთან“ გადამწყვეტი გაქცევის დროს, ბოლოს კი ზუსტი ტყორცნით წერტილი დაუსვა შეხვედრას.

## დღის რიცხვი

ლებრონ ჯეიმსი გმირებს შორის ვერ მოხვდა, მაგრამ „კლივლენდის“ ლიდერი აქ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ. „მეფემ“ ტორონტოში 23 ქულას, 12 შედეგიან პასსა და 11 მოხსნას მოუყარა თავი, რითაც კარიერაში 25-ე სამმაგი დუბლის ავტორი გახდა.

## დღის ისტორია

„ჰიუსტონის“ კალათბურთელებს „გოლდენ სტეიტთან“ სეზონის სასტარტო შეხვედრაში სათამაშოდ ბორნით მოუწიათ მისვლამ. გუნდის გზა სან ფრანცისკოს სასტუმროდან ოკლენდის არენამდე Bay Bridge-ის ხიდზე გადიოდა, მაგრამ ის ბაგირების გაწყვეტის გამო დაკეტეს, ამიტომაც „როკეტს“ სარეზერვო ვარიანტის მოძებნა მოუხდა.

*„მომეწონა ყურეში მოგზაურობა. რამდენიმე სამახსოვრო ფოტოც კი გადავიღე. ახლა სან ფრანცისკოსა და ოკლენდის ნაწილად მივიჩნევ თავს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ NBA-ის თამაშზე ბორნით მომიწევდა წასვლა. ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჩაკ ჰეიესმა, რომელიც წარმოშობით ამ ადგილებიდანაა, მცირე ექსკურსიაც კი ჩაგვიტარა“*, - განაცხადა „რაკეტების“ მცველმა აარონ ბრუქსმა.

**ატლანტა-ინდიანა 120:109**
29:32, 37:33, 29:27, 25:17
ა: ჯო ჯონსონი (25+6 პასი+4 ჩაჭრა), ჰორფორდი (24+16 მოხსნა), ჯ. სმიტი (18+8 პასი+5 ჩაჭრა), მ. უილიამსი (14), მ. ევანსი (12), ბიბი (10+3 ჩაჭრა).
ი: გრეინჯერი (31), ი. უოტსონი (20), დ. ჯონსი (17), მერფი (14+10 მოხსნა+7 პასი), ჰიბერტი (6+9 მოხსნა).

**ორლანდო-ფილადელფია 120:106**
29:27, 41:20, 28:22, 22:37
ო: დ. ჰოვარდი (21+15 მოხსნა), რ. ანდერსონი (16), ვ. კარტერი (15), ჯ. უილიამსი (15), პიეტრუსი (13), რედიკი (10).
ფ: სპეიტსი (26), ლ. უილიამსი (18), კაპონო (13), კარნი (10), იგუოდალა (8+6 პასი+4 ჩაჭრა).

**ტორონტო-კლივლენდი 101:91**
27:22, 30:17, 21:32, 23:20
ტ: ბარნიანი (28), ბოში (21+16 მოხსნა), თურქოგლუ (12+7 მოხსნა+3 დაფარება), ბელინელი (10), კალდერონი (5+11 პასი).
კ: ლ. ჯეიმსი (23+11 მოხსნა+12 პასი), მ. უილიამსი (16), შ. ო'ნილი (12+7 მოხსნა), ე. პარკერი (12), გიბსონი (12).

**ბოსტონი-შარლოტი 92:59**
22:13, 20:18, 25:10, 25:18
ბ: რ. ალენი (18), პირსი (15), შ. უილიამსი (12+9 მოხსნა), რონდო (10+11 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), პერკინსი (9+7 მოხსნა+4 დაფარება).
შ: ჯ. უოლასი (10+12 მოხსნა), მოჰამედი (5+8 მოხსნა).

**მაიამი-ნიქსი 115:93**
27:23, 29:24, 34:15, 25:31
მ: უეიდი (26), ჯ. ო'ნილი (22+12 მოხსნა), ბიზლი (21), დ. კუკი (15), ჩალმერსი (11), ჰასლემი (8+9 მოხსნა).
ნ-ი: გალინარი (22), დ. ლი (22+9 მოხსნა), ჩენდლერი (21+7 მოხსნა), ჰარინგტონი (15), მილიჩიჩი (4+7 მოხსნა).

**მემფისი-დეტროიტი 74:96**
20:24, 21:29, 16:18, 17:25
მ: მ. გასოლი (21+15 მოხსნა+3 დაფარება), გეი (16), ზ. რენდოლფი (14+9 მოხსნა).
დ: ბ. გორდონი (22), ჰემილტონი (25), პრინსი (14), სტაკი (12), ბ. უოლასი (3+9 მოხსნა), ბინუმი (5+7 პასი).

**მინესოტა-ნიუ ჯერსი 95:93**
21:25, 22:30, 21:23, 31:15
მ: ფლინი (18), უილკინსი (12+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), გომესი (10), კ. ბრიუერი (7+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).
ნ-ჯ: ბ. ლოპესი (27+15 მოხსნა+5 დაფარება), იი იანლიანი (17+12 მოხსნა), ტ. უილიამსი (15+10 მოხსნა), დ. ჰარისი (14+8 პასი).

**ოკლაჰომა-საკრამენტო 102:89**
39:22, 29:29, 21:17, 13:21
ო: დურანტი (25+11 მოხსნა), ჯ. გრინი (24+8 მოხსნა+3 დაფარება), კრისტიჩი (20+7 მოხსნა), უესტბრუკი (14+7 მოხსნა+13 პასი).
ს: მარტინი (27+3 ჩაჭრა), კასპი (15), ტომპსონი (11+9 მოხსნა), ევანსი (10).

**სან ანტონიო-ნიუ ორლეანი 113:96**
19:13, 38:26, 31:29, 25:28
ს-ა: ტ. პარკერი (17+6 პასი), ჯინობილი (16), ბლერი (14+11 მოხსნა), რ. მეისონი (11), ბონერი (11), ფინლი (10), დანკანი (9+12 მოხსნა).
ნ-ო: პოლი (26+9 პასი), დ. უესტი (18+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოკაფორი (18+10 მოხსნა).

**დენვერი-იუტა 114:105**
23:30, 31:25, 28:25, 32:25
დ: ენტონი (30+8 მოხსნა), ბილაპსი (25), ლოუსონი (17+6 პასი), მარტინი (16+11 მოხსნა), ნენე (16).
ი: დ. უილიამსი (28+13 პასი), კირილენკო (16), რ. ბრიუერი (16), ოქური (13), ბუზერი (12+11 მოხსნა), მილსეპი (10).

**გ. სტეიტი-ჰიუსტონი 107:108**
28:26, 34:26, 19:35, 26:21
გ-ს: ელისი (26), ს. ჯექსონი (17), კარი (14+7 პასი+4 ჩაჭრა), აზუბუიკე (13), მაგეტი (10+9 მოხსნა).
ჰ: არიზა (25), სკოლა (21+11 მოხსნა), ბრუქსი (18+12 პასი), ბადინგერი (11), ლენდრი (10).

**კლიპერსი-ფინიქსი 107:109**
31:24, 22:29, 26:24, 28:32
კ: კემბი (23+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კამანი (22+9 მოხსნა), რ. ბატლერი (19), ე. გორდონი (16+6 პასი), ბ. დევისი (12+12 პასი+5 ჩაჭრა).
ფ: ნეში (24+8 პასი), ჰილი (19+13 მოხსნა), ბარბოზა (17), სტაუდმაიერი (16), ფრაი (12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ელისა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი. UNDER 17** | |
| აშშ-მალავი | 1:0 |
| საემიროები-ესპანეთი | 1:3 |
| იტალია-ს. კორეა | 2:1 |
| ურუგვაი-ალჟირი | 2:0 |
| თურქეთი-კოსტა რიკა | 4:1 |
| **ევრო 2010. UNDER 17** | |
| საბერძნეთი-მოლდოვა | 2:2 |
| იტალია-ნორვეგია | 0:2 |
| **იტალია** | |
| ინტერი-პალერმო | 5:3 |
| **ესპანეთის თასი. 1/16 ფინალი** | |
| პუერტოლიანო-ვილიარეალი | 1:1 |
| სალამანკა-რასინგი | 1:0 |
| ვალიადოლიდი-მალიორკა | 2:1 |
| **ჰოლანდიის თასი. 1/16 ფინალი** | |
| დორდრეჰტი-აიაქსი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| **დანიის თასი. 1/8 ფინალი** | |
| სიონდერილი-კოპენჰაგენი | 5:0 |
| ჰობრო-ოლბორგი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბელინცონა-იანგ ბოიზი | 1:7 |
| ძსამაძსი-ლუცერნი | 1:1 |
| **თურქეთის თასი. 1/16 ფინალი** | |
| ალთაი-სამსუნი | 4:0 |
| **საბერძნეთის თასი. 1/16 ფინალი** | |
| ტრავიზულოსი-აეკ | 0:0 |
| ტრიკალა-ირაკლისი | 1:0 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-პოლონია (ბ) | 2:0 |
| **რუმინეთის თასი. 1/8 ფინალი** | |
| კრაიოვა-კლუჟი | 0:1 |
| არჯესი-რაპიდი | 2:1 |
| დინამო-ოცელული | 1:0 |
| **არგენტინა** | |
| ბოკა ხუნიორსი-ჩაკარიტა | 3:0 |
| ლანუსი-ტიგრე | 4:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ორლეანი-ლეტუვოს რიტასი | 62:69 |
| ეფესი-პარტიზანი | 77:67 |
| პანათინაიკოსი-ხიმკი | 101:66 |
| კახა ლაბორალი-მაკაბი | 86:81 |
| ოლიმპია-მარუსი | 75:81 |
| ბარსელონა-ციბონა | 81:59 |
| მონტეპასკი-ჟალგირისი | 84:64 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ლადა | 3:1 |
| სიბირი-აქ ბარსი | 4:7 |
| ავტომობილისტი-მვდ | 2:2 |
| მეტალურგი (მ)-სპარტაკი | 5:2 |
| ტრაქტორი-ლოკომოტივი | 1:6 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზალცბურგი | 2:6 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-შტრაუბინგი | 2:3 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტავანგერი | 4:1 |
| ლორენსკოგი-ფრისკ ასკერი | 3:3 |
| მანგლერუდი-ლილეჰამერი | 4:7 |
| სპარტა-სტორჰამარი | 7:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნოვა ვესი-კოშიცე | 3:7 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კერპეტი | 1:2 |
| ლუკო-ტპს | 5:1 |
| სეიპა-ილვესი | 2:3 |
| ჰიფკ-ესეტი | 5:1 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 3:5 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 0:4 |
| ბრიუნასი-იურგორდენი | 3:1 |
| როგლე-ლინჩოპინგი | 1:5 |
| სიოდერტალე-ჰ371 | 5:3 |
| ტიმრა-ლულეა | 1:3 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 4:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ვენა** | |
| ჩილიჩი-ბრანდსი | 7:6, 6:4 |
| ფ. ლოპესი-კოლერერი | 6:3, 6:3 |
| მონფილსი-ჰაიეკი | 6:1, 2:6, 6:4 |
| მელცერი-ჰრბატი | 6:4, 7:5 |
| ტიპსარევიჩი-ბერერი | 7:6, 6:1 |
| **ATP. ლიონი** | |
| ლუბიჩიჩი-კიფერი | 6:3, 3:6, 6:3 |
| მატიო-ყიკელი | 4:6, 0:6 |
| ლოდრა-მონაკო | 6:3, 6:4 |
| კლემანი-ბეკერი | 6:4, 6:3 |
| ცონგა-ო. როხუსი | 6:3, 6:2 |
| სიმონი-გუეზი | 6:1, 6:2 |
| **ATP. სანქტ-პეტერბურგი** | |
| სტახოვსკი-კუზნეცოვი | 6:1, 6:4 |
| კუნიცინი-ელგინი | 6:2, 6:3 |
| იუჟნი-ისტომინი | 2:6, 1:6 |
| საფინი-ანდრეევი | 6:3, 6:1 |
| **WTA. დოჰა** | |
| ვოზნიაცკი-ზვონარევა | 6:0, 6:7, 6:4 |
| ს. უილიამსი-დემენტიევა | 6:2, 6:4 |
| კუზნეცოვა-ვ. უილიამსი | 2:6, 7:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**30 ოქტომბერი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. უნიკახა-ოლიმპიაკოსი.
09:40 ფეხბურთი. FootBrazil.
10:15 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. პანათინაიკოსი-ხიმკი.
12:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
13:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი.
16:10 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბუდაპეშტი, უნგრეთი.
17:05 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. კახა ლაბორალი-მაკაბი.
18:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. II ტურის მიმოხილვა.
21:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:00 100% დინამო.
22:30 სპორტკლუბი.
23:35 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. პანათინაიკოსი-ხიმკი.
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-პიტსბურგი (LIVE).
05:45 ფეხბურთი. FootBrazil.
06:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ასტონ ვილა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-დეტროიტი.
10:30 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. ცსკა-რომა.
12:15 ფეხბურთი. FootBrazil.
12:50 კალათბურთი. ევროლიგა. II ტური. პანათინაიკოსი-ხიმკი.
14:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი.
16:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფულჰემი-რომა.
18:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლუქსემბურგი.
20:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
22:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
00:05 100% დინამო.
00:30 კალათბურთი. ევროლიგა. II ტურის მიმოხილვა.
01:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი.
02:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი.
04:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფულჰემი-რომა.
06:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ნაპოლი.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი.
13:15 ჩოგბურთი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-გერმანია. ნიგერია.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საემიროები-ესპანეთი. ნიგერია.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იტალია-ს. კორეა. ნიგერია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი.
18:00 ჩოგბურთი.
18:05 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:40 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი (LIVE).
23:15 ჩოგბურთი.
23:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰონდურასი-გერმანია. ნიგერია.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-ბრაზილია. ნიგერია.
02:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/4 ფინალი. დოჰა. კატარი.

ფორმულა 1




# ფერარი დუბაიში

„ფერარის" პილოტებმა - **კიმი რაიკონენმა** და **ჯანკარლო ფიზიკელამ** დუბაიში იტალიური კომპანიის ახალი მაღაზიის გახსნის ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა. ეს „ფერარის" ყველაზე დიდი მაღაზიაა მსოფლიოში. მარტო საგამოფენო დარბაზის ფართობი 1000 კვადრატული მეტრი გახლავთ. იქ განთავსებულია საგზაო მანქანები, მოლაპარაკებებისა და ვიდეოს ნახვის ოთახები, ფორმულა 1-ისა და Ferrari California-ს მანქანების ასლები და სუვენირების განყოფილება.

დარბაზში განათების სისტემა ფოტოგამოფენის ჩატარების საშუალებას იძლევა, ხოლო მაღაზიის სტუმარს შესაძლებლობა აქვს, სტიმულატორის საშუალებთ ვირტუალური წრე გაიაროს ცნობილ ავტოდრომებზე.

*„კვირას სრულდება ჩემი კარიერა „ფერარიში". ამ გუნდთან ერთად რამდენიმე ფანტასტიკური წელი გავატარე, მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე და ორჯერ მოვიპოვე კონსტრუქტორთა თასი. რაც შეეხება კარიერის გაგრძელებას, ამის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია"*, - განაცხადა გახსნის ცერემონიაზე რაიკონენმა.

ჯანკარლო ფიზიკელა: *„ბავშვობიდან ვოცნებობდი „ფერარის" საჭესთან დაჯდომაზე და წელს ეს ოცნება ამისრულდა. პირველ რბოლებში ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სიტუაცია თანდათან უკეთესი გახდა. იმედი მაქვს, სეზონის ბოლო რბოლაში ქულებს დავაგროვებ და „ფერარის" კონსტრუქტორთა თასის მესამე ადგილის მოპოვებაში დავეხმარები".*

# შუმახერთან რბოლა 30 ათასი ღირს

მომავალ კვირას პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე ტრადიციული ჩემპიონთა რბოლა გაიმართება, რომელშიც სხვადასხვა სარბოლო სერიის საუკეთესო წარმომადგენლები კარტის მანქანებით შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით პეკინში საინტერესო აუქციონი გაიმართა - გაიყიდა ადგილი ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** მანქანში. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის გვერდით რბოლის უფლება პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთმა სპონსორმა - კომპანია Hengyuanxiang-მა შეიძინა.

აუქციონზე ამ კომპანიას ვინმე **ლინ ვაო** წარმოადგენდა, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერ არ არის ცნობილი, თუ ვინ დაიკავებს რბოლის დროს შუმახერის მგზავრის ადგილს. აუქციონის ორგანიზატორთა ინფორმაციით, Hengyuanxiang-ს ამ უფლების შეძენა 230 ათასი იუანი (30 ათას დოლარზე მეტი) დაუჯდა.




# ოფიციალურად: ნიკო უილიამსიდან მიდის

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ამ სეზონის შემდეგ **ნიკო როსბერგი** დატოვებს „უილიამსის" რიგებს. გერმანელმა პილოტმა აბუ დაბის გრან-პრის წინ განაცხადა, რომ ეს რბოლა ბოლო იქნება მისთვის ბრიტანული საჯინიბოს ბოლიდით.

როსბერგი ჯერჯერობით არ აცხადებს, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას, თუმცა გერმანული პრესა დარწმუნებულია, რომ ნიკო გაისად წლევანდელი ჩემპიონის - „ბრაუნ გრან-პრის" რიგებში აღმოჩნდება.

*„ეს ჩემი ბოლო რბოლაა „უილიამსის" შემადგენლობაში, ამიტომაც აბუ დაბიში ბევრი ამაღელვებელი მომენტი მელის"*, - ამბობს როსბერგი, რომელმაც ამ სეზონში თავის გუნდს 34.5 ქულა მოუტანა.






ბეისბოლი

# სექსი ბილეთების სანაცვლოდ

ამერიკის პოლიციამ 43 წლის ფილადელფიელი ქალბატონი **სიუზენ ფინკელშტეინი** პროსტიტუციაში დაადანაშაულა. სიუზენი ბეისბოლის თავგადაკლული ფანი ყოფილა და მან სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ ბეისბოლის მთავარი ლიგის (MLB) გადამწყვეტ მატჩებზე ბილეთები მოითხოვა.

ფინკელშტეინმა შესაბამისი განცხადება პოპულარულ ვებგვერდზე - Craigslist-ზე გამოაქვეყნა. სიუზენმა განცხადებაში დაწერა, რომ ძვალმსხვილ, მაღალ და ქერათმიან ქალს ძალიან სჭირდება ორი ბილეთი MLB-ის მსოფლიოს სერიის მატჩებზე, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან ამერიკისა და ეროვნული ლიგების საუკეთესო გუნდები.

ამ განცხადებას გამოეხმაურა პოლიციის წარმომადგენელი, რომელსაც ფინკელშტეინმა განუცხადა, რომ ბილეთების სანაცვლოდ მზად არის დააკმაყოფილოს მისი სექსუალური მოთხოვნილებები. ამის შემდეგ ეს ქალი დააპატიმრეს.

2006 წელს მსოფლიოს სერია „ფილადელფია ფილისმა" მოიგო - სწორედ ამ გუნდის გულშემატკივარია სიუზენ ფინკელშტეინი. 2009 წელს „ფილისი" მსოფლიოს სერიაში ლეგენდარულ „ნიუ იორკ იანკიზს" შეხვდება. პირველი მატჩი გუშინ გვიან ღამით უნდა დასრულებულიყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

